ლიტერატურული გაზეთი

№51 3 - 16 ივნისი 2011 გამოდის ორ კვირაში ერთხელ, პარასკევობით ფასი 50 თეთრი

ეს არის ჯემალ ქარჩხაძის პირველი მოთხრობა. „დაბრუნება“ 1961 წელს დაიწერა და დღემდე გამოუქვეყნებელი იყო. სანამ რედაქციაში წაიღებდა, ჯემალ ქარჩხაძემ მოთხრობა ერთ ძალიან ახლობელ და სანდო ლიტერატურული გემოვნების ადამიანს წააკითხა, რომელმაც მოთხრობა კი მოუწონა, მაგრამ გამოქვეყნებისგან თავის შეკავება ურჩია: „ნუ აჩქარდები." ჯემალმა დაუჯერა რჩევას, რის გამოც მხოლოდ სამი წლის შემდეგ, 1964 წელს, შედგა XX საუკუნის ქართველი კლასიკოსის სამწერლო დებიუტი მოთხრობით „აბზიანიძეების ოჯახი“.

ჯემალ ქარჩხაძე

დაბრუნება

ავტობუსმა მიაღწია საბოლოო პუნქტს და კონდუქტორმა ხმამაღლა გამოაცხადა:

— სასაფლაო!

ჩვეულებრივ, კონდუქტორები, თუმცა ეს მათი პირდაპირი მოვალეობაა, არ ასახელებენ გაჩერების ადგილს (რითაც, ეჭვი არაა, უსაზღვრო ნდობას უცხადებენ თბილისელთა გეოგრაფიულ განათლებას), მაგრამ ამჯერად რაღაც იყო განსაკუთრებული: ან ადგილი, რომელიც დაასახელეს, ან კონდუქტორი, რომელმაც დაასახელა, ან არადა შეიძლება ყველაფერი უბრალო შემთხვევას მიეწეროს. ჩვენი აზრით, ეს უკანასკნელი მოსაზრება უფრო მართებული უნდა იყოს.

ჩვენ არაფერს ვიტყოდით ამ სიტყვის ირგვლივ და, ალბათ, საერთოდ არაფერს ვიტყოდით, თუ რომ არა ერთი თმაგაბურძგნული მგზავრი, რომელიც აქამდე თავისთვის იჯდა, სრულიად გამოთიშული იყო გარემომცველი სამყაროდან და უაზროდ გაჰყურებდა სივრცეს, სადაც ელექტრონის შუქით განათებული თოვლის ფანტელები ზანტად ეშვებოდნენ ძირს, ცოტა არ იყოს, მოულოდნელი რეაქციით არ შეხვედროდა მას.

ეს იყო ახალგაზრდა კაცი, ასე ოცდაშვიდი-ოცდარვა წლისა. ტანთ ეცვა მოდურად შეკერილი, ბეჭებგანიერი და ვიწროკალთებიანი შავი პალტო, მაგრამ ეს ელეგანტური სამოსი კარგავდა თავის შნოსა და ლაზათს, რადგან მის ქვეშ მოჩანდა თუმცა ახალი და თეთრი, მაგრამ გვარიანად დაჭმუჭნული და, სამწუხაროდ, ოდნავ ჭუჭყიანი პერანგი, რომელიც გატალახიანებულ ფეხსაცმელებთან და გაუპარსავ წითურ წვერთან ერთად ფრიად საჩოთირო წარმოდგენას შეუქმნიდა მნახველს მისი ცხოვრების ბოლო დღეებზე. აწ გაბურძგნულ, მოკლედ შეკრეჭილ ქერა თმას ჯერ კიდევ აჩნდა ბუნდოვანი კვალი იმისა, რომ ერთ დროს მოვლა-პატრონობა არ აკლდა. ჩაწითლებულ თვალებში მოთენთილობის, დარდისა და წყრომის რაღაც ნარევი გამომეტყველება ბჟუტავდა.

როდესაც კონდუქტორმა მგზავრებს მათი საბოლოო გაჩერების ადგილი გააცნო, ახალგაზრდა კაცი შეტოკდა. ამ ნაკლებ სასიამოვნო სიტყვამ ისე იმოქმედა მასზე, როგორც გახურებული შანთის მიდება იმოქმედებს მძინარე კაცზე, რომელიც უწყინარ სიზმრებს ხედავს: სწრაფად ასწია თავი (თუმცა „ასწია“ მეტისმეტად რბილი სიტყვაა იმ ენერგიული და თითქოს შეშინებული მოძრაობის აღსანიშნავად, რომლის შედეგად მისმა ჩაქინდრულმა თავმა ვერტიკალური მდგომარეობა მიიღო), წამოვარდა ზეზე და მთელი ტანით შეტრიალდა კონდუქტორისაკენ, რომელიც დღევანდელ ნავაჭრს ითვლიდა, მსხვილ ფულს ერთად აწყობდა და ყელზე ჩამოკიდებული ჩანთის ერთ ბუდეში ინახავდა, წვრილს კი – მეორეში. ახალგაზრდა კაცი მიხვდა, რომ მის ასეთ მკვეთრ მოძრაობას, რომლითაც სამართლიანად მიიპყრო გაოცებულ მგზავრთა ყურადღება, საფუძველი არ გააჩნდა, თვითონაც ოდნავი გაკვირვება ჩაესახა თვალებში და უხერხულობის დასაფარავად გვერდით მჯდომს ჰკითხა:

– ჩაბრძანდებით?

გვერდით მჯდომმა სერიოზული და მკაცრი სახე შემოაბრუნა მისკენ, მაგრამ არაფერი უპასუხა, აუჩქარებლად წამოდგა და გასასვლელისაკენ გაემართა. ახალგაზრდა კაციც უკან გაჰყვა ისეთი ნაბიჯით, როგორითაც დადის ნაავადმყოფარი კაცი, რომელიც დიდი ხნის წოლის შემდეგ პირველად წამოდგა ფეხზე.

...მარცხნივ, ნაპირიდან ოდნავ მოშორებით, ერთი ახალი საფლავია, „თუმცა ამ ჯოჯოხეთში რას გაარჩევ ძველსა და ახალს, ყველა ერთნაირადაა თოვლით დაფარული".

მაგრამ, მიუხედავად ასეთი პესიმისტური განწყობილებისა, ახალგაზრდა კაცმა ადვილად მიაგნო თავისი მოგზაურობის მიზანს.

საფლავი, ისევე როგორც მთელი სასაფლაო, სუდარაგადაფარებულს ჰგავდა. ახალგაზრდა კაცი დაჯდა თოვლზე; იგი, პირობითად რომ ვთქვათ, თავით დაუჯდა მიცვალებულს.

...ხუთიოდე დღის წინაც თოვდა. თუმცა არა, მაშინ თოვლი და წვიმა ირეოდა, საშინელი ტალახი იყო. მანდილოსნები, რომლებიც სიცივემ და უამინდობამ ვერ დააკავა, რადგან მოვალეობის გრძნობა დიდი იყო მათში, მარცხენა ხელს ლოყაზე იდებდნენ, თავს იქნევდნენ მწუხარე და რაღაც გამოუცნობი, იდუმალი სახით და საძაგელი ამინდით მიცვალებულის უიღბლობას ასაბუთებდნენ, თითქოს ოცდახუთი წლის ასაკში სიკვდილი არ კმაროდეს ამის საბუთად. მერე წამით გადაიკარა, საფლავში კუბოს ჩაშვება აცალა და, როცა სველი ბელტების და ქვების ბრახა-ბრუხი ატყდა – მიუხედავად თავისი მდგომარეობის მთელი სიმძიმისა, ეს ხმა გარკვევით ჩაესმა ახალგაზრდა კაცს და მგონი, პირველად მაშინ იგრძნო მთელი სისრულით სიკვდილი – და როცა ბრახა-ბრუხი ატყდა, მოიხსნა ცამ პირი და წამოვიდა არნახული თავსხმა, ისინი, ვინც დროზე არ შეაფარა მანქანებს თავი – ე. ი. საზოგადოების დიდი ნაწილი – ერთიანად გაილუმპნენ, არაფერი მშრალი არ გადარჩენიათ.

მაშინ თოვლჭყაპი იყო და საშინლად ციოდა. ახლა თოვს და ახლაც საშინლად ცივა... აღარ დაადგა საშველი გამოზაფხულებას, თუმცა დრო კია. დრო კია, მაგრამ რას დაგიდევს ბუნება კალენდარს.

რა რიცხვია დღეს?

ახალგაზრდა ჭირისუფალი დაფიქრდა, მაგრამ კითხვა მეტისმეტად თავსამტვრევი აღმოჩნდა.

მართლაცდა ძნელია თვალი ადევნო დროის მსვლელობას, თუკი იგი შენი ინტერესების ფარგლებში არ იმყოფება, შენს ცხოვრებაზე არ მოქმედებს, არ გესაჭიროება. მაშინ კარგავ დროის გრძნობას, არ აღნუსხავ დროს და არ ყოფ შემადგენელ ნაწილებად. ახალგაზრდა კაცის ცხოვრების ბოლო პერიოდი სწორედ ასეთ დამოკიდებულებაში (თუ დამოუკიდებლობაში) იყო დროსთან.

გაგრძელება მე-6 გვერდზე

რითი შეიძლება მიიზიდოს ქართულმა ლიტერატურამ უცხოელი მკითხველი?!

II-III

ტარიელ ხარხელაური

აღსარება მეუღლეს

IV-V

მამუკა წიკლაური

გაუფილტრავი ფიქრები

X-XI

რეზო გეთიაშვილი:

„ყველაზე ხშირად გალაკტიონს ვუსმენდი“

XII

გიგი თევზაძე:

„ქართული კლასიკიდან ვკითხულობდი იმას, რასაც სკოლაში არ გვასწავლიდნენ“

XIII

„ექსპო ჯორჯიას“ პავილიონი ოთხი დღით წიგნისა და მკითხველის ქალაქად იქცა

XIV-XV

რითი შეიძლება მიიზიდოს ქართულმა ლიტერატურამ უცხოელი მკითხველი?!

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ინიციატივითა და ორგანიზებით 24-25 მაისს, XIII საერთაშორისო წიგნის ფესტივალის ფარგლებში, თბილისმა ლიტერატურულ ფორუმ-დიალოგს პირველად უმასპინძლა. ქართული ლიტერატურის ნიმუშების უცხო ენებზე თარგმნა და ქართველი ავტორებითა და მათი შემოქმედებით უცხოელი მკითხველის დაინტერესება, ასევე საქართველოში უცხოური ლიტერატურის პოპულარიზაცია — ეს იყო მიზანი, რომლის გარშემოც ფორუმ-დიალოგის მონაწილენი გაერთიანდნენ. ღონისძიებაში მონაწილეობას კი, ქართველი გამომცემლების, მთარგმნელებისა და მწერლების გარდა, საზღვარგარეთის თოთხმეტი ცნობილი საგამომცემლო სახლი იღებდა. ფორუმ-დიალოგის გამართვაში კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდამჭერები ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო, გოეთეს ინსტიტუტი, ბრიტანეთის საბჭო და შვედეთის ინსტიტუტი იყვნენ. ფორუმ-დიალოგი საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა ნიკოლოზ რურუამ გახსნა.

როგორ ვითარდება თანამედროვე ქართული წიგნი და ლიტერატურა

საქართველოში დღეს ასამდე გამომცემლობაა. ამათგან ცნობილი და წარმატებული კი — დაახლოებით ორი ათეული. თითოეული გამომცემლის საქმიანობა სხვადასხვა პრიორიტეტსა და მიმართულებას ეფუძნება. წიგნის ბაზარი პატარაა, ტირაჟები — მცირე, თუმცა ყველა ავტორს, ლიტერატურულ მიმართულებას თუ ჟანრს თავისი მკითხველი ჰყავს. ქართველები აქტიურად თარგმნიან კლასიკურ და თანამედროვე უცხოენოვან მწერლობას. თუმცა, აქაური ავტორები უცხო ენებზე იშვიათად ითარგმნებიან და ქართული ლიტერატურა მსოფლიო მკითხველამდე გზას ძნელად მიიკვლევს. ამის მიზეზი არაერთია.

სახელმწიფო დაინტერესებულია წიგნის ინდუსტრიის განვითარებით. ამის დასტურია წიგნისა და ლიტერატურის განვითარების სახელმწიფო პროგრამა, რომელიც მრავალ მიმართულებას მოიცავს და ამ სფეროში არსებული პრობლემების დაძლევაზეა ორიენტირებული. სახელმწიფო და კერძო სტუქტურები არაერთი ლიტერატურული კონკურსის ინიციატორებად და ორგანიზატორებად გვევლინებიან. კონკურსების სოლიდური საპრიზო ფონდები კი დიდი სტიმულია თანამედროვე ქართველი მწერლებისათვის. ვითარდება საგამომცემლო საქმეც. წიგნი გათავისუფლებულია დამატებითი ღირებულების გადასახადისგან. სახელმწიფო ყოველწლიურად ახორციელებს წიგნის შესყიდვას საჯარო სკოლებისა და ბიბლიოთეკებისთვის, უზრუნველყოფს საქართველოს მონაწილეობას ფრანკფურტის წიგნის საერთაშორისო ფესტივალზე, ინიციატორია მთარგმნელობითი ფონდის დაარსებისა და ა.შ.

უკვე მეცამეტე წელია, თბილისის წიგნის საერთაშორისო ფესტივალი ლიტერატურული ცხოვრების განუყოფელ ნაწილად იქცა. ფესტივალში მრავალი გამომცემლობა იღებს მონაწილეობას, ღონისძიებას ყოველწლიურად სულ უფრო მეტი დამთვალიერებელი სტუმრობს.

სიახლეები ქართული წიგნის სამყაროში აქტიურად შუქდება მედია-საშუალებებით, პერიოდულ გამოცემებში ახალ ორიგინალურ ნაწარმოებებსა თუ თარგმანებზე საინტერესო რეცენზიები, გამოხმაურებები ქვეყნდება, ინტერნეტსივრცეში იქმნება ლიტერატურული ბლოგები, რომელსაც სულ უფრო მეტი მომხმარებელი „აკითხავს“. გაჩნდა თანამედროვე ტიპის წიგნის მაღაზიები, სადაც ხშირად იმართება ახალი გამოცემების პრეზენტაცია და შეხვედრები ავტორებთან.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო მთარგმნელობითი საქმის ხელშეწყობას სხვადასხვა პროგრამის ამოქმედებით ცდილობს და გამომცემლებთან აქტიურად თანამშრომლობს. უკვე მეორე წელია ხორციელდება თარგმანის განვითარების პროექტი, რომლის მიზანიც უცხოეთში ქართული ლიტერატურის პოპულარიზაციაა. პროექტის ფარგლებში თანამედროვე ლიტერატურის არაერთი ნიმუში სხვადასხვა ენაზე ითარგმნა, ქართველი მწერლები ევროპულ „ანთოლოგიებში“ შევიდნენ და მათი ნაწარმოებები „საუკეთესო ევროპულ მოთხრობებს“ შორის განთავსდა. გაისად მსხვილი ამერიკული გამომცემლობა „ქართული მოთხრობების ანთოლოგიას“ გამოსცემს და წიგნი ერთ-ერთი ცნობილი ქსელის ათასამდე მაღაზიაში გასაყიდად დაიდება.

ფორუმ-დიალოგი ქართული წიგნისა და ლიტერატურის, ასევე მთარგმნელობითი სკოლის განვითარების საქმეში გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯია და იმ გზის დასაწყისია, რომელიც საუკუნოვან ქართულ ლიტერატურას უცხოელ მკითხველამდე მისვლას გაუადვილებს.

„ყალბი თავმდაბლობის გარეშე რომ ვთქვათ, საქართველო დიდი ლიტერატურული ისტორიის ქვეყანაა“

ლიტერატურული ფორუმ-დიალოგის ორგანიზატორებმა ამგვარი ღონისძიებისთვის შესაფერი სამუშაო გარემო შექმნეს და მონაწილეებს საინტერესო პროგრამა შესთავაზეს. ქართველ და უცხოელ გამომცემელთა გამოსვლებიც ცოცხალი და ინფორმაციული იყო. გაიმართა პრეზენტაციები საგამომცემლო თუ ლიტერატურულ სფეროში. ქართველი გამომცემლები უცხოელ კოლეგებს ქართული წიგნისა და ლიტერატურის განვითარების ეტაპებს, დღევანდელ მდგომარეობას აცნობდნენ, თავიანთ საქმიანობაზე უამბობდნენ, ქართველ ავტორებსა და მათ ნაწარმოებებს წარუდგენდნენ. უცხოელი გამომსვლელები კი მსმენელს საკუთარ გამოცდილებას უზიარებდნენ, უცხოენოვანი მკითხველის დაინტერესების გზებსა და მექანიზმებზე საუბრობდნენ და ქართული ლიტერატურის პოპულარიზაციის თაობაზე ქართველ კოლეგებს სხვადასხვა რჩევასა თუ რეკომენდაციებს სთავაზობდნენ. ყოველი გამოსვლის შემდეგ აქტიური დისკუსიები, აზრთა გაცვლა-გამოცვლა იმართებოდა. სამუშაო დღის ბოლოს თანამედროვე ქართველი ავტორები საჯაროდ კითხულობდნენ ფრაგმენტებს საკუთარი ნაწარმოებებიდან.

ნიკოლოზ რურუა, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი: „ფორუმ-დიალოგი, რომელიც საქართველოში პირველად ტარდება, არის ადგილი, სადაც ქართველი და უცხოელი ლიტერატორები, გამომცემლები ერთმანეთს გაიცნობენ, ისაუბრებენ თარგმანებზე, საგამომცემლო საქმეზე, ერთმანეთს გამოცდილებას გაუზიარებენ და მომავალ ბიზნეს-ურთიერთობებს დაგეგმავენ. უცხოელ სტუმრებს აინტერესებთ, რას წარმოადგენს დღეს ქართული მწერლობა, სურთ გაიცნონ თანამედროვე ავტორები და გამომცემლები, შეისწავლონ, თუ რა მდგომარეობაა ქართული წიგნის ინდუსტრიაში.

ყალბი თავმდაბლობის გარეშე რომ ვთქვათ, საქართველო დიდი ლიტერატურული ისტორიის ქვეყანაა. ჩვენ ვართ ერი, რომელსაც უნიკალური დამწერლობა



გააჩნია, პირველი ქართული ხელნაწერები ქრისტიანული ეპოქის დასაწყისშია შექმნილი და ისინი ჩვენს მუზეუმებში ინახება...

ვფიქრობ, ქართული ლიტერატურა უცხოელ მკითხველს ძალზე მიიზიდავს, რადგან მოსაყოლი მართლაც ბევრი გვაქვს. საქართველოს ისტორია დრამატული მოვლენებითაა გაჯერებული. არანაკლებ საინტერესოა ჩვენი თანამედროვე ცხოვრება, ყოველდღიურობა — ქვეყანა ტრანსფორმაციის ფაზას გადის და დემოკრატიის თვალსაზრისითაც ლიდერობს რეგიონში. ასე რომ, არც ახალგაზრდა ავტორთა ნააზრევი და არც გასული პერიოდის ორიგინალური ნაშრომები მსოფლიო მკითხველს გულგრილს არ დატოვებს. მოგეხსენებათ, ნამდვილი ლიტერატურა ლოკალურ საკითხებსა თუ ვიწრო პრობლემატიკაზე თხრობას სცილდება და უნივერსალურ ღირებულებებს მოიცავს. ამიტომაც, კარგი წიგნი ნებისმიერი ქვეყნის მკითხველისთვის გასაგები და საინტერესოა.

არ ვიცი, ფორუმ-დიალოგის სტუმრები საქართველოს გაცნობას ორ დღეში რამდენად შეძლებენ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ჩვენს ქვეყანაში ჩამოსვლის სურვილი მათ მომავალშიც ექნებათ, რადგან საქართველო, ლიტერატურის გარდა, ბევრი თავისებურებითაა გამორჩეული, მათ შორის — ხალხით, სითბოთი, სტუმართმოყვარეობით და თავისუფლებისკენ ლტოლვით“.

ზაალ სამადაშვილი, თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე, მწერალი: „პირველი შემთხვევაა, როცა ამგვარი ფორუმ-დიალოგის ფარგლებში სტუმარსა და მასპინძელს საშუალება ეძლევათ საქმიანი ურთიერთობები დაამყარონ, ერთმანეთის შესახებ რაც შეიძლება მეტი გაიგონ.

ჩვენ გამოვიარეთ ეპოქა, როცა ცენზურა ბობოქრობდა და ქვეყანა, საზოგადოება კომუნისტური იდეოლოგიის წნეხის ქვეშ იმყოფებოდა. ყველაზე მძიმე მდგომარეობაში მწერლობა იყო. მიუხედავად ამისა, ისინი — XX საუკუნის ავტორებს ვგულისხმობ — ლიტერატურასა და მკითხველს ღირსეულად ემსახურნენ. ბუნებრივია, ჩვენი მწერლები მკაცრი ცენზურის ჩარჩოებში იყვნენ მოქცეულნი, იდეოლოგიური საზღვრის დარღვევა უმკაცრესად ისჯებოდა, მაგრამ მაინც ახერხებდნენ მრავალგვარი ლიტერატურული ფორმისა თუ მეთოდის გამოყენებით მკითხველისთვის მიეწოდებინათ ის, რაც აუცილებელ სათქმელად მიაჩნდათ — ესაუბრათ ადამიანზე, მის იდეალებზე, ცხოვრების ავ-კარგზე. მინდა გავიხსენო ჯემალ ქარჩხაძე, ოთარ ჭილაძე, გურამ დოჩანაშვილი, გურამ გეგეშიძე, რეზო ინანიშვილი, ვაჟა გიგაშვილი და სხვები. მას მერე, რაც ჩვენმა ქვეყანამ დამოუკიდებლობა მოიპოვა, ახალი ავტორები გამოჩნდნენ და დღეს XXI საუკუნის ქართული ლიტერატურა ისეთივე მრავალფეროვანი და საინტერესოა, როგორც გასული პერიოდების მწერლობა. შესაძლოა მკითხველის რაოდენობით ვერ დავიტრაბახოთ, მაგრამ თუ მკითხავთ, მთავარი მაინც ისაა, რომ ქართული წიგნით გემოვნებიანი ადამიანები ინტერესდებიან.

ფორუმ-დიალოგზე ძალიან წარმატებულმა ქართველმა გამომცემლებმა მოიყარეს თავი. სწორედ მათი დამსახურებაა, რომ წიგნის მაღაზიების დახლებზე კარგი ლიტერატურა, კარგი გამოცემები დევს. მიხარია, რომ ფორუმ-დიალოგი წინ უსწრებს საერთაშორისო წიგნის ფესტივალს. აქ პროფესიონალების შეხვედრისა და საქმიანი საუბრების ადგილია, ამის შემდეგ კი წიგნის ზეიმი დაიწყება.“

გია ქარჩხაძე, „ქარჩხაძის გამომცემლობა“: „ფორუმისგან კონკრეტულ შედეგებს ველით. ქართული ლიტერატურის უცხო ენებზე გამოცემის რამდენიმე მცდელობა აქამდეც იყო, ამ მიმართულებით გარკვეული მოძრაობა დაწყებულია, მაგრამ ერთეული მაგალითები საერთო სურათს ვერ შექმნის. მსგავსი მასშტაბის ღონისძიებების დროს კი ქართული მწერლობა ყურადღების ქვეშ ერთიანად ექცევა.

უცხოელი გამომცემლები ქართულ ნაწარმობებს ვერ ეცნობიან. ეს არის მთავარი პრობლემა. მართალია, კონკრეტული ადამიანებისგან ესმით, რომ ესა თუ ის წიგნი კარგია, მაგრამ წაკითხვა რომ არ შეუძლიათ? ამიტომაც მთარგმნელობითი საქმის განვითარება ძალზე საშურია. ჩვენი გამომცემლობის ინიციატივითა და ხარჯებით ჯემალ ქარჩხაძის რამდენიმე მოთხრობა ითარგმნა. შეიძლება ითქვას, ეს სადემონსტრაციო თარგმანებია, რომელსაც უცხოელ კოლეგებს შევთავაზებთ და ვნახოთ... რომანები თუ დააინტერესებთ, დაგვიკავშირდებიან.“

თინა მამულაშვილი, „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“: „ასეთი შეხვედრები ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან საშუალება გვეძლევა უცხოელ გამომცემლებს ჩვენი ავტორები და მათი ნაწარმოებები გავაცნოთ. ამგვარი მცდელობა საერთაშორისო წიგნის ბაზრობებზეც გვაქვს ხოლმე, მაგრამ იქ იმდენად სტრესული სიტუაციებია, რომ ძნელია ლიტერატურაზე დეტალურად ილაპარაკო, მის

პოპულარიზაციაზე აქტიურად იმუშაო. დღეს კი ფორუმ-დიალოგის მონაწილეებს, ქართული წიგნის გაცნობის გარდა სხვა საშუალებაც ეძლევათ. ისინი ჩვენს ქვეყანას, მის კულტურას გაეცნობიან, ნახავენ როგორი ხალხი ცხოვრობს საქართველოში. შესაძლოა ამგვარმა შეხვედრამ კონკრეტული შედეგი პირველივე ჯერზე ვერ გამოიღოს, მაგრამ ყოველი ასეთი ღონისძიება ქართული ლიტერატურის პოპულარიზაციისთვის წინ გადადგმული ნაბიჯია.

ძალიან მნიშვნელოვნად მიმაჩნია უცხოელ გამომცემელთა რჩევების, რეკომენდაციების გათვალისწინებაც. საგამომცემლო საქმეში მათ დიდი გამოცდილება აქვთ და ალბათ ბევრ საინტერესოს გვეტყვიან“.

გზა უცხოელი მკითხველისკენ. რჩევები, რეკომენდაციები

ლიტერატურულ ფორუმ-დიალოგზე უცხოელი სტუმრების დიდი ჯგუფი იყო წარმოდგენილი. ქართველი გამომცემლების, მწერლებისა და მათი წიგნების გასაცნობად ისინი ამერიკის შეერთებული შტატებიდან, დიდი ბრიტანეთიდან, საფრანგეთიდან, გერმანიიდან, ჩეხეთიდან და ევროპის სხვა ქვეყნებიდან ჩამოვიდნენ. მათი საუბრები უცხოეთის ბაზრის დახასიათებასა და ძალზე საინტერესო რეკომენდაციებს მოიცავდა. უცხოელი გამომცემლებისთვის თბილისის ფორუმ-დიალოგში მონაწილეობა საინტერესო იმითაც იყო, რომ ქართული წიგნის ინდუსტრიისა და ქართველი მასპინძლების გაცნობის გარდა, ისინი თავიანთ ევროპელ და ამერიკელ კოლეგებსაც შეხვდნენ, ინფორმაციები გაცვალეს და ახალი ბიზნეს-კონტაქტების შესაძლებლობა მიეცათ.

თომას შპარი, გამომცემელი გერმანიიდან: „ჩვენი გამომცემლობა 1950 წელს დაარსდა. მას შემდეგ თვალს ვადევნებთ წიგნისა და ლიტერატურის განვითარებას მსოფლიოში. ვთარგმნით სხვადასხვა ენიდან და ვბეჭდავთ უცხოელ მწერალთა ნაწარმოებებს. ბოლო ხანს აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ლიტერატურა ცალკე მიმართულებად გამოვყავით და აღმოვაჩინეთ, რომ მის მიმართ ჩვენი მკითხველის ინტერესი დიდია.

სამწუხაროდ, ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების, მათი კულტურებისა და ენების შესახებ გერმანიაში ბევრი არაფერი ვიცით. სწორედ ახლაღა ვიწყებთ მთელი ამ სიმდიდრის, მრავალფეროვნების აღქმას. იმისთვის, რომ ქართული ლიტერატურა გერმანულ სივრცეში „მოვათავსოთ“ და მკითხველმა თქვენი ქვეყანა გაიცნოს, დიდი ძალისხმევაა საჭირო. ცხადია, მხოლოდ ლიტერატურის რეკლამირება არ კმარა; მნიშვნელოვანია კონტექსტი, რომელშიც ეს ლიტერატურა შეიქმნა. ისტორიული, ტურისტული თუ პოლიტიკური თვალსაზრისით, საქართველო ძალზე საინტერესო ქვეყანაა. მზად ვართ, თქვენი მწერლობის „ტრანსპორტირება“ სხვა ქვეყნების ენებზე ვცადოთ, ვთქვათ — გერმანულად, შვედურად. ვიცი, რომ ქართველი ავტორები ფორუმისგან ბევრ ახალსა და საინტერესოს ელიან. თუმცა, დასაწყისისთვის, ვფიქრობ, უმჯობესი იქნება, ერთ-ორ წიგნზე თუ მოვახდენთ კონცენტრაციას. ნაწარმოებები დიდი ყურადღებით უნდა შეირჩეს და მხოლოდ ამის შემდეგ ითარგმნოს. ვნახოთ, როგორ მიიღებს მას მკითხველი. ამგვარი შერჩევითი მიდგომა, ვფიქრობ, კარგი დასაწყისი იქნება და გამომცემლებს დაგვეხმარება, რომ მსოფლიო წიგნის ბაზარზე, რომელიც უკრაინული, რუსული, უნგრული თუ რუმინული ლიტარატურითაა გადავსებული, სწორი ორიენტაცია ავირჩიოთ და ქართული ლიტერატურისთვის საჭირო ნიშა მოვძებნოთ. ესაა ჩემი რეკომენდაცია. ასეთია აღმოსავლეთ ევროპაში მოღვაწე მწერლებთან ჩვენი ურთიერთობის მოდელი.

ფრანკფურტის საერთაშორისო წიგნის ბაზრობაზე ქართველი ავტორების მიწვევა მსოფლიოში ქართული ლიტერატურის პოპულარიზაციის საქმეს შესაძლოა ძალიან წაადგეს. თუმცა მანამდე წინასწარ შერჩეული ნაწარმოებების მაღალ დონეზე თარგმნა გვჭირდება. ფრანკფურტის შემდეგ ბაზრობა ბრაზილიაში გაიმართება, შემდეგ ფინეთში. ამგვარ მასშტაბურ ღონისძიებებზე საპატიო სტუმრის სტატუსით მონაწილეობა წარმატების წინაპირობაა ხოლმე პატარა ქვეყნების ნაკლებადცნობილი ავტორებისთვის. მათ საშუალება ეძლევათ იაქტიურონ და მსოფლიო მკითხველს საკუთარი ქვეყანა და მწერლობა გააცნონ. მხატვრული ლიტერატურის გარდა, ჩვენთვის ძალიან საინტერესოა ნაშრომები ესეისტიკასა და მეცნიერების სხვადასხვა დარგში.

რუმინეთი, ბულგარეთი, უნგრეთი, ყოფილი იუგოსლავიის ქვეყნები თავიანთი ლიტერატურის პოპულარიზაციას აქტიურად ცდილობენ და მსოფლიო მკითხველს საინტერესო „კონტექსტებს“ სთავაზობენ. ეს საქართველომაც უნდა სცადოს, კონტაქტები გაიფართოვოს, „კონტექსტები“ შექმნას.

ვფიქრობ, ამგვარი კონფერენცია ძალიან დაეხმარება ადამიანებს დაუკავშირდნენ ერთმანეთს, განამტკიცონ კავშირები და მსოფლიო წიგნის ინდუსტრიაში ახალი ნაბიჯები გადადგან“.

ფიჯეი ჰილერი, დამოუკიდებელი მთარგმნელი: „რითი შეიძლება მიიზიდოს ქართულმა ლიტერატურამ უცხოელი მკითხველი? ვფიქრობ, სხვანაირი მსოფლმხედველობით, ურთიერთობებით, განსხვავებული პოლიტიკური პრობლემებით. ქართველი ავტორები მსოფლიო მკითხველის წინაშე ამ ფონით უნდა წარდგნენ.

მინდა ვთქვა, რომ „კონტექსტებისა“ და ფონის აუცილებლობაზე ბატონი თომას შპარი ძალიან ბრძნულად საუბრობდა. პირველ რიგში, მკითხველმა ქართული კულტურა, გარემო უნდა გაიცნოს და მხოლოდ ამის შემდეგ დაინტერესდება იმ ლიტერატურით, რომელშიც ეს ყველაფერია ასახული. ყველა ნაბიჯი ყურადღებით უნდა გაითვალოს. ერთმანეთს ჯაჭვივით ებმის ის ამოცანები, რომელთა განხორციელებაც, საბოლოო ჯამში, შექმნის კარგ ქართულ წიგნს. ვფიქრობ, გააზრებული გეგმის გარეშე, თუნდაც ერთი წიგნის თარგმნა და გამოქვეყნებაც არ ღირს. თქვენ უნდა გამოიმუშაოთ შორეული ხედვა, რათა იცოდეთ, რა აინტერესებს უცხოელ მკითხველს.“

ბრაიანა ევეროუდი, გამომცემელი დიდი ბრიტანეთიდან: „წიგნით მოვაჭრეები, ძირითადად, მყვირალა სახელებს, იმ ავტორებს ეტანებიან, რომელთაც საზოგადოება კარგად იცნობს. მგონი, უსამართლობაც კია, ამდენი ქვეყნის ლიტერატურას ერთ პატარა ყუთში რომ ვათავსებთ და მათ საერთო სახელს — „თარგმნილ წიგნებს“ ვარქმევთ. თუმც, ისიც უნდა ითქვას, რომ ვცდილობთ, ეს კარგი წიგნები იყოს. მნიშვნელობა არ აქვს, სად ან ვის მიერაა ისინი დაწერილი. გვინდა ავტორების სახელები ისე გავაჟღეროთ,

რომ მკითხველი მათ შესახებ ერთმანეთს ეკითხებოდეს, მათ ნაწარმოებებს ერთმანეთს სთავაზობდეს. როცა ადამიანები წიგნზე საუბარს იწყებენ, ეს უკვე წარმატების ნიშანია და ცხადია, ყველა ავტორს სურს, მისი ნაშრომი ამგვარი საუბრებისა და განსჯის საგნად იქცეს.

ახალი ლიტერატურის თარგმნა ინგლისურ ენაზე დიდი გამოწვევების შემცველია, გამიჭირდება ჩვენი გამომცემლობის მთარგმნელობითი მიმართულების კონცეფცია ავხსნა. საქმეში გარკვეული თანხის ჩადებაა საჭირო და წინასწარ ვერასოდეს გათვლი, გაამართლებს თუ არა წიგნი შენს ბიზნესგათვლებს, ამოიღებს თუ არა დანახარჯს. მაშ, რატომ ვქირაობთ მთარგმნელს, რატომ ვათარგმნინებთ ტექსტებს, რისთვის ვხარჯავთ ფულს, როცა არ ვიცით, წარმატებული იქნება თუ არა პროექტი? ამიტომაა, რომ სხვადასხვა ორგანიზაცია, ფონდები ჩვენი კულტურის გასამდიდრებლად ამგვარი გამოცემების სუბსიდირებას ცდილობენ. დიდი ბრიტანეთის მოსახლეობა ლიტერატურას, ძირითადად, ინგლისურ ენაზე კითხულობს, ამიტომ ინტენსიური თარგმნა უცხოენოვანი ლიტერატურისა ჩვენი გამომცემლობის ერთ-ერთი პრიორიტეტია.

კიდევ არის საკითხი, რომელსაც მინდა შევეხო: როცა უცხოელი ავტორი ინგლისურენოვანი წიგნის ბაზარზე შემოგყავს, სასურველია, იგი დიდ ბრიტანეთში ჩამოიყვანო და მკითხველს პირადად გააცნო. მისი წარდგენა აუდიტორიის წინაშე, როგორც წესი, ძალიან ეფექტურია, რადგან წიგნის მიმართ საზოგადოების ინტერესს აღვივებს. თუმცა, ესეც დიდ ხარჯებთანაა ხოლმე დაკავშირებული.

როგორ ვპოულობთ ახალ წიგნებს უცხოეთში? ეს ხანგრძლივი და შრომატევადი პროცესია. თუმცა, ყველაფერი მაინც მთარგმნელებზეა დამოკიდებული. გვყავს ასევე აგენტები, რომლებიც სხვა ქვეყნების საგამომცემლო სახლებს უკავშირდებიან და ცდილობენ შეარჩიონ წიგნები, რომელიც ინგლისურ ენაზე თარგმნის შემდეგ იმ პროდუქტად იქცევა, ბაზარზე გატანა რომ ღირს“.

ბერნარდ ფავროლი, გამომცემელი საფრანგეთიდან: „წიგნის დაბეჭდვა ძალიან იოლია, მაგრამ რა აზრი აქვს, თუკი ის არავინ წაიკითხა?

ჩვენ ფრანგულად ვთარგმნეთ და გამოვეცით ოთარ ჭილაძე, ბესიკ ხარანაული. რაც შეეხება ახალგაზრდა ავტორთა შემოქმედებას, ერთის თქმა შემიძლია: კარგი წიგნების გამოცემა გვსურს. უფრო მარტივად ვიტყვი: ჩვენ ვართ გამომცემლები, რომლებიც ვეძებთ კარგ ამბავს, ვეძებთ ისტორიებს, რომელიც მისაღები იქნება საზოგადოების ფართო ფენებისთვის და რაც შეიძლება მეტ მკითხველს მოგვაპოვებინებს. ყველაზე მეტად სწორედ ეს გვაინტერესებს. გვეუბნებიან, რომ ქართული ლიტერატურა ძალიან კარგია, მაგრამ როგორ გავეცნოთ მას? როგორ შევიქმნათ წარმოდგენა ქართულ წიგნზე? — ესაა ძირითადი პრობლემა, რომელსაც გამომცემელი აწყდება. შესაძლებელი უნდა გახდეს, რომ ნაწარმოები, რომელიც ქართულ ენაზეა დაწერილი, ფრანგულად ითარგმნოს და ადაპტირებული იყოს ფრანგულ გარემოსთან. ეს კი იოლი არ არის.

საფრანგეთის მთავრობა მთარგმნელობითი საქმის განვითარებით დაინტერესებულია. ამ მიმართულებით სამთავრობო ორგანოც კი შეიქმნა და გამომცემლები დიდ გრანტებს ვიღებთ. ასე რომ, მთარგმნელებისთვის ჩვენი შეთავაზება ყოველთვის მიმზიდველია. მზად ვართ გამოვცეთ ქართული წიგნებიც, ოღონდ ამისთვის წინასწარ უნდა გავეცნოთ შემოთავაზებული ნაწარმოებების რეზიუმეს, სინოფსისს. ეს საშუალებას მოგვცემს, მივხვდეთ, თუ რა არის ამა თუ იმ რომანში ჩადებული ისეთი, რითაც ფრანგ მკითხველს დავაინტერესებთ და რაც წიგნს წარმატებით გაგვაყიდინებს“.



ტარიელ ხარხელაური

აღსარება მეუღლეს

მარინა!
ბორგვა და შფოთვა მოაქვთ ქარებს,
მთებში არწივების ყივილია,
ცისფერი სიკვდილი მოამთქნარებს —
ცისფერი სიკვდილი —
სულში ტკივილია.
ჩემო წუხილო და სალოცავო
ჭერი ვერ დაგხურე ვარსკვლავების,
მუხაზე მიამბობდი — ჩამოწვაო —
ჩემი საწამებლით გაწამებდი.
ვწუხვარ — ტკივილისთვის გაგიმეტე,
დიდი, უსაშველო ტკივილისთვის,
იქნებ დავიხარჯე უფრო მეტად
ობლად ამოზრდილი გვირილისთვის.
მარინა!
საწუთრო როგორ მეიოლა
ახლა ნისლებს ვუფენ ამ იარებს,
ბევრჯერ დავმარცხდი და დავთმე ბრძოლა,
ბევრჯერ ხანჯლის პირზე გავიარე,
დავთმე, რაც არ იყო დასათმობი,
ბევრჯერ სამშობლოსაც ვუღალატე,
ახლა ჯავრი მშლის და ჯავრი მამტვრევს,
ვერ შევძელ დამხობა დასამხობის.
მარინა!
დაღლილი და დაშაშრული
ისევ შენს ჩეროს შემაფარე,
ისევ მომანატრე გაზაფხული —
სიცოცხლე ისევ შემაყვარე.
თორემ ძაანა ვარ დაბინდული,
მზე ჩემს ბნელ სხეულს ვეღარ ანთებს,
მე ვარ მამულივით გაყიდული
და ჩამოღვენთილს ვგავარ სანთელს.
მარინა!
ბორგვა და შფოთვა მოაქვთ ქარებს,
მთებში არწივების ყივილია,
ცისფერი სიკვდილი მოამთქნარებს,
ცისფერი სიკვდილი —
სულში ტკივილია.

* * *

მძაფრი და და დრამატული
ღამეთა მისტერია,
ანგრევს და ანადგურებს
დღეების იმპერიას
და მისდევს ბარბაცით
ხნიერი მსოფლიო,
მუდმივად რაღაცით
ვარ უკმაყოფილო
და მზერას შევკიდებ
ცას სრული ალმობით,
მადლობა ჯერ კიდევ
მზე მაინც ამოდის...

* * *

მარიამ წიკლაურს

რა ხდება ბურსაჭირელო
მანდ ბურსაჭირის ღელესა?!
დადიან შავი ნისლები,
ბალახზე ჰშლიან ცრემლებსა,
ისევ უყვავით პირიმზე
კლდეებს მწვერვალთა მცველებსა,
ისევ ჰლოკავენ ღრუბელნი
შავად ჩამომდგარ სერებსა.
მზე თუ ჰყავთ ხშირი სტუმარი
ჯიხვების მოსასვენებსა,
თუ ადგა მთვარის ნათელი
კავკასიონის წვერებსა,
ბარტყებს თუ სჩეკენ არწივნი
აზრდევინებენ გველებსა,
ყორანთა თუ ჰყეფს ლაშქარი
ბნელს ჩადაბლებულ ხევებსა.
მტერს კიდევ თუ სჭრით მარჯვენას
და აკორტნინებთ ძერებსა,
ასწავლით ლომთა ნაშიერთ
მამა-პაპათა ჩვევებსა,
თუ ბანზე სწევხართ, იცოხნით
ჯავრს ძნელად მოსანელებელს,
დაკოჟრილ ხელით ივარცხნით
ხშირ დაყვითლებულ წვერებსა.
აღარ ჰფენთ ხატისკარს სუფრას
სულეთის მოსახსენებსა,
არ იწერთ მთების ნაუბართ
ბრძნულს რომ გაძლევენთ რჩევებსა,
კარგია რომ ვერ სწურთნიან
შენფერად სვილისფერებსა.
მადლობა გამჩენს — არ ულევს
ჩემს ბედკრულ მამულს მცველებსა,
იქროლოს თავის ჭკვაზედა —
ქარს რაღა შეაჩერებსა.

* * *

ქარი — როგორც პოეტს — მაღიარებს,
მთვარე ქედს იხრის და ირწმუნება,
მე კი ვიცქირები ნაღვლიანი
ჩემი გამჭვარტლული მიწურიდან.
და ჩამოცრემლილ თვალებს ვიწმენდ,
ქრის და ნისლთა ფარფატს ვაკვირდები,
როგორ მენატრება ახლა მიწა —
ცოტაც და ალბათ ავტირდები.
ცოტაც და ალბათ შევიშლები,
აჩრდილებს ავწეწავ ლოდებიდან,
მზეა და ცრემლები შემიშრება,
იქნებ და მზისა მომერიდა.
ზურგით შევტრიალდი დაზაფრული,
კარები მივიხურე უხმაუროდ,
ისე ჩავასრულე გაზაფხული
რაღაცნაირად, უცნაურად,
რომ გვირილებთანაც ვერ მივსულვარ,
თვალი ვერ შევავლე მოფერებით
და ვარ ფიქრებით დანისლული —
მთებზე დაფენილი სოფელივით.
ქარი — როგორც პოეტს — მაღიარებს,
მთვარე ქედს იხრის და ირწმუნება,
მე კი ვიცქირები ნაღვლიანი
ჩემი გამჭვარტლული მიწურიდან.

* * *

ქალო, ქალთათვის დუმილი
სამკაულია სულისა,
ხატია მოსიარულე
ზეციდან გადმოსულისა.
რაც მეტსა სდუმხარ, ცეცხლს ანთებ,
უფრო ამძაფრებ სურვილსა,
ვერ დააწყლურებს ვერავინ
შენგან გაჩენილ წყურვილსა,
არ შეუქმნია სამყაროს
წამალი ასეთ წყლულისა.

* * *

ვზივარ გადმოშლილ ყორესთან —
ნასაკირალთან ახლოს,
კედლებზე სთვლემენ ყორნები
ჩამონგრეული სახლის.
მტვერი აყრია ცხენის თავს
რუვთან ნადირის ნახრავს,
ერდოზე ნივრის ნაფრცქვენი,
ორიოდ თავი ხახვის,
არსად ჭიხვინი არც ცხენის,
არსად ყაყანი ხალხის.
კედლებში ბუდე კელების,
ისმის ხმაური ფრთხილი,
ვათვალიერებ ხველებით
ხავსიან ტოტებს თხილის
და არცთუ ისე შორიდან
წკავ-წკავი ისმის ძაღლის,
სადღაც ამოდის ბოლი და
ფეთქავს სიცოცხლის ძარღვი.

* * *

ჩვეულებრივად ვწუწუნებ, მოვთქვამ,
ნისლის ბარბაცს ჰგავს ჩემი ძუნძული,
პირქვედამხობილ ბუერის ფოთოლს
მაგონებს მხოლოდ ქალის ძუძუნი.
განქარდა ეშხი, ასე რომ მწვავდა,
ცაზე ჩამომსხდარ ვარსკვლავთ მშვენება,
ზვავს დავემსგავსე ნახევრად დამდნარს
და ძილის წინაც მახრჩობს ხველება.
როგორღაც მაინც ვახერხებ ჩაცმას,
დილით რას იზამს, არ იცის მარტმა...
ბუხრის კალთაზე ვაგროვებ ნაცარს
და წვრილი ჩხირით ჩემს პორტრეტს ვხატავ.

* * *

ტყის დასაწყისთან გამოჩნდა ვიღაც —
ან ყნოსავს ყვავილს, ან ეფერება,
ისეთ გულზე ვარ, რომ გითხრათ ჟინჟღლავს,
ესეც ნაკლებად დამეჯერება.
გადაიარა წეროთა გუნდმა —
მშვიდობის მწუხრი ერთხმად მისურვა,
მზეს ვთხოვე, მზემ გზა არ გაიმრუდა,
დაეწვერა და ცაც დაიხურა.

* * *

მოხვედი ჩემთან, გაზაფხულო, როგორ მინდოდი,
სავსე ხარ სევდით და ეჭვებმა სული დაფლითა,
შეურვებული უმზეობით, უამინდობით
და ასე გრძელი, უსაშველოდ გრძელი ზამთრითა.
მოხვედი ჩემთან, გაზაფხულო, მოხვედი ჩემთან,
მადლობა, ჩემო, ჩემი პოვნა არ გაგიძნელდა,
მთელი ზამთარი მე ვიცხოვრე ეჭვთან და ცრემლთან
და ქარიშხალიც მაწამებდა, ბეჭებს მინგრევდა.
ახლა თუნდ მოვკვდე, ეს სიკვდილიც არის იოლი,
რადგან გიხილე, შენი ხილვა რადგან მეღირსა,
ჩემს სხეულიდან ჩამორეცხავს ნაგავს იორი,
დამასაფლავებს თეთრ ნისლებში გათენებისას.
მოხვედი ჩემთან, გაზაფხულო, მოხვედი ჩემთან,
როგორ მინდოდი, როგორ მსურდი, როგორ მწყუროდი,
ჩემი ტკივილის მიზეზია დღეს მხოლოდ ეს ცა,
თვის სილამაზით, ეჭვებით და უსასრულობით.

* * *

ჩემს ტკივილს სისხლისფერი აქვს,
ჩემს ცრემლებს სისხლის გემო,
ვბუბუნებ, როცა მღერიან
ნისლნი ქარაფებს ზემოთ,
რა ძნელი მოსათმენია —
ძნელი, სიცოცხლევ ჩემო.
მზე მთებზე ამოწვერილი
ძალზე ნაკლებად მათბობს,
ცის გულისპირზე ვწერივარ
ყაყაჩოსფერი მელნით,
ნურავის ნუ ეგონება
ეს ტკივილები დავთმო,
ტკივილი გაჯერებული —
ჩემი სისხლით და ცრემლით.

* * *

ცის იმ კუთხეში, აივნის — რომ ჩანს
მთის წვერებს შუა,
ხვალ აენთება მზის წასვლის გამო
თეთრი ვარსკვლავი,
მის გამოჩენას რატომღაც მწამს — ცა ეტყვის უარს
და ზურგს შეაქცევს და უარყოფს ასეთ სამყაროს.
ეს სამყარო კი ჩემი იყო, ცრემლით ვაშენე
და ვქარგე სისხლით ულაზათოდ შეკრული ჭერი,
ბოდიში, ცაო, კიდევ ერთხელ ვერ დავამშვენე
შენ რომ გინდოდა — მე ვერ შევქმენ ისეთი ფერი.

* * *

ცივი დღეა და ჟინჟღლავს,
მთებზე ნისლთა წევს ზოლი,
სახიფათოა სიღრმე
ემოციური ფონის.
მაინც ვახერხებ ღელვას,
მაინც რაღაცას ვცდილობ,
ძილინებისა მთებო
და შენ მსოფლიო ჩრდილო.

* * *

შემომწყრა, შემოვიმდურე,
გრილი ნიავი მთებისა,
აღარც არწივთა ხმა მოაქვს,
აღარც თქრიალი ფრთებისა.
ქარაფთან ცისკრის ვარსკვლავი
ძალიან ხშირად ჰკრთებისა,
დღეს ჩემი მტანჯავს და მოვთქვამ —
არ ვიზიარებ სხვებისას.
ვარ დამუხვლილი ხატისკარს
პირშებურვილი, მდუმარი,
ვმასპინძლობ წარსულის ლანდებს
იმათთვისა ვშლი პურ-მარილს.
მეფერებიან ნისლები
სულ ჩემს გარშემო მბრუნავნი,
ყურთ არც მდინარის ხმა მოსდის
აღარც ტყეების შრიალი,
მაინც ვახერხებ ტირილსა —
ცრემლი ჩამომდის თქრიალით.

* * *

ვუსმენდი შუმანს — დღე იყო ფრთხილი
და მეტისმეტად ლამაზად წვიმდა
ნასახლარებში ხეთა წევს ჩრდილი
და მოგონება გასული წლიდან.
ასდევნებია გონებას შეშლილს,

მზე თხლად დამაფენს სხივებს ღრუბლიდან,
მქონდა ზეცისთვის შედგმული პეშვი
და მადლს ვლოკავდი უფლის უბიდან.

* * *

მთებიდან მთებზე,
მთებიდან მთებზე
ღრუბელი ვარ და მსუბუქად ვცურავ,
ჩემთვის შემორჩა ამ ზეცას დღეს მზე,
ჩემთვის აენთო ვარსკვლავი სრულად.
თავანზე ზეცის ტაძარი მოსჩანს,
ტაძრის სიღრმიდან კრთის სანთლის ალი,
შემომაშველე, ძვირფასო, ლოცვა,
და ისევ შენით ამივსე თვალი.
როგორ არ კმარა სიმაღლე მთების,
როგორ დამადნო სურვილმა შენმა,
შემომალეწეს ქარებმა ფრთები
და სამწუხაროდ, — გაძნელდა ფრენა.

* * *

წუთისოფელი მმასპინძლობს ვიდრე
ამ სხეულიდან გამიყვანს სული,
ყაყაჩო წითლად ამინთებს მინდვრებს
და გაზაფხული ამიხდენს სურვილს.
ულურჯეს კალთებს აჰკრეფავს ზეცა
და ცათა მიღმა მკვეთრად იელვებს,
შეუერთდება მსოფლიო კვნესა
ამ მარადიულ სიცარიელეს.

* * *

და იგრძნო სულმა სიცარიელე
კლდეს ჩაეკიდა ქარი ბრჭყალებით,
სხეული ჩემი არის ხნიერი
და მოდის ჟამი გარდაცვალების...
ჩადის მზე, მთებზე ყრიან ნისლები,
ყრიან და სიკვდილს ჩემსა ელიან
ვერა, ნისლებო, ვერ ეღირსებით —
არ გასრულდება ეს მისტერია.
ჰკითხეთ ამ მთვარეს, ამ ზეცას ჰკითხეთ,
რა აფერმკრთალებს ყველა მოლოდინს,
ბებერ პლანეტას — მე როგორც ფიქრი —
შევრჩები, რადგან ფიქრში ვცხოვრობდი.

* * *

ქვითინებს ქარი,
გვითინებს ქარი
და აწიოკებს გამხმარ ლელიანს,
ულურჯეს ტაძრის გუმბათზე მთვარე
წევს და ცრემლივით მთვარე სველია.
მამულის თავზე საავდრო ღრუბლის
აჩრდილი შავი გველივით ცურავს,
გადახსნილია მამულის უბე,
გადახსნილია სხეული სრულად.
გულო, იქნებ დამდორდე, გულო უნდა მოეშვა,
ცამ ვარსკვლავად აისხა, რაც ცრემლებად გდენია,
შენთვის მყუდრო ადგილი ამ ჩონჩხების მორევში
ვერა და ვერ იპოვე, როგორ არა გრცხვენია.
ბორგავს და ვერ ისვენებს, გულო, სული მბორგავი
და შენც დაწყლულებული ისევ წყლულებს იმატებ,
წაღმა ვერ შეაბრუნე წუთისოფლის ბორბალი
და მზეს საქართველოსას კვლავ აკლდება სინათლე.
როგორ მინდა ვეფერო შენს კეთროვან ტკივილებს,
მზემ დამადნოს შენს წყლულებს თუ მალამოდ ვედები,
ერთხელ კიდევ წამოდექ — უფლის თეთრო გვირილო
და შეჰბღავლე სამყაროს —
შეჰბღავლე რომ ჰბერდები.
ქვითინებს ქარი,
ქვითინებს ქარი
და ნისლი იწევს მხოლოდ ლელიანს
და ეკლესიის გუმბათზე მთვარე
წევს და ნისლივით მთვარეც სველია.

* * *

ხან ვტირი, ხანაც ვიცინი,
ხან ძარღვებს ვიფლეთ კბილებით,
ხან გავიშლები ნისლივით
მთებს მკერდზე დავეფინები.
ზოგჯერ ვშრიალებ იფნივით,
მზეს თავს ვაწონებ ჩრდილებით,
ხან შინა ვზივარ ბუხართან
ზურგზე ამძვრალი ტყავითა,
ხან ჩამოვდგები მუხასთან
ფიქრებით გაგლილ თავითა.
ხანაც კლდის პირას ვყუდივარ
ბრძამის ტოტივით ვშრიალებ,
ხან ვილანძღები უტიფრად
მდინარესავით ვღრიალებ.
ხან მტვრიან გზებზე ვაგდივარ
როგორც ფოთოლი გვიმრისა,
უმეტესწილად ლანდი ვარ
სამაროვანთა გმინვისა,
ღამით მამულში დავდივარ —
როგორც სურნელი წვიმისა.

* * *

ისევ ვგრძნობ შორი სამყაროს შიმშილს,
იცვალა ფერი ცათა ღიობმა
და გაჩნდა შიში, სიკვდილის შიში
ასე რომ ზარავს კაცობრიობას
და მაინც მოდის —
და მაინც მოდის,
მოდის, მოარღვევს დამსკდარ ნაპირებს
და განასრულებს უმძიმეს ლოდინს
და შეასრულებს ცა დანაპირებს.
შენ სადღა ჩქარობ მუდამ მბორგავი
სულო, უსაზღვრო ფრენით დაღლილო,
შენ ერთი დამრჩი, ერთი მოძრავი
უსასრულობის თეთრო ნაგრილო.
მივხვდი, ვინცა ხარ, რაცა ხარ — მივხვდი,
სხვა აღარაფრის არ მსურს განდობა,
რომ არა მტოვებ, მადლობას გიხდი,
რომ გხედავ — მაინც დიდი მადლობა.

* * *

გავურბი წერას —
არც ფიქრი მინდა,
მძულს სამყარო და აღარ ვგრძნობ ტკივილს,
ირგვლივ კი ბინდი
და მხოლოდ ბინდი
ჩემი მბორგავი სხეულის ჩრდილი.
გავურბი წერას —
აღარ ვგრძნობ ფერებს,
ჩამოშრა ძარღვი ნედლი სტრიქონის,
მე შეშლილი ვარ
დიდიხნის მერე
რომ გემო მტანჯავს შენი სიშორის.
გავურბი წერას —
ჩემს მტვრიან თვალებს
ვწუხვარ, რომ მაინც შეაშრათ ცრემლი,
ჩემს ხერხემალზე დალეწეს მთვარე
და კვნესა მტანჯავს ხნიერ ხერხემლის.
ვგრძნობ — ვეღარ შევძლებ
ვგრძნობ, დავეცემი,
არავის ვუხმობ, არ მინდა შველა,
ცარიელია მზის სარეცელი —
ვხურავ სივრცეს და ვასრულებ წერას
და იყო ღია ყოველი კარი —
მხოლოდ გალობის ხმები ისმოდა...
ამ ბებერ მიწას მე შევრჩი მგზავრი,
ზურგით რომ იჭერს მარადისობას.

* * *

სადაც შენ სუნთქავ, იქ მოსვლა მიმძიმს —
შენს სატკივართან ჩემსას არ ვამხელ,
მქონდა უნარი შორიდან მეგრძნე
ფიქრით მექსოვა გრძნეული სახე.
მინდა შორს იყო, შორიდან ვკვლევდე,
მზე როცა გინთებს ტაძარს სულისას,
ვიდგე წვიმაში და შენთვის ვწერდე
მუსიკას მზის და გაზაფხულისას.
ახლა უეცრად ჩამომაღამდა,
ტანჯვით ავიგე ბინდის მიწური,
ქარმა თუ სახე ჩამომაღადრა —
როგორ შეგქმნა და როგორ გირწმუნო
და როგორც გინდა, ისე ჩათვალე,
იქნებ ზედმეტად ვინმეც მწყალობდით,
იქნებ არც მაშინ ვიყავ მართალი
მინდვრის ფსალმუნებს როცა ვგალობდი.
დიდი ხანია, ო, დიდი ხანი —
რაც ამ სამყაროს სევდას ვატარებ,
ჩემს სალოცავთან ლანდი წევს ღამის
და სხეულს ჩემსას ამჩნევს ნაკვალევს.
მე კი მინდოდა ახლოს მყოლოდი,
ახლოს მყოლოდი უფლის ნებიერს,
როგორც სანთელი — დამწვი ბოლომდის,
შენით სიცოცხლე შემაძლებინე.

* * *

მგელი მზრდიდა და მაჩვევდა ძუნძულს,
სველ ბილიკებზე ძუნძულს მაჩვევდა
და მაწოვებდა ღრუბელი ძუძუს
მუხლის მოკვეთას როცა მამჩნევდა
და იქა მზრდიდნენ, სად გრიგალები
დაბზარულ კლდეებს კალთებს უფქვავდა,
აწიოკებდნენ ცივი ქარები
ნისლებს ლაღთა და თავისუფალთა
და ჩამოთოვლილ მწვერვალებს მაღალთ
ცის მხრებზე წოლა როცა ემძიმათ,
როცა სხეულიც იგრძნობდა დაღლას —
არწივის გაშლილ ფრთებზე მეძინა.

* * *

თუ ნებას დამრთავთ, შეგადარებთ გამაძღარ ყორანს —
რომელიც სჭამს და არ ანაღვლებს სიმყრალე მძორის,
თუმცა სად მივალ, თქვენ მაგონებთ ღორს ლაფში
მგორავს
და ხასიათსაც უფრო ხშირად ატარებთ ღორის.
ჩემსას ჰკითხულობთ, მე ვინა ვარ — არ მიკვირს სულაც,
დიდი ხანია ამ შეკითხვას თქვენგანაც ველი,
მე დემონი ვარ, დემონი ვარ შეშლილი სული,
გველი ვარ, გველი — თუმც სხეულს არ ვატარებ გველის.
მაგრამ მიყურეთ — შემიძლია ჭარის გამოცვლა
და შიშველ ძვლებზე რომ ავისხა ხორცი ახალი
და თქვენთან ახლა, ბატონებო, ამის გამოც ვარ —
ჩემი სისხლისგან მოვიმზადო თქვენი სამხარი.
რატომ იცინი?! შენ მოგმართავ — იქნებ არც გჯერა,
სად შეამჩნიე ამ სიტყვებში ყალბი პათოსი...
სხეული არა, რად მიყურებთ — გული მაქვს ჭრელი
და ამიტომაც ვეღარ ათბობს ჩემს სულს გათოშილს.

* * *

როდემდის ვსდიო ამ ლეგა ნისლებს
და ქარაფებზე ვუთიო ღამე,
თვალი სულ ფხიზლად მეჭიროს ცისკენ
და ვხსნიდე ცათა ურთულეს გამებს.
როდემდის ვსდიო ამ შეშლილ ქარებს,
მინგრევდეს სული დაუბორკველი,
როდემდის ვიყო თუნდაც ამ მთვარის
ჩაყვითლებული ზურგის მლოკველი.
როდემდის ვთვალო ვარსკვლავი ცაზე,
მტანჯავდეს თვლემა ფიქრში განბანილს,
ან ქარიშხლების ვბღაოდე ხმაზე —
მეფაროს თოვლის თეთრი საბანი.
როდემდის უნდა მაკრთობდეს ელვა
და მქონდეს კრძალვა ცათა ღიობის
და უნდა მჭირდეს ტკივილი ყველა
ამ კეთროვანი კაცობრიობის.

* * *

აღარ ვმღერი — ჩემი ცრემლი
ჰგავს ტყის პირის ბილიკს მტვრიანს,
ქარს ფოთლები ფენა-ფენა
თეთრი მდინარისკენ მიაქვს,
როგორ მტკივა ყველაფერი,
ყველაფერი როგორ მტკივა.
გაშიშველულხ ხეთა წვერებს
დღეს მზის სხივი აღარ სწყალობს,
თეთრი ნისლი სტოვებს ხევებს,
ხევებიდან გასვლას ჩქარობს,
მზე ანთია სანახევროდ,
გულწითელი ჩიტი გალობს.
არეული ამინდია —
ხან წვიმს, ხანაც ამზიანებს,
აღარსაით არ მივდივარ,
არავისთან ვიგვიანებ,
თავი კუნძზე დამიდვია —
ველოდები ნიღბიანებს.

* * *

შეწყდა ჩოჩქოლი, შეთხელდა
გზებზე მიმოსვლა მგზავრისა,
შებინდდა, ცაზე ამოჩნდა
ყვითელი ზურგი მთვარისა.
გულის მომწყვლელად მოისმა
ქარაფზე ყეფა ქარისა,
მიწის გულ-მკერდზე ჩამოდნა
სხივი ვარსკვლავთა ალისა.
ჩემშიც შემოდგა ტკივილი
სამყაროს სიფერმკრთალისა.

* * *

თანდათან ღღვება მზე დანისლული,
ძირს პლანეტათა ნამსხვრევი ყრია,
დაფლეთილია სამყაროს გული,
სამყარო კვნესის,
სამყაროს სტკივა...
გამჭვარტლულია სამყაროს ჭერი,
უკანასკნელი ვარსკვლავი ქრება,
გაღადრულია სამყაროს ყელი,
სამყარო იწვის —
სამყარო კვდება...
ირგვლივ ფერები მატულობს თალხი,
ჩაქრა — ნათელი რომ ჩანდა მცირე,
უფლის ტაძართან ზღვა ღელავს ხალხის,
უფალი სწუხს და ცრემლები სცვივა.
კვდება სამყარო, შეჩერდი წამო,
რომ ეს დღეც ჩაქრეს სუსტი და მღვრიე,
უფლის ცრემლები აესხა ნამად
უკვე მტვრადქცეულ სამყაროს იერს.
რაღაცა დიდი დასრულდა ჟამი,
რაღაცა დიდი შენელდა ფეთქვა
და ლურჯი სივრცის გაიხსნა კარი —
გვაუწყა სულთა გადმოსვლა მკვდრეთით.

* * *

მადლობა უფალს! ჯერ ისევ სჩანხარ,
ჯერ ისევ სჩანხარ ჩემო ვარსკვლავო,
როცა იხილავს შენს სახეს ჩამქრალს —
მზე მაშინ შესძრავს გმინვით სამყაროს.
მადლობა უფალს! რომ წვის გარეშე
ერთი წამითაც არ მიცხოვრია,
ის, რაც ჩამოდნა ცრემლად თვალებში,
დღეს მთებს აწევთ და თეთრი თოვლია.
მადლობა უფალს!
მადლობა უფალს! —
რომ პოეზიის გზებით მატარა
და როგორც ქარის შეშლილი სუნთქვა —
მომდო პლანეტებს და მაკანკალა.

დასაწყისი პირველ გვერდზე

მეხსიერება გადაჭრით უარს ამბობდა თავისი მოვალეობის აღსრულებაზე. მაშინ სასაფლაოს სტუმარმა ხერხს მიმართა: აიღო უახლოესი „თარიღიანი დღე“. ე. ი. ისეთი დღე, რომელსაც უკეთ იცნობდა, ვიდრე დაკარგულ ბოლო დღეებს, კერძოდ იცოდა, თვის რომელ რიცხვს შეესაბამებოდა იგი – ასეთი დღე გამოდგა პირველი მარტი – მერე შეეცადა ყოველი მომდევნო დღე აღედგინა მეხსიერებაში რაიმე გარკვეული ნიშნით და თან ეთარიღებინა. მაგრამ სასურველი შედეგი არც ამას მოჰყვა. მართალია, რამდენიმე დღე მართლაც მოიგონა, მაგალითად, ორი მარტი იმით, რომ პროექტი ჩააბარა და მოიწონეს, სამში აბუთიძეებთან სადილად ვერ წავიდნენ, რადგან ბიძა ეწვია სტუმრად და მთელი საღამო დარჩა, მაგრამ შემდეგ, როდესაც ავადმყოფობის საბედისწერო დღეებს მიადგა, ისევ ყველაფერი აირია; ბუნდოვნად მოჩანდა მხოლოდ ექიმის მკაცრი სახე, ავადმყოფის ნაღვლიანი, ოდნავ დამცინავი თვალები და სანახავად მოსული ამხანაგები, რომელთაც ძღვნად მოტანილი ნამცხვრები უკანვე წაიღეს მას შემდეგ, რაც ექიმმა ღიმილით აუხსნა, რომ ავადმყოფს ყველაფერს როდი აჭმევდნენ, რის მოტანაც გულკეთილ მეგობრებს მოუვიდოდათ აზრად.

მაშინ ის სასაცილო ჩანდა!

„ალბათ შუა მარტია, მალე დაილევა კიდეც; ბოლოს და ბოლოს დასრულდება ეს ჯოჯოხეთი და მოვა გაზაფხული“ – გაიფიქრა ახალგაზრდა კაცმა და ამ ზოგად მოსაზრებას დასჯერდა, რაკი სხვა გამოსავალი არ ჩანდა.

ზამთრის დღეები დათვლილი იყო და, თუმცა ბუნება არას დაგიდევს კალენდარს, მაგრამ კალენდარი თვითონ ბუნების ნაკარნახევია, ამიტომ გაზაფხული კარზე იდგა.

კარზე კი იდგა, მაგრამ რაღა დროს! ვინც აღმერთებდა იგი ვეღარ მოესწრო. შარშანდელი გაზაფხული გამოდგა მისთვის ბოლო, მაგრამ შარშან ვინ ფიქრობდა ბოლოზე? მაშინ მან ჩაიარა, როგორც ერთ-ერთმა რიგითმა გაზაფხულმა, ამიტომ ფაქტიურად ბოლო გაზაფხული არც ყოფილა. თუ ბოლოა, უნდა იცოდე კიდეც, რომ ბოლოა და მაშინ შესაფერისად, ე. ი. ვნებიანად, ნაღვლიანად და სრულად მიეცემი მის სიყვარულს. ოცდახუთი გაზაფხული გამოიარა მან, მაგრამ ბოლო არც ერთი არ ყოფილა, რადგან ოცდამეექვსემ დაიგვიანა. მას არ ჰქონია ბოლო გაზაფხული, ბოლო იები, იები! აი, რა იყო მისი სისუსტე და თავშეუკავებელი სიყვარული. რაღაც კომიკური და შემაშფოთებელიც კი იყო იმ სიყვარულში. ახალგაზრდა კაცი ხუმრობით ეჭვიანობდა კიდეც იებზე. იგი, ვინც ახლა აქ წევს და ვეღარასოდეს იხილავს იებს, ადრიან გაზაფხულზე, როცა თბილისის დიდი ქუჩები სავსეა იებით მოვაჭრე სოფლელი დედაკაცებით, ყოველ მათგანთან ყიდულობდა თითო კონას. უკლებლივ ყველასთან, ვინც კი შეხვდებოდა. ხანდახან ისე დატვირთული მოდიოდა სახლში, რომ თვითონ ჰგავდა იების გამყიდველს. ხოლო ნამდვილი გამყიდველები, თურმე, კარგად იცნობდნენ მას და როგორც კი თვალს მოჰკრავდნენ ქუჩაში მომავალს, თვითონვე შეეგებებოდნენ წინ და ღიმილით უწვდიდნენ მის წილ ერთ კონა იას.

ვეღარ მოესწრო, არ დააცალა სიკვდილმა თავისი საყვარელი გაზაფხულისა და იების ხილვა.

და მან იცოდა, რომ ვეღარ მოესწრებოდა!

„გაზაფხულამდე მაინც მიმეღწია“.

ახლაც ყურებში უწივის ეს სიტყვები ახალგაზრდა კაცს, ერთადერთი ფრაზა, რომლითაც განსვენებულმა ამ ქვეყნიდან წასვლა გამოიგლოვა.

საოცარია, ექიმს ჯერ კიდევ არ გადაეწყვიტა იმედი. მართალია მის მკაცრ სახეზე შეშფოთებას კითხულობდა ჭირისუფალი, მაგრამ წყალი არასოდეს გადაუწურავს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ბოლო დღეს, როდესაც ექიმის ავტორიტეტული სიტყვა აღარ იყო საჭირო იმის მისახვედრად, რომ სიცოცხლე წყვეტდა მოქმედებას და სიკვდილი ეუფლებოდა თავის მსხვერპლს.

და მაშინ, როდესაც ექიმს ჯერ კიდევ ჰქონდა გადარჩენის იმედი, ახალგაზრდა კაცმა უეცრად გაიგონა: „გაზაფხულამდე მაინც მიმეღწია“.

იგი ნაღვლიანი, ოდნავ დამცინავი თვალებით მდუმარედ გაჰყურებდა გაორთქლილი ფანჯრიდან თოვლის ფანტელებს, რომლებსაც დიდხანს ათამაშებდა ქარი ჰაერში, სანამ მიწაზე დაუშვებდა.

ჯემალ ქარჩხაძე

დაბრუნება

იგი ზურგით ეყრდნობოდა მაღალ სასთუმალს და ნახევრად წამოწოლილი, ნახევრად წამომჯდარი შესცქეროდა ფიფქების ცვენას. მისი გამხდარი, თეთრი (ვაი, რომ მეტისმეტად თეთრი) ხელები, რომლებსაც მაჯებამდე ვარდისფერი ხალათი ფარავდა, ერთმანეთის გვერდიგვერდ ეწყო წითელი ფოთლებით მოხატულ საბანზე. ტუჩები არ ჩანდა, ხოლო სხეულის დანარჩენი ნაწილი სუნთქვაშეკრულივით გარინდებულიყო, ამიტომ ახალგაზრდა კაცს უცებ მოეჩვენა თითქოს ეს სიტყვები სადღაც გარეთ თქვეს, თოვლში. მაგრამ ეს იყო „უცებ, სანამ აზრი გამოინასკვებოდა გონებაში, ხოლო როდესაც გამოინასკვა, გული ჩასწყდა. იგი მოელოდა რაღაცას, მოელოდა ცრემლებს, თუნდაც ისტერიკას, მაგრამ არა ამას – ასე უბრალოდ, ყოველგვარი ინტონაციის გარეშე (სინანულიც კი არ ჩანდა ხმაში, თუმცა ნათქვამი აზრი სწორედ ეს იყო), და ასე გადაჭრით. არც მოუხედავს, ისე, თავისთვის წაილაპარაკა. ასეთი კილო აქვს ღრმად ჩაფიქრებულ კაცს, რომელიც კულმინაციურ მომენტში თავისდაუნებურად ხმამაღლა განაგრძობს ფიქრს.

რა ეპასუხა?

როგორ იღესება მომაკვდავის გრძნობები! ავადმყოფობის ბოლო სტადიაში, როცა სიკვდილი და სიცოცხლე უშუალოდ ეხებიან ერთმანეთს, ერთმანეთში გადადიან, ავადმყოფი იგებს, რომ მოკვდება, თუმცა მომვლელებმა ჯერ კიდევ არაფერი იციან, რადგან მათ არა აქვთ სიკვდილის გრძნობა და მხოლოდ ფაქტიურ მონაცემებს ეყრდნობიან. მაშინ ავადმყოფთან მოდიან მიცვალებულები და ესაუბრებიან; მასთან კი არავინ მოსულა (ახალგაზრდა კაცს არ ახსოვს ასეთი შემთხვევა). ან კი ვინ უნდა მოსულიყო: დედა ბავშვის დაბადებისთანავე განშორდა სააქაოს და მარადიულ არსებობაში გადავიდა, ასე რომ, შვილის ცნობიერებაში მისი სახე არ არსებობდა, მამა კი, ალბათ, გალეშილი ეგდო სადღაც ჯოჯოხეთში.

რა ეპასუხა?

საჭირო იყო რაიმე დამამშვიდებელი, რაიმე მანუგეშებელი სიტყვა. ახალგაზრდა კაცს ენაზე მოადგა თავისი ტრადიციული გამოთქმა მსგავსი შემთხვევებისათვის: „კაი, თუ ძმა ხარ, ნუ სულელობ“, მაგრამ დროზე დააჭირა ენას კბილი. ასეთ სიტუაციაში მიმართვის ფორმა „თუ ძმა ხარ“, რომელსაც თავის მეგობრებში უცვლელად ხმარობდა, განურჩევლად იმისა, თუ რომელი სქესის წარმომადგენელთან ჰქონდა საქმე, ახლა უხერხული ჩანდა. მოახლოებული სიკვდილის სუნთქვა, რომელიც ისეთ გრძნობას ბადებდა, როგორიც ეკლესიაში შესვლისას ეუფლება კაცს, მოითხოვდა თუ უფრო ამაღლებულს არა, უფრო მკაცრად შერჩეულსა და ნაკლებ დაუდევარ გამოთქმას. მით უმეტეს „სულელობ!“ ეკლესიაში ვინ იგინება!

შეუძლებელი იყო აგრეთვე მოხვევა და თეატრალური, სენტიმენტალური: „რას ამბობ, ჩემო, შენ არ მოკვდები, შენ უნდა იცოცხლო, შენ უნდა იცოცხლო ჩვენი სიყვარულის გულისათვის“; ეს ახალგაზრდა კაცის ბუნებას არ შეეფერებოდა და ავადმყოფის ალესილი გრძნობა წამსვე შეამჩნევდა კილოს სიყალბეს. მაშინ სად გაექცეოდი ნაღვლიან და ოდნავ დამცინავ თვალებს!

ასე მკაფიოდ, წინადადებათა სახით არ ჩამოყალიბებულან ეს მოსაზრებები. მათ ელვასავით გაიქროლეს, განისაჯენ სადღაც არსებობის სიღრმეში და დაწუნებულ და უკუგდებულ იქნენ, ხოლო ახალგაზრდა კაცი ანგარიშმიუცემლად დაიხარა და გამხდარ, თეთრ (სამწუხაროდ, მეტისმეტად თეთრ) ხელებს სათითაოდ ემთხვია. დიახ, ემთხვია. მან არ იცოდა რამდენად დამაკმაყოფილებელი იყო ასეთი პასუხი; ნიშნავდა იგი დაიმედებას და ნუგეშისცემას თუ დასტურსა და უმწეო თანაგრძნობას? ალბათ, მეორეს.

მერე მოვიდა სიკვდილი, დაასწრო გაზაფხულს...

...მაშინ ახალგაზრდა კაცი რამდენიმე წლით უფრო ახალგაზრდა იყო, ჯიბეში სტუდენტის ბილეთი ედო, თავში — ლექციები და ახალგაზრდული ქარი. ყოველ ხელსაყრელ შემთხვევას იყენებდა ლექციების გასაცდენად და არც ერთ ხელსაყრელ შემთხვევას არ უშვებდა, რომ უფასო სუფრას მისჯდომოდა; ოჯახზე არ ფიქრობდა და უწყინარი ზომიერი ფლირტით კმაყოფილდებოდა. მაგრამ აი, ერთ მშვენიერ დღეს ატეხა გულმა უჩვეულო ბაგაბუგი, გაგიჟდა და ტყავში ვეღარ ჩაეტია...

ერთხელ ახალგაზრდა კაცი შემთხვევით უცნობი ქალიშვილის დღეობაზე მოხვდა (თუმცა ეს „შემთხვევით“, ვგონებ, ჩვენი კეთილი განწყობილებით წამოგვცდა და ნაკლებად გამოხატავს საქმის არსს, რადგან ასეთი „შემთხვევითობა“ სტუდენტებში და, საერთოდ, ახალგაზრდებში ერთობ გავრცელებული და ჩვეულებრივი მოვლენაა). ერთმა თანაკურსელმა, რომელიც თავის მხრივ მიწვეული იყო დღეობაზე, საკუთარი ინიციატივითა და პასუხისმგებლობით სრულიად უცნობი კაცი მიაყენა იუბილარს კარზე.

იყო გიტარა, იყო ტკბილი და დამათრობელი ხმები და არანაკლებ დამათრობელი კახური ღვინო, რომელმაც გადამწყვეტი გავლენა იქონია მესუფრეთა აღგზნების ხარისხზე და კისერი მოტეხა თამადას, ვინც ძალიან ბევრს და ძალიან არეულად მჭევრმეტყველებდა თანამესუფრეთა „ძვირფასი ხასიათისა და ჭეშმარიტი ქართველობის“ გამო. მაგრამ, სანამ კისერი მოტყდებოდა, მან შეატყო თავს სისუსტე და თავის დასაძვრენად ბრძანა, რომ მაგიდის ყოველ წევრს დაელია თითო სადღეგრძელო, „თითო თავისუფალი სადღეგრძელო, ყველას თავისი სურვილისა და ხასიათის შესაფერისი“.

თამადის თხოვნაც ხომ ბრძანებაა!

და მესუფრეები არეული თვალებითა და აწითლებული ლოყებით შეუდგნენ თავიანთი ორატორული ნიჭის გამომჟღავნებას. ვინ ტრაფარეტული „ჩვენი პატარა, წალკოტოვანი საქართველოს“ სადღეგრძელო წარმოთქვა, ვინ ყველა პატიოსანი კაცი ადღეგრძელა (რითაც ორიოდე თანამესუფრის მკაცრი მზერა დაიმსახურა); ვიღაცამ ინსტიტუტის დირექტორის გამარჯვებისა შესვა და თანაც იმდენი იხითხითა თავისი ენამახვილობის გამო, რომ კინაღამ დაიხრჩო, მერეც, მთელი ქეიფის განმავლობაში დროდადრო გაახსენდებოდა თავისი მოსწრებული სადღეგრძელო და ვერაფრით ვერ იკავებდა ფხუკუნს. ერთმა სოფლელმა განაცხადა – ცის ნამს, ხარის ქედს და მიწის ძალას გაუმარჯოსო, მეორემ ქართველი ქალის სადღეგრძელოს შესმა ინება, დასასრულს საკუთარი ლექსიც წაიკითხა, რომლის უკანასკნელ სტროფში გარითმული იყო „მანდილოსანი“ და „დავით სოსლანი“, და ტექნიკური სასნავლებლის მსმენელებს შორის უკვდავება მოიხვეჭა.

ბოლოს ახალგაზრდა კაცის ჯერიც დადგა.

სანამ სხვები ბრტყელსიტყვაობდნენ და სვამდნენ, იგი განუწყვეტლივ ფიქრობდა თუ რა სადღეგრძელო ეთქვა, მაგრამ, მიუხედავად ამისა თუ სწორედ ამიტომ, ვერაფერი მოიგონა და, როდესაც წამოდგა და ჭიქა ასწია ისეთი მოძრაობით, როგორითაც ხანჯალს იძრობენ ხოლმე ქარქაშიდან, მან ჯერ კიდევ არ იცოდა რას იტყოდა. და ბედიც (თუ უბედურება) სწორედ აქ ელოდა. ის იყო მარცხენა ხელი პირზე მიიფარა და უნდა ჩაეხველებია დროის მოსაგებად, რომ კარადის თავზე სალამურს მოჰკრა თვალი. სხვა შემთხვევაში იგი სალამურს არამც და არამც არ ადღეგრძელებდა, რადგან ასეთი სადღეგრძელო ხუმრობით მეტისმეტად უკბილო იქნებოდა, ხოლო სერიოზულად – მეტისმეტად ყალბი, მაგრამ მაშინ გვამში უცნაურობათა და უჩვეულობათა მოყვარული ბახუსი ეჯდა და ამიტომ, ნახევრად ხუმრობით, ნახევრად სერიოზულად, ადღეგრძელა სალამური, რომელიც „გვატკბობს, გვაბრუებს, გვაპურებს“, დიახ, ექსტაზში შესულმა სწორედ ასე თქვა: „გვაპურებს“ და როცა ჩაუკვირდა ნათქვამის აზრს, წამით დაიბნა, მაგრამ ისევ ბახუსი წამოეშველა და რიხიანად გაიმეორა: „დიახ, გვაპურებს“, მერე ამას მოაყოლა რთული და ვრცელი ახსნა-განმარტება სალამურის დამაპურებელი ზემოქმედების შესახებ, ვერც თვითონ გაიგო რა თქვა და, მით უმეტეს, ვერც სხვას გააგებინა. მაგრამ ასეთ ატმოსფეროში აზრის სიცხადეს ნაკლები მნიშვნელობა ენიჭება. საზოგადოებამ სადღეგრძელო ტაშით დაა-ჯილდოვა. და მაშინ, როდესაც ახალგაზრდა კაცმა სუფრის წევრებს თვალსაჩინო წარმოდგენა შეუქმნა იმაზე, თუ როგორ უნდა დაეცალოთ მტერი, თავი ვალმოხდილად ჩათვალა და დაჯდომა დააპირა, მაგიდის ბოლოში წამოდგა სახლის პატრონი – იუბილარის მარადმთვრალი (როგორც შემდეგ გამოირკვა) მამა და ზიგზაგებით წამოვიდა ახალგაზრდა კაცისაკენ. მას სახე უბრწყინავდა, ყვითელი კბილები მოუჩანდა და ხარბი და შეშფოთებული თვალები მთელი ამ მოგზაურობის განმავლობაში არ მოუშორებია ახალგაზრდა კაცისათვის, თითქოს ნატვრის თვალი იპოვნა და ეშინია ისევ არ დაკარგოს, სანამ მივა და აიღებსო. მან შორიდანვე გაშალა ხელები, გრძნობით მოეხვია შემთხვევით სტუმარს და აქვითინდა. მერე ჩამოიღო კარადიდან სალამური და იქვე დაუმტკიცა საზოგადოებას, რომ ამ შესანიშნავმა ინსტრუმენტმა, რომელიც გვათრობს და გვაპურებს, სავსებით დამსახურებულად შეიწირა ერთი ჭიქა ღვინო თავის სადღეგრძელოდ.

...შემთხვევითობის გრძელი, გაუგებარი ჯაჭვი... რა იყო იქ მისვლა, იმ უცნობ ოჯახში? ან თამადის ყოვლად შეუფერებელი საქციელი რა იყო? ან ფანტაზიის სრული უსუსურობა, რის შემდეგაც ახალგაზრდა კაცმა მთელი საათის განმავლობაში, სანამ სხვებმა ათასი სისულელე მოჩმახეს, ერთი სისულელე ვეღარ მოიგონა? ამ ბოლო წამს სალამურის შემჩნევა! საერთოდ რა უნდოდა სალამურს კარადის თავზე, ან თვითონ რაღა მაინცდამაინც ამ კარადის პირდაპირ მოუხდა დაჯდომა? შემთხვევითობის გრძელი, გაუგებარი ჯაჭვი, რომელმაც მისი მომავალი ცხოვრების ბედი გადაწყვიტა...

გვიან ღამით, როცა მთვრალი სტუმრები გამოეთხოვნენ მამა-შვილს (ოჯახი მხოლოდ ამ ორი წევრისაგან შედგებოდა), მესალამურემ კიდევ ერთხელ გადაკოცნა ახალგაზრდა კაცი, ქუჩამდე გააცილა და მანამ არ გაუშვა, სანამ არ შეიპირა, რომ მოკლე ხანში კიდევ შემოივლიდა.

და ახალგაზრდა კაცმა მოკლე ხანში კიდევ შეიარა. მაშინ, ღმერთია მოწამე, იგი მხოლოდ მესალამურესთან მიდიოდა, მისი ქალიშვილი კი წესიერად არც კი ენახა. ქუჩაში რომ შეხვედროდა ალბათ იცნობდა – ამის უარყოფა ძნელია – მაგრამ მეხსიერებისათვის დიდი ჯაფის მიყენება დასჭირდებოდა, იგი მიდიოდა თავის ყო-

ფილ მასპინძელთან, რადგან ამდენი ხვეწნის შემდეგ მოვალედ თვლიდა თავს, თუმცა გალეშილი კაცის ყბედობა დიდი ყურადღების ღირსი არც არის.

ამის შემდეგ ახალგაზრდა კაცის სტუმრობა ლოთ მესალამურესთან და დალაქთან (ეს იყო მისი ოფიციალური ხელობა) ისეთივე ჩვეულებრივ მოვლენად იქცა, როგორც დროდადრო ლექციების გაცდენა. იგი მიდიოდა ტყუილუბრალოდ, ყოველგვარი საბაბის გარეშე. სტუმარმასპინძელი სხდებოდნენ პატარა კვადრატულ ოთახში, რომლის უბადრუკი მორთულობა, თუ მხედველობაში მივიღებთ მასპინძლის ჩასისხლიანებულ თვალებსაც, მჭევრმეტყველურად ლაპარაკობდა, რომ ამ კაცის ხელფასი ბოროტად იყენებდა თავის უფლებებს, და საუბრობდნენ სალამურსა და მის ტკბილხმოვანებაზე. დროდადრო დალაქი ჩამოიღებდა კარადის თავიდან საუბრის თემას და მაშინ ახალგაზრდა კაცს უხდებოდა ისეთი სახის მიღება, თითქოს თავის დღეში ასეთი არაფერი მოესმინა. მერე მესალამურე ერთ ბოთლ ღვინოს მოატანინებდა თავის ქალიშვილს და შენდობას უთვლიდნენ მასპინძლის „უდროოდ ხელიდან გამოცლილ“ მეუღლეს, რომელიც მშობიარობას გადაყვა, ხოლო ამ გადაყოლის მიზეზი მას შემდეგ, რაც სახელდახელო სუფრას გაშლიდა, თვითონაც ჩამოჯდებოდა იქვე, მათ ახლობლად, და გულკეთილი ღიმილით ხან ერთს შეანათებდა თავის ოდნავ ნაღვლიან, ოდნავ დამცინავ თვალებს და ხან მეორეს.

ამ ოდნავ დამცინავმა თვალებმა პირველ ხანებში საგონებელში ჩააგდო და დააშინა ახალგაზრდა კაცი. თუმცა მას არავითარი საბუთი არ გააჩნდა, მაინც ფიქრობდა, რომ ეს დამცინავი შუქი მიზეზობრივ კავშირში იმყოფებოდა მის პიროვნებასთან, ამიტომ ჟამიდან ჟამზე საფუძვლიან ანალიზს უკეთებდა თავის გარეგნობას, მანერებსა და ქცევას და ცდილობდა მკაცრი კონტროლის ქვეშ ჰყოლოდა თავი. მაგრამ შემდეგ, როდესაც ახალგაზრდები დაუახლოვდნენ ერთმანეთს, როდესაც მათ შორის რამდენჯერმე გაიმართა ისეთი მეგობრული, გულითადი საუბარი, რომელიც დაცინვას გამორიცხავს თვით ყოვლად ეჭვიანი კაცისთვისაც კი, შენიშნა, რომ ეს უცნაური შუქი სულაც არ ყოფილა ხაზგასმა, არამედ მისი თვალების ბუნებრივი თვისება, რომელიც მხოლოდ გარეგნულად ჰგავდა იმას, რამაც ასე დააფრთხო და დააფიქრა ახალგაზრდა კაცი.

ასე გადიოდა დრო და აი, ერთ დღეს, როცა ახალგაზრდა კაცი ტრამვაიდან გადმოვიდა, როცა მასპინძლის სახლამდე ორმოციოდე მეტრი იყო დარჩენილი, მანქანების, გამვლელთა და საკუთარი გულის აკომპონიმენტის ქვეშ უეცრად აღმოჩნდა, რომ ასე უსაქმოდ და უსაბუთოდ მისვლა უხერხული იყო.

ეს იყო სრულიად მოულოდნელი აღმოჩენა, რასაც, ალბათ, იმანაც შეუწყო ხელი, რომ გზაში ცოტა წამოწვიმა.

„რას იტყვიან – ფიქრობდა სტუმრად მიმავალი – რას იტყვის ის გოგო, ამ წვიმაში რა მოარბენინებდა, სახლ-კარი არა აქვს, საქმე არ აქვსო?“

„იმ გოგოს“ ხსენებაზე ისიც მოაგონდა, არა კი არ მოაგონდა, ისიც შეიცნო, რომ, თუმცა ბოლო ვიზიტები წინანდებურად უსაბაბო იყო, მაგრამ ტყუილუბრალო კი არ ყოფილა. მას გული მიუწევდა; შეუგნებლად, უანგარიშოდ მიუწევდა. და, ფაქტიურად, იგი მიდიოდა არა იმიტომ, რომ ხოტბა შეესხა ლერწმის ღეროსთვის და მიცვალებულების შესანდობარი ესვა, არამედ გულკეთილად მომღიმარე „იმ გოგოს“ გამო, რომელსაც ოდნავ ნაღვლიანი, ოდნავ დამცინავი ცისფერი თვალები ჰქონდა და მოკლე, განიერი, ეგრეთწოდებული კლოში ქვედატანი რაღაც საოცრად ბავშვურ იერს აძლევდა.

და, როგორც ეს ხშირად ხდება ხოლმე, ახალგაზრდა კაცი არხეინად დადიოდა სტუმრად და არაფერზე ფიქრობდა, სანამ ეს სტუმრობა მოკლებული იყო რაიმე აზრსა და მიზანს, სანამ ეს სტუმრობა სხვისთვის იყო გამიზნული, ხოლო როდესაც ნამდვილი მიზანი, სურვილი, მოთხოვნილება გაჩნდა, როდესაც იგი თავისთვის მიდიოდა, მას უჭირდა „ასე უსაბაბოდ“ მისვლა.

ბევრს ებრძოდა იგი თავისთავს. ხშირად, მისდა სამარცხვინოდ, გზიდანაც კი დაბრუნებულა, რომ უხერხულ მდგომარეობაში არ ჩავარდნილიყო თავისი სტუმრობით, რომელიც „იქნებ არაფრად ეპიტნავებათ“.

მიუხედავად ასეთი მწვავე შინაგანი ბრძოლისა იგი მაინც მიდიოდა, რადგან მიუსვლელობა უკვე აღარ შეეძლო, და აწყობდა გეგმებს, რომლებიც მისივე აზრით რეალურ საფუძველს მოკლებულნი იყვნენ, ე. ი. ოცნებობდა. და ამ ოცნების უკიდეგანო ზღვაში დაუსრულებლივ მეორდებოდა ერთი მოტივი – ნატვრა იმისა, რომ მესალამურე შინ არ დახვედროდა. მაშინ რას იზამდა? ფანტაზია ამ საკითხის ირგვლივაც ერთობ გაბედულ გეგმებს ადგენდა, მაგრამ ახალგაზრდა კაცი მაშინვე დარწმუნებული იყო იმაში, რაც შემდეგ პრაქტიკულადაც დადასტურდა: ამ გეგმებს მათი პირვანდელი სახით განხორციელება არ ეწერათ.

ახალგაზრდა კაცი უახლოვდებოდა დალაქის ოჯახს, ე. ი. ოჯახის ერთ გარკვეულ წევრს, რადგან მეორესთან დაახლოება არც იყო საჭირო: საკმარისია ერთხელ შეხვდე ლოთს და მასთან უკვე დაახლოებული ხარ, ყოველ შემთხვევაში იგი უკვე დაახლოებულია შენთან, ეს კი, ბოლოს და ბოლოს, ერთი და იგივეა. ნიადაგი მწიფდებოდა და აი, ერთ დღეს სტუმარს მხოლოდ სალამური და მესალამურეს ქალიშვილი დახვდა სახლში. მაშინ ახალგაზრდა კაცმა მოიკრიბა გამბედაობა, რომელიც არც თუ ისე ხვავრიელად აღმოაჩნდა და გრძნობით, მაგრამ გადაჭარბებული სენტიმენტალობის გარეშე (ასეთი თავდაჯერებული და, ცოტა არ იყოს, კადნიერი კომენტარი თვითონვე გაუკეთა შემდეგ თავის საქციელს, რაც შეგვეხება ჩვენ, ჩვენის მხრით დავუმატებთ, რომ მისი სულის მოძრაობის განსაზღვრისათვის ერთგვარი მნიშვნელობა ენიჭებოდა იმ ოფლსაც, რომელიც უჩვეულოდ დიდი რაოდენობით გამოყო მაშინ მისმა შუბლმა), ხელი სთხოვა ლოთი მესალამურის ქალიშვილს, რომელსაც ოდნავ ნაღვლიანი და ოდნავ დამცინავი ძალიან ცისფერი თვალები ჰქონდა და მოკლე, განიერი კლოში ქვედატანი საოცრად ბავშვურ იერს აძლევდა.

ქალიშვილმა დაირცხვინა, ცოტა სიწითლე კი შეეპარა ლოყებზე და თავაზიანი, მაგრამ მტკიცე უარი უთხრა „ზოგიერთი მიზეზების გამო, რომლებიც აიძულებენ არ იფიქროს ოჯახის შექმნაზე“. ახალგაზრდა კაცს ელდა ეცა. მისი სასოებით ნაგები ოცნება ასე უსახელოდ იფშვნებოდა. ქალიშვილის ნალაპარაკებიდან მან ის აზრი გამოიტანა, რომ ამ პატარა, მიამიტ გოგოს თავი დედის სიკვდილის პირდაპირ მიზეზად მიაჩნდა და დანაშაულის გამოსასყიდად თუ შესამსუბუქებლად გადაეწყვიტა, საბრალო მამას ბოლომდე გაჰყოლოდა მის მრუდე გზაზე.

ძალა აღმართს ხნავს. ახალგაზრდა კაცმა გადაწყვიტა გმირულად გადაეტანა თავისი გაჭირვება და როგორმე გაეგრილებინა ალმოდებული გული (ამ მეტაფორულ გამოთქმაზე ჩვენ პასუხს არ ვაგებთ და, ალბათ, არც თვითონ აგებს, რადგან მის გახურებულ გონებას სიმწრის წუთებში აღმოხდა ასეთ ფერად სამოსელში გახვეული აზრი). გადაწყვიტა და საკმაო წარმატებითაც ასრულებდა გადაწყვეტილებას: ჯერ მოუკლო სიარულს, თანაც ასეთი ქცევის გასამართლებლად განზრახ საეჭვო საბუთი მოჰყავდა, რომ უიმედო სიყვარულის ობიექტი ნამდვილ მიზეზს მიმხვდარიყო, რაც შეეხება მესალამურეს, ნაკლებ დასაჯერებელია, საეჭვოსა და არასაეჭვოს გარჩევა შესძლებოდეს, მერე თანდათან დააძვირა და დააძვირა სტუმრობა და ბოლოს, როცა სრულიად ამოიკვეთა ფეხი, მოხდა ის, რაც არასოდეს გაუვლია გუნებაში, რასაც ყველაზე ნაკლებ მოელოდა, თუმცა ობიექტურად არც თუ ისე მოულოდნელი უნდა ყოფილიყო: სახელგანთქმული მესალამურის ორგანიზმმა ვეღარ გაუძლო ამდენ ალკოჰოლს და სამუდამოდ გადაბარგდა იმასთან, ვისთან ყოფნაც ამქვეყნად არ დასცალდა.

დიახ, სალამური დარჩა უპატრონოდ.

რა შთაბეჭდილება მოახდინა ახალგაზრდა კაცზე ამ ცნობამ, რომლის ავკარგიანობა დღემდე გაურკვეველი დარჩა და, ალბათ, ასევე დარჩება, რადგან ამისათვის საჭიროა წინასწარ ისეთი ბნელით მოცული პრობლემების გადაჭრა, როგორიცაა სიკვდილ-სიცოცხლისა და ბედის პრობლემა? მართლაც, თუ საბრალო დალაქის სიკვდილი უდავო მიზეზი გამოდგა იმისა, რომ ახალგაზრდა კაცს თავისი სანუკვარი ოცნება აუხდა, ასევე ადვილად ვერ ვუპასუხებთ მეორე კითხვას: ჰქონდა თუ არა რაიმე კავშირი მეუღლის ესოდენ უდროო სიკვდილს გათხოვებასთან, სხვანაირად – ეწერა თუ არა მეუღლეს იგივე ბედი იმ შემთხვევაში, თუ იგი მეუღლე არ იქნებოდა (ან იქნებოდა, მაგრამ სხვისი)? გადაუჭრელი კითხვების ასეთ ხლართში მოქცეული ახალგაზრდა კაცი გაურბოდა მათზე ფიქრს, მაგრამ ამასთანავე (ჰოი, ადამიანურო სიმდაბლევ!) სადღაც, სულის სიღრმეში ცდილობდა თავის მართლებას, თავის უდანაშაულობის მტკიცებას...

მაინც როგორ შეხვდა იგი სასიმამროს (რომელსაც სიმამრად გახდომა არ ეწერა) სიკვდილს?

პირველ ყოვლისა გაიფიქრა, რომ აუცილებელია პანაშვიდზე წასვლა. რაც არ უნდა იყოს, გარდაცვლილი მაინც შესაბრალისი კაცი იყო, უბედური და შესაბრალისი, რომელიც გრძნობდა, თუ რაოდენი უხერხულობა ახლდა მის არსებობას, მის სიცოცხლეს, მაგრამ რა ექნა? – დარდი ვერ მოინელა (ისეთი დარდი, რომელიც ამჯერად ახალგაზრდა კაცს უმძიმებს და უხუთავს სულს), დარდი ვერ მოინელა და ხასიათის სისუსტის გამო ვერც უკიდურეს ზომას მიმართა.



თუმცა შექმნილი ვითარება აშკარად იძლეოდა იმედისა და ჩუმი სიხარულის საბაბს, მაგრამ პირველი შთაბეჭდილება მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა – მას ვერ შეეხო ასეთი სულმდაბლობის ბინძური ხელი. შემდეგაც ახალგაზრდა კაცი წარმატებით უმკლავდებოდა მის შემოტევას და თუმცა მთლიანად ვერ განდევნა (ღვთის წინაშე, მთლიანად განდევნა არც უცდია), მაგრამ გვარიანად შეარბილა და თავისი არსებობის რომელიღაც კუნჭულში შეამწყვდია, სადაც მის მოქმედებას მკაცრად შემოფარგლული ასპარეზიღა რჩებოდა.

ასე, მოტირალის მწუხარე სახით შევიდა იგი იმ სახლში, სადაც არაერთხელ შესულა გულის ფანცქალით და სადაც შესვლის იმედი კარგახანია დაკარგა, შევიდა ხალხით გაჭედილ ოთახში (რომელშიც ყველაზე დიდი ადგილი ეჭირა მას, ვინც უკვე აღარ ითვლებოდა ხალხის სიაში) და, როდესაც მისამძიმრებისას, ჭირისუფლის ნამტირალევ თვალებს წააწყდა, რაღაც შენიშნა.

იმ წუთს მას არ ჰქონდა საშუალება ანგარიში მიეცა თავისთვის, მერე კი დაფიქრდა და დიდხანს ეწვალებოდა ამოეცნო „რაღაცის“ არსი. ახალგაზრდა კაცი ვერ ბედავდა (თუმცა ცდუნება დიდი იყო) ამ ყოვლად ზოგადი და ფაქტიურად არაფრისმთქმელი ნაცვალსახელის ქვეშ ეგულისხმა ისეთი რამე, რასაც თუნდაც ოდნავი მსგავსება ექნებოდა „თანხმობასთან“. მას სირცხვილისაგან ოფლსაც კი ასხამდა ამ „თანხმობის“ ხსენებაზე და გუნებაში ადამიანის ენას მიწასთან ასწორებდა ესოდენი სიღატაკის გამო. ერთი რამ კი ცხადი იყო. ახალგაზრდა კაცმა ჭირისუფლის თვალებში ძველებურად დაინახა ნაღველი, მაგრამ, პირველად და უკანასკნელად თავის სიცოცხლეში, ვერ დაინახა ძველებური ოდნავი დაცინვა, რომელიც ალბათ, სრულიადაც არ იყო დაცინვა, არამედ მისი თვალების ბუნებრივი თვისება.

გარეშე კაცისათვის ნათელი იქნებოდა, რომ ახალგაზრდა კაცის ეჭვები და თეთრად ნათენები ღამეები უსაფუძვლო იყო, მაგრამ მას, გასაგები მიზეზების გამო, არ შეეძლო ობიექტურად შეეფასებინა მდგომარეობა. ობიექტურად კი ბედნიერი დასასრული მხოლოდ დროის საქმე იყო და, მართლაც, ერთი წლისა თუ წლინახევრის შემდეგ ახალგაზრდები კანონით გათვალისწინებულ ამალასთან ერთად, მომღიმარე სახეებით იდგნენ გარკვეულ დაწესებულებაში და ხალისით (რომელშიაც დაუფარავი ხუმრობის კილოც ერია) პასუხობდნენ ყოვლად ფორმალურ კითხვებს.

მერე მოვიდა სიკვდილი, დაასწრო გაზაფხულს.

ალბათ ეს არის სულიერი ტკივილის ზღვარი. პირველ სამ-ოთხ დღეს, იმ სამ-ოთხ დღეს, რომელიც გამოყოფილია მიცვალებულთან გამოსათხოვრად, მისდამი ღრმა პატივისცემის გამოსახატავად, როგორც იტყვიან – უკანასკნელი ვალის მოსახდელად, ახალგაზრდა კაცი ჯერ კიდევ გრძნობდა მთელი სისრულით ამ ტკივილს. იგი გაბრუებული, დარეტიანებული დადიოდა (გამოცდილი ხალხის ენერგიული ჩარევაც კი შეიქნა საჭირო, რომ ჭირისუფალი ტრადიციულ კალაპოტში ჩაეყენებინათ) – ბოლოს და ბოლოს, მისი მეუღლე, თუმცა ცივი და უძრავი, მაგრამ მაინც აქ იყო, მასთან იყო. გარდა ამისა მოზღვავდა თმაგაშლილი ნათესაობა კივილითა და ვაი-ვიშით და ყოველივე ეს არა თუ გამორკვევის საშუალებას არ იძლეოდა, არამედ კიდევ უფრო არეტიანებდა და აბრუებდა.

სასაფლაოდან მეგობრები გამოჰყვნენ და კეთილსინდისიერად ცდილობდნენ ნუგეშისცემას, დარდის გაფანტვას, გამხნევებას და გამხიარულებასაც კი. მაგრამ საცოდავებს მხოლოდ თავიანთი უვიცობისა და გულკეთილობის გამო სჯეროდათ, რომ ამ ცდებს მართლაც მოჰყვებოდა რაიმე შედეგი („კაი, თუ ძმა ხარ“ – დაღვრემილი სახით პასუხობდა ახალგაზრდა კაცი ყოველ ასეთ ცდაზე).

ღამის პირველ საათზე ისინიც წავიდნენ, რადგან ტრანსპორტი წყვეტდა მოძრაობას და შეეშინდათ, ვაითუ ფეხით წასვლა მოგვიხდესო (ჰმ... ნეტავ თუ გადარჩნენ მაინც ფეხით წასვლას?)...

წავიდნენ...

სამაგიეროდ მოვიდა ტანჯვის საათები, სიმარტოვე, რაღაც შემაძრწუნებელი უილაჯობა და შიში, მისტიკური შიში; რაღაც (საჭირო ცნების უქონლობისას ახალგაზრდა კაცი ამ ყოვლად ზოგადსა და თითქმის არაფრისმთქმელ ნაცვალსახელს მიმართავდა ხოლმე) – რაღაც ისეთი, რაშიაც შემადგენელ ნაწილად შედის ბავშვობის საშინელი სიზმარი, როდესაც დათვი მოგდევს, გინდა გაიქცე და ფეხები არ გემორჩილება; რაღაც ისეთი, რაშიაც შემადგენელ ნაწილად შედის ერთხელ, დიდი ხნის წინათ, უკვე განცდილი, როდესაც თავაზიანი, მაგრამ მტკიცე უარი მიიღე და შენი სასოებით ნაგები ოცნება ნაცარტუტად იქცა; რაღაც ისეთი, რაც გაიძულებს გათენებამდე დამუშტული ხელებით იარო ოთახის ერთი თავიდან მეორეში და ვერ გაიგო, როგორ დაგათენდა თავზე. და შიში, მისტიკური შიში.

→



ახალგაზრდა კაცი დადიოდა წინ და უკან დამუშტული ხელებით და ელოდა, როდის დაახრჩობდა ბოღმა „ჯანდაბას, დღეს გავუძლო – ფიქრობდა მაშინ იგი – ხვალაც, კარგი ზეგაც; მერე ხომ დასრულდება ეს ჯოჯოხეთი და ამდენი ხნის განშორების შემდეგ ისევ შევხვდებით ერთმანეთს“.

იმ ღამეს ძალიან ახლო იყო იგი, ასე ვთქვათ, უკიდურეს ზომასთან. მაგრამ ეს იყო მხოლოდ და მხოლოდ ახლო ყოფნა. ამას იქით საქმე არ წასულა. ალბათ იმიტომ, რომ გაზაფხული კარზე იდგა და იები მოჰქონდა. საჭირო იყო იების მიტანა მისთვის, ვისაც იების გამყიდველი დედაკაცები ვეღარასოდეს შეეგებებიან წინ. მაშასადამე, სიცოცხლეს რაღაც აზრი ჰქონდა.

ვითომ ამიტომ? იქნებ გაზაფხული და იები სიცოცხლის საბაბი იყო და არა მიზეზი; მიზეზი კი სადღაც ცნობიერების მიღმა იმალებოდა და მის არსს გამოხატავდა ორსიტყვიანი ფრაზა, რომლის შემოქმედი, ეჭვს გარეშეა, მოკლებული არ უნდა ყოფილიყო იუმორის გრძნობას; და ეს ორსიტყვიანი ფრაზა: სული ტკბილია. ანდა, იქნებ მართლაც რცხვენოდა თავის მოკვლა; ხალხის რცხვენოდა? არ ვიცით რამდენად შესაძლებელია კაცი ასე მსჯელობდეს: „კეთილი, მე მოვიკლავ თავს, მაგრამ რას იტყვის ხალხი? რა უცნაურადაც არ უნდა მოგვეჩვენოს ეს, ახალგაზრდა კაცს ახლა აქ, საფლავის პირას ასეთი ეჭვიც აწვალებდა და ამაში მცირე წვლილი როდი მიუძღოდა თვით განსვენებულს, უფრო სწორად განსვენებულის სიტყვებს, რომლებიც მან ერთხელ, რაღაცის გამო ნახევრად ხუმრობით უთხრა თავის მეუღლეს: „შენ ისე გეშინია ხალხის აზრის, ისე უფრთხი სიყალბეს, რომ ყოველ ნაბიჯს ზომავ. ეგეც შენი ბუნებრიობა, რომელიც ხელოვნურად იქმნება“.

მეხსიერებაში ისევ ამოტივტივდა ექიმის მკაცრი, შეშფოთებული სახე. ახალგაზრდა კაცი გამოჰყვა მას ავადმყოფის საწოლი ოთახიდან და ყრუ, მწუხარე ხმით ჰკითხა: „ბატონო ექიმო, რას მეტყვით სანუგეშოს?“ ექიმმა ცხვირსახოცი ამოიღო, სათვალე მოიხსნა და შუშებს წმენდა დაუწყო – ცხადია დროს იგებდა და სიტყვებს არჩევდა. იგი ხომ მისი პროფესიის ხალხისათვის დამახასიათებელ არც ერთ უკიდურესობაში არ ვარდებოდა – არც თვალის ახვევას, სინამდვილის შეფარდებას ცდილობდა შენი ნერვების გაფრთხილების მიზნით და არც უხეშად მოგახლიდა მწარე სინამდვილეს პირში; ყოველთვის ფრთხილი, რბილი, ზომიერი გამოთქმებით გაგაცნობდა საქმის არსს, მაშინაც ღრმა თანაგრძნობის გამომხატველი კილოთი დაიწყო: „ყმაწვილო“... მაგრამ აქ ყმაწვილმა, რომელსაც ექიმის ხმაში ზედმეტი თანაგრძნობა მოესმა და თუ მეუღლის დახასიათებას ვენდობით, შეეშინდა – ვაი, თუ ჭარბ გრძნობიარობაში ჩამომერთვა ნათქვამიო, გააწყვეტინა მას სიტყვა და ღიმილით უთხრა: „ისე კი საოცარი ხალხი ვართ ეს ჭირისუფლები, ყოველთვის სანუგეშოს მოვითხოვთ ექიმისაგან, თითქოს და ყველაფერი მასზე...“ ახლა უკვე ექიმის ჯერი დადგა: მან მკვეთრი მოძრაობით ასწია გაშლილი მარჯვენა ხელი მხრის სიმაღლეზე, რითაც დაუყოვნებლივ გაჩუმება მოსთხოვა თანამოსაუბრეს; მისი სახის მკაცრი გამომეტყველება კიდევ უფრო გაძლიერდა, გამძაფრდა და მუქარაში გადავიდა: „ყმაწვილო“ – თქვა მან და თუ ეს სიტყვა წეღან ნიშნავდა „ჩემო ბიჭუნავ“, ახლა მხოლოდ ასე შეიძლებოდა მისი გაგება: „ვირო“. „ყმაწვილო – თქვა მან მკვახედ და მშრალად – თქვენ თანაბარი წარმატებით ტირით და იცინით ერთსა და იმავე მდგომარეობაში. მე არ მინდა გარკვეულ რაიმეს მივაწერო ეს, რაც შეეხება თქვენს კითხვას – სასიხარულოს ვერაფერს გეტყვით, სანუგეშოს კი ძალიან ცოტას“ – და სწრაფი ნაბიჯით გაშორდა.

ეს მაშინ იყო. ახლა კი „კაი, თუ ძმა ხარ“, – ედავებოდა თავის თავს პატარა, დათოვლილი ბორცვის პირას მჯდარი ახალგაზრდა კაცი – ისეთიც არაფერი მომხდარა. რა საჭიროა ქვეყანას მოვდო ჩემი დარდი? არათუ საჭირო არ არის – უზრდელობაცაა. რატომ უნდა მოვახვიო თავს ჩემი მჟავე განწყობილება უცხო კაცს? მე თუ გავიღიმე, სწორედ ამიტომ, ე. ი. იმიტომ, რომ მივხვდი, ჩემი დარდი გადაედო და მინდოდა მისი თანაგრძნობით დაღრეჯილი სახე ცოტა გამესწორებინა. რატომ არ შეიძლება მძიმე წუთებშიაც ჰქონდეს კაცს ამის უნარი? ვის შეუძლია დამწამოს, თითქოს... თითქოს... აქ მას, ასე ვთქვათ, შინაგანად ენა დაება, სიწითლემაც გადაუარა (რის დანახვაც, საბედნიეროდ, არავის შეეძლო) და რაკი როგორც ბრალდებული, ისევე ბრალმდებელი, თვითონვე იყო და სასამართლო პროცესის წარმოებაც მას ებარა, გამოიყენა თავისი შეუზღუდავი უფლება, მკვეთრი შინაგანი მოძრაობით შეწყვიტა ფიქრი, რომელიც ჭირისუფლის მძიმე განცდების ფონზეც კი გამოირჩეოდა თავისი მტკივნეულობით, და დაუბრუნდა საშინელი მარტოობის პირველ ღამეს, როცა დამუშტული ხელებით სასოწარკვეთილი დადიოდა ოთახის ერთი თავიდან მეორეში. გამთენიისას მაინც ჩაეძინა – ერთი წუთით ჩამოჯდა საწოლზე, რომლის გვერდით მეორე, ცარიელი საწოლი იდგა, და ჩაეძინა, ღმერთმა იცის, რამდენი იძინა, როცა გაეღვიძა, შეშფოთებით შენიშნა, რომ წუხანდელი „რაღაც“, რომელშიაც მრავალი მწვავე გრძნობა შედიოდა შემადგენელ ნაწილად, აღარსად იყო (ჩვენ შემთხვევით არ ვხმარობთ სიტყვა „შეშფოთებას“ – სწორედ მაშინ დაიბადა პირველი ეჭვი, დაეჭვება თავისი სიყვარულის სიმტკიცეში და, წარმოიდგინეთ, თვით სიყვარულის არსებობაშიაც კი), „მაგრამ შეშფოთება უსაფუძვლო გამოდგა – თითქოს ნიშნის მოგებით გაიფიქრა საფლავის პირას ახალგაზრდა კაცმა – წინაღამის სასოწარკვეთილება და სულის ალიაქოთი არ გამქრალა, მხოლოდ დაცხრა, დაღვინდა და დარჩა მარადიულ ტკივილად. მაგრამ რას ნიშნავს შეშფოთება? რამ შემაშფოთა? ეს რა შიში ამეკვიატა? რატომ უნდა გამქრალიყო, სად უნდა წასულიყო? ნუთუ მართლა ძალით ვებღაუჭები რაღაცას, რაც დაიკარგა, ნუთუ მართლა ხელოვნურად ვაპირებ ბუნებრიობის მოპოვებას? მაგრამ ვინ მეტყვის, რომ ჩემი სიყვარული სუსტია, ვინ გამიბედავს იმის თქმას, რომ ახლაც ჩემს სიცოცხლეზე მეტად არ მიყვარს იგი, ვისაც საკუთარი სიცოცხლე აღარ გააჩნია? ბოლოს და ბოლოს შენს ყურადღებას, ჩემო ამბოხებულო სულო, მივაქცევ იმ გარემოებას, რომ არც ერთი ფიქრი არ დაბადებულა ჩემს თავში მის გარეშე, არც ერთი ნაბიჯი არ გადამიდგამს, რომელიც მასთან, მის ხსოვნასთან არ ყოფილიყოს დაკავშირებული. და ეს საკმარისია“.

...იგი იჯდა თოვლში იდაყვებით მუხლებზე დაყრდნობილი და ხელებში თავჩარგული. ხელებს უჭირდათ ესოდენ დამძიმებული ტვირთის შეკავება, ამიტომ საფეთქლებთან კანი დაჭიმულიყო და წარბები მაღლა იყო აზიდული, მაგრამ ამით გამოწვეულ მრისხანე გამომეტყველებას სიბნელე ფარავდა. იყო ასე გაშეშებული, როგორც საფლავის ქვა, როგორც გარდაცვლილის ქანდაკება მისი ამქვეყნიური არსებობის მოსაგონარი და კარგა ხანია აღარაფერს ფიქრობდა... ბოლოს მოხეტიალე აზრი დაუბრუნდა აწმყოს და სასაფლაოს სტუმარი შეინძრა. ჯერ თავი შეინძრა – იგი გაიმართა და მძიმე მოვალეობისაგან გაათავისუფლა ხელები, რომლებიც ერთხანს კიდევ დარჩნენ ძველ პოზაში – მიტყუპებული მაჯებით და გადაშლილი მტევნებით, თითქოს უხილავი თავი ისევ ეჭირათ, მერე ისინიც შეინძრნენ, გვერდი აუქციეს ერთმანეთს და გადაჯვარედინდნენ. ახლა იგი მლოცველს უფრო ჰგავდა თეთრი ქუდითა და წამოსასხამით, რომელთა მოქსოვა ადვილად მოასწრო თოვლმა ამ ხნის განმავლობაში.

ახალგაზრდა კაცმა ენერგიულად გაიქნია თავი (დარწმუნებით ვერ ვიტყვით, თოვლის ჩამოსაბერტყად თუ გონს მოსაგებად, ყოველ შემთხვევაში ორივე მათგანს მიაღწია) და წამოდგა.

დასრულდა... უკვე მეხუთედ თუ მეექვსედ მოვიდა ახალგაზრდა კაცი მდუმარებისა და უძრაობის სამკვიდრებელში, უკვე მეხუთედ თუ მეექვსედ უხმოდ გაანდო თავისი ცხოვრების ერთი და იგივე ამბავი მდუმარებასა და უძრაობას.

როდესაც თოვლს იბერტყავდა პალტოდან, უეცრად რაღაც უსიამოვნო გრძნობამ გაჰკრა, ისეთმა გრძნობამ, რომელიც შორეულ მოგონებას ჰგავს და არცა ჰგავს და რომელიც ელვის სისწრაფით ჩნდება და ქრება, ისე რომ, არათუ მისი გამომწვევი მიზეზის გამორკვევას, არამედ უბრალო აღქმასაც ძლივს ასწრებ. ასეთმა გრძნობამ, რომელიც კონკრეტულად შელახული თავმოყვარეობის გრძნობას ჩამოჰგავდა, გაუარა მას ტანში. ახალგაზრდა კაცი ვერ მიხვდა საიდან მოდიოდა იგი, მაგრამ საიდანაც არ უნდა წამოსულიყო, ეს იყო მეტისმეტად უსიამოვნო გრძნობა და კიდევ კარგი, რომ მაშინვე გაქრა. მაგრამ იმავე წუთს, როდესაც მან შეშფოთებით, სირცხვილითა და თითქმის ფიზიკური ტკივილით შენიშნა, რომ პალტოს საყელო ამოწეული ჰქონდა, წეღანდელი გრძნობა ისევ დაბრუნდა, თანაც უკვე ხანგრძლივად, იმდენად ხანგრძლივად, რომ ამჯერად ადვილად მისწვდა როგორც მის არსს, ისე წარმოშობას. „აჰ, სული ტკბილია!“ – დაცინვით გაიფიქრა მან და მწარედ გაიცინა, თუმცა ამ სიცილმა ვერ ჰპოვა გარეგნული გამოხატულება – არც ჭირისუფლის მჭმუნვარე სახეზე აღბეჭდილა შესაფერისი გამომეტყველება (ამას არც ექნებოდა რაიმე აზრი ამ სიბნელეში) და არც ბგერები დარხეულა ჰაერში (ან როგორ მისცემდა ახალგაზრდა კაცი თავს იმის ნებას, რომ სიცილით, რაც არ უნდა მწარე ყოფილიყო იგი, დაერღვია იმათი მდუმარე და უძრავი მყუდროება, ვინც დაასრულა თავისი არსებობის ბიოლოგიური ხანა და ახლა მშვიდად, ყოველგვარი ტკივილის გარეშე განიცდის ქიმიის შემაზრზენ ზემოქმედებას). მიუხედავად ამისა, სასაფლაოს ერთადერთმა ამქვეყნიურმა არსებამ გაიცინა და საკმაოდ ხმამაღლაც, თუ შეიძლება ხმის სიმაღლეზე ვილაპარაკოთ იქ, სადაც ხმას საერთოდ არა აქვს ადგილი. თუმცა რატომ არ შეიძლება? ხმა და გამომეტყველება მხოლოდ ფორმაა, ხოლო სიცილის არსი კი არის სულის გარკვეული მოძრაობა, რომელსაც ფორმის გარეშეც შეუძლია არსებობა და სწორედ სულის ამ მოძრაობას ეკუთვნის ფაქტიურად ის ეპითეტები, ჩვენ რომ ფორმის განსაზღვრისათვის ვხმარობთ: ხმამაღალი, გამქირდავი, მწარე, დამცინავი და როხროხაც კი. სწორედ ასე გაიცინა ახალგაზრდა კაცმა თავის გუნებაში. სიცილი მისი იყო მწარე და დამცინავი, დაცინვის საგანი კი საკუთარი თავი, რომელიც, როგორც ჩანს, ფიქრობდა, რომ სული ტკბილია.

ტკბილია? ნუთუ მართლა ტკბილია? თუ მწარეა? სული მწარეა... სული მწარეა... კი, მაგრამ ეს მგონი იმავეს ნიშნავს. დასწყევლის ღმერთი! სული ტკბილია შესანარჩუნებლად და სული მწარეა გასაწირავად. აი, სად მარხია ძაღლის თავი! ერთიც ვნახოთ და სული მწარეა შესანარჩუნებლად? ამას როგორღა იტყვი მოკლედ? ვერ იტყვი. ალბათ არც უნდა თქვა, იმიტომ, რომ, როდესაც გგონია, თითქოს სიცოცხლე არაფრად გიღირს, ეს „ტკბილი სული“ შეუმჩნევლად გაიძულებს პალტოს საყელო აიწიო. ნუთუ მართლა ესაა სული, ასე სამარცხვინო რამ? თუ ეს ადამიანის გარკვეული თვისებაა, რომელიც მის ცხოველურ წარმოშობას ამტკიცებს. ინსტინქტი. თავდაცვის ცხოველური ინსტინქტი.

„ღმერთო მიშველე!“ – გაიფიქრა ახალგაზრდა კაცმა და კიდევ გაიქნია თავი, მაგრამ ამჯერად თოვლის ჩამობერტყვის განზრახვა გამორიცხული იყო. მას სერიოზულად აშფოთებდა თავისი ფსიქიკური მდომარეობის საკითხი.

პალტოს საყელო აწეული დარჩა. ახლა აზრი აღარ ჰქონდა ჩამოწევას. ეს მხოლოდ ბავშვური გაჯიუტება იქნებოდა და მეტი არაფერი, დაე, იყოს აწეული იმისდა სამარცხვინოდ, რაც ასე ქურდულად იღვწის სიცოცხლისათვის.

სასაფლაოს სტუმარმა თავისი სტუმრობის დასასრულს კიდევ ერთხელ შეათვალიერა საფლავი, უფრო სწორად თოვლი, რომელიც საფლავს ფარავდა, და, ალბათ, შინაგანი მზერით მისწვდა მასპინძელს. შეათვალიერა და გაშორდა. სასაფლაოს ოღრო-ჩოღრო სითეთრეზე დარჩა ორი ფეხის კვალი, ორი ფეხისა, რომელთაც მაღალყელიანი თბილი წაღები ეცვათ.

ქუჩაში თითქმის არავინ იყო – ორიოდე კაცი ელოდა ტრანსპორტს. ახალგაზრდა კაცმა არ ისურვა მეოცე საუკუნის კომფორტი და ფეხით გაუდგა გზას, თუმცა მის სახლამდე კარგა დიდი მანძილი იყო.

იგი მიდიოდა ოდნავ ბეჭებში მოხრილი, ჯიბეებში ხელებჩაწყობილი. არ ვიცით აქცევდა თუ არა ამ ფაქტს ყურადღებას, მაგრამ, რომ მიექცია, ალბათ დაუყოვნებლივ გამოიყენებდა ადამიანის ცხოველური წარმოშობის საბუთად (ინსტინქტი. თავდაცვის ცხოველური ინსტინქტი).

მშრალი თოვლი ჭრაჭუნობდა ფეხქვეშ. მიდიოდა ახალგაზრდა კაცი, მიდიოდა დროც და ილეოდა მანძილი.

– მაპატიეთ, ფიქრი შეგაწყვეტინეთ, ასანთი ხომ არ გექნებათ?

ვინ შეაწყვეტინა ფიქრი? სასაფლაოდან მომავალმა თავი ასწია. მის წინ იდგა, უფრო სწორად, ძლივს იდგა ვიღაც მთვრალი, ჯერ კიდევ ახალგაზრდა (თუ ვიმსჯელებთ მისი სახის ნაკვთებით, ოცდათხუთმეტსაც არ იქნებოდა მიღწეული), მაგრამ გვარიანად შემელოტებული, იმდენად შემელოტებული, რომ ქართული „ო“, რომელსაც თმის სასაზღვრო ხანი ქმნის ერთი საფეთქლიდან მეორემდე, ფანტასტიკურ სიდიდეს აღწევდა, ეს კი ცოტა დარდი როდია, თუნდაც ოცდათხუთმეტი წლის ასაკში. გარდა ამისა, უცნობს არეული თვალები ჰქონდა და ცხვირის წვერი წითლად უელავდა.

ახალგაზრდა კაცმა ჯიბეები მოიჩხრიკა, იპოვა ასანთის კოლოფი და უხმოდ გაუწოდა უცნობს, რომელსაც პაპიროსი უკვე გაერჭო პირში და მთელი სხეულის მსუბუქი რხევით, რაც წონასწორობის შენარჩუნებას ისახავდა მიზნად, შეჰყურებდა თავის პრომეთეს და ელოდა ცეცხლს.

მან ერთხანს აჩხაკუნა ასანთის ღერი. ბოლოს, როგორც იქნა, აანთო და ღრმა, ხარბი ნაფაზი დაარტყა. მის სახეს აუწერელი ნეტარება მოეფინა. მაგრამ ასანთის დაბრუნებას აგვიანებდა.

– კარგია, – თქვა მან, – თუმცა ცუდია, – პაპიროსი პირიდან გამოიღო და ახლო მიუტანა სახესთან ახალგაზრდა კაცს, – თუმცა ცუდია, მაგრამ მაინც კარგია. გამიგეთ?

ახალგაზრდა კაცმა გაუგო.

უცნობმა კი განაგრძო თუ თავიდან დაიწყო:

– თოვაც ამას ჰქვია, – მან პაპიროსი, რომელიც მარჯვენა ხელის საჩვენებელ და შუათითს შორის ეჭირა, ასწია მაღლა, რათა ეჩვენებინა, თუ რას ჰქვია თოვა, – ბარდნის. თქვენ, ალბათ, წარმოდგენა არა გაქვთ, რა მნიშვნელობა აქვს ასეთ თოვას. ლექსებს თუ წერთ? არა. რა თქმა უნდა არა, აშკარად გეტყობათ. ასეთი თოვა ლექსის წერისთვისაა მოგონილი. თუმცა სმაც შეიძლება ასეთ თოვაში, ამაზე ნათელ წარმოდგენას გიქმნით თვით ჩემი პიროვნება; მაგრამ სმა ყოველგვარ ამინდში შეიძლება, ლექსის წერა კი მხოლოდ ასეთში, გამიგეთ? ზიხართ თქვენს ოთახში ღია ფანჯარასთან, ფიქრობთ შეყვარებულზე (გყავთ შეყვარებული?) და გასცქერით თოვას. დაიჭერთ თვალით ერთ ფიფქს და ცდილობთ მხედველობიდან არ დაკარგოთ ძირს დაშვებამდე. თქვენ გგონიათ შეძლებთ? ვერავითარ შემთხვევაში. მაგრამ, როგორც კი დაგეკარგებათ, მაშინვე სხვა დაიჭირეთ და ადევნეთ თვალი. და ასე დიდხანს. ფიფქებს რა გამოლევს. თან ფიქრობთ. შეუწყვეტლად ფიქრობთ შეყვარებულზე. აი, ამ დროს გეწვევათ მუზა. მუზა განწყობილებაა, ბერძნულმა არ შეგაშინოთ. იწყებთ ლექსის წერას. ერთი ამოსუნთქვა მეტაფორული გამოთქმაა. რამდენ ხანს ძლებს კაცი სულმოუთქმელად. რას მოასწრებ ლექსის დამთავრებას! ერთ სტროფსაც ვერ მოასწრებ, მით უმეტეს თუ ჯვარედინი რითმებით წერ. ამ დროს ყველა გიყვარს. „მოგკლავ, აღგადგენ, მოგკლავ, აღგადგენ“. მე ყველა მიყვარს. მე შენ მიყვარხარ!

იცი, როგორ მიყვარხარ?!. გამიგეთ? – მან ხელები გაშალა და მოხვევა დაუპირა, თანაც არ დავივიწყოთ, რომ ცალ ხელში სახიფათოდ ეჭირა ანთებული პაპიროსი. ახალგაზრდა კაცი ოდნავ დაიხარა და გამოუძვრა მკლავიდან ისე, როგორც მოკრივე უძვრება მოწინააღმდეგის მოქნეულ ხელს. უცნობმა, რომელიც კაცმა რომ თქვას, აღარც კი იყო უცნობი, აინუნშიაც არ ჩააგდო ახალგაზრდა კაცის კადნიერი უარი პოეტის კოცნაზე.

– გინდათ, წაგიკითხოთ ერთი ლექსი? – თქვა მან.

– არა. გმადლობთ, რა რიცხვია დღეს?

– თვრამეტი მარტი.

– გმადლობთ.

ახალგაზრდა კაცმა თითქმის ძალით გამოგლიჯა ხელიდან ასანთი და წავიდა თავისი გზით.

ახირებული კაცი. ყოვლად ახირებული ცხვირწითელა პოეტი, რომელიც ჩრდილოეთში ერთობ ნაყოფიერი იქნებოდა. ფიფქს ვერ გააყოლებ ბოლომდე თვალს, მაგრამ ეს არაფერია – სამაგიეროდ სხვას „დაიჭერ“. მოგკლავ, აღგადგენ, მოგკლავ, აღგადგენ. ისე კი კარგია, რომ ყველა უყვარს. მე შენ მიყვარხარ!

– იცი, როგორ მიყვარხარ?!

ბიჭოს! ეს ვინ განაგრძო ახალგაზრდა კაცის ფიქრი? სადღაც უკან თქვა მამაკაცის ხმამ. არა, მამაკაცის კი არა, თითქმის ბავშვის, ყვინჩილა ბიჭის ხმამ.

იმავ წუთს ყვინჩილა ბიჭის ხმა ხელახლა დაირხა დათოვლილ სივრცეში.

– იცი, რა ძალიან მიყვარხარ, ნონა? ისე ძალიან, როგორც არასოდეს არავის ყვარებია თავისი... თავისი ნონა! ისე ძალიან-ძალიან, რომ არ ვიცი ხოლმე რა ვქნა. არც ის ვიცი, როგორ გითხრა, რომ გაგაგებინო. აი, გიყურებ ხოლმე და რაღაც მემართება – ისე მიხარია, ისე მიხარია, რომ მინდა რამე ჩავიდინო, რამე სასწაული. სინამდვილეში კი არ ვიცი რა ვქნა. აი, ასე ძალიან მიყვარხარ! მაგრამ მაინც ვერ ვთქვი.

ეს „მაინც ვერ ვთქვი“ ისეთი სინანულით იყო ნათქვამი, რომ ყვინჩილა ბიჭმა, ალბათ, ხელიც ჩაიქნია თავისი უნიჭობის აღსანიშნავად.

„ბიჭოს!“ – გაიფიქრა ახალგაზრდა კაცმა და უნებურად ნაბიჯი შეანელა.

ქალ-ვაჟმა გადაუსწრო; გადაუსწრო სწორედ იმ დროს, როდესაც ყვინჩილა ბიჭმა თავისი აღგზნებული, მაგრამ გაგებინების თვალსაზრისით არცთუ უნაკლო სიტყვა დაამთავრა.

ახალგაზრდა კაცმა თავი ასწია. ყვინჩილა ბიჭი საკმაოდ მაღალი და ბეჭებგანიერი ჭაბუკი გამოდგა; თუმცა აყრილი ტანი ვერ მალავდა ყვინჩილობის ასაკს, რაშიაც, უპირველეს ყოვლისა, დამნაშავე იყო ხმა; ალბათ, სახეც, მაგრამ სახე ახალგაზრდა კაცს არ დაუნახავს.

გოგონა ხელიხელჩაკიდებული მიჰყვებოდა და დროდადრო მარცხენა ფეხის წვერით ახალ თოვლს ჩიჩქნიდა. წელში გამოყვანილი, სწორი პალტო საშუალებას არ იძლეოდა გარკვეულად გვეთქვა რაიმე მისი ტანის წყობაზე. სამაგიეროდ, ყველაფერს ნათელს ხდიდა თმა – ოდნავ ხვეული, უფრო სწორად, ტალღოვანი, წაბლისფერი ხშირი თმა, რომელიც მხრებზე სცემდა. თუ მკითხველი ლიტონ განცხადებას ენდობა, გავბედავთ და ვიტყვით, რომ შეუძლებელია ასეთი თმა ულამაზო ქალის მხრებზე ეფინოს.

ასეთი აზრის იყო ახალგაზრდა კაციც. თუმცა მას საშუალება ჰქონდა უფრო საბუთიერად ემსჯელა, რადგან, როდესაც ქალ-ვაჟი გაუსწორდა, მან, არა, მან კი არა, მისი არსების რომელიღაც უტაქტო ნაწილმა აიძულა თვალები ცერად გაეხედათ გოგონასაკენ. ასე ნებით თუ უნებურად დაინახა ლამაზი პროფილი, მაგრამ მისი ყურადღება მაინც მთლიანად თმამ მიიპყრო.

არა, შეუძლებელია ასეთი თმა ულამაზო ქალის მხრებზე. ასეთი ხშირი, ასეთი ოქროვანი... თუმცა, არა, სიხშირე და ოქროვანობა არ იყო მთავარი და ნიშანდობლივი. რაღაც მომხიბლავი სინატიფე, სინორჩე და ჰაეროვნება იყო ამ თმაში.

ასეთ თმაში ხელის ჩაყოფა, ალბათ, მთელი ბედნიერებაა!

– ვერ ვთქვი, – გაიმეორა ვაჟმა და ახლა უკვე საკუთარი თვალით დაინახა ახალგაზრდა კაცმა, როგორ ჩაიქნია მან ხელი თავისი უნიჭობის აღსანიშნავად.

– არ ვიცი, როგორ თქვი, – უპასუხა გოგონამ, – იქნებ მართლა შეიძლებოდა უკეთ თქმა, მაგრამ მე გავიგე. შენ კი ძალიან კარგი გოგი ხარ და ამისათვის ახლავე მიიღებ ჯილდოს, – იგი ფეხის წვერებზე შედგა, მთელი ტანით გადაიხარა ყვინჩილა ბიჭისკენ და მარცხენა ლოყაზე ისეთი ჯილდო გადასცა, რომელსაც ვერც ერთი სულიერი ვერ მიიღებს ტკბილი ჟრუანტელის გარეშე. უფრო მეტიც, ალბათ, ახალგაზრდა კაცი დაგვეთანხმება, რომ ასეთი დაჯილდოების პასიური მაყურებელიც კი ვერ დარჩება მთლად გულგრილად. ეს იყო რაღაც ბავშვური, რბილი კოცნა. არა ქალური, არა ვნებიანი, მაგრამ საოცრად წმინდა და მით უფრო გამაბრუებელი.

ვაჟზე, რომელსაც ასეთი პატივის შემდეგ ყვინჩილას აღარ უწოდებდა თავის გუნებაში ახალგაზრდა კაცი, შესაფერისად იმოქმედა მაღალმა ჯილდომ. მერე კი განაგრძო თავისი განცდების აღწერა:

– ამაღამ, ვიცი, არ დამეძინება; მით უმეტეს ამის შემდეგ, – მან დაჯილდოებულ ლოყაზე ფრთხილად მიიდო ხელი, თითქოს ეშინოდა არ წავშალოო, – არ დამეძინება და მთელი ღამე შენს ნატვრაში ვიქნები. იცი, როგორ მენატრები ხოლმე? ახლა კიდევ არაფერი, განსაკუთრებით საღამოობით მიჭირს. თუ საღამო ხანს ვერ გნახე, რაღაც ნაღველი შემომაწვება ხოლმე და ისე მენატრები, ისე მენატრები, რომ აღარ ვიცი რა ვქნა. ძალიან-ძალიან მენატრები ხოლმე. როცა... როცა... აი... როცა შევუღლდებით – (ეს „შევუღლდებით“ საოცარი მორცხვობით ითქვა) – არასოდეს არ მოგიშორებ, განსაკუთრებით საღამოობით, მაგრამ როდის იქნება?..

– დიდი ხნის მერე – ჯერ პატარები ვართ.

– პატარები?

– ჰო, მოსწავლეები ვართ, პატარებად ვითვლებით. დედაჩემმა რომ გამიგოს, ალბათ, შავ დღეს დამაყრის.

– მართლა? – ვაჟს გაეცინა.

ჰაიტ, შე ყვინჩილა ბიჭო, რა გაცინებს!

– რა გაცინებს! თორემ დედაშენი თავზე ხელს გადაგისვამს!

– რატომაც არა, თუკი ასეთ კარგ, პატარა ნონას ნახავს.

ცოტა ხნის დუმილის შემდეგ ვაჟმა ჰკითხა:

– მამაშენი?

– რა, მამაჩემი?

– მამაშენი რაღას იტყვის?

– მამაჩემი? მამაჩემმა ერთად რომ დაგვინახოს, ალბათ, თვითონვე აგვარიდებს თვალს. მაგრამ ეს უარესია. როგორღა გინდა მერე სახეში შეხედო! დედაჩემი კი საჭირო ზომებსაც მიიღებს. მაშინ დაუძვირდება გოგის ჩემი ნახვა.

– არ დაუძვირდება!

– რას იზამს?

– იცი, რას ვიზამ? შუაღამისას კენჭს ვესვრი ნონას ფანჯარას, ეს იქნება ნიშანი. ნონა გადმოვა ფანჯრიდან... თუმცა როგორ ჩამოხვალ?.. – ვაჟი დაფიქრდა, – არაფერია, როგორმე მოვახერხებთ, ჩამოხვალ. მერე, ჰაიდა! ვნახავთ, ვის დაუძვირდება ჩემი პატარა ნონას ნახვა.

„ჰმ“ – გაიფიქრა ახალგაზრდა კაცმა.

ერთხანს მდუმარედ იარეს. როგორც ჩანდა, შუაღამისას პირდაპირ ფანჯრიდან ჩამოშვების პერსპექტივამ ღრმად ჩაითრია ყმაწვილების გონება. მერე უეცრად ნონამ (მას უკვე სახელით მიმართავდა თავის გონებაში ახალგაზრდა კაცი) თქვა:

– ნეტავი მერეც თუ ასე გვეყვარება ერთმანეთი?

– როდის მერე?

– მერე, როცა ჩვენთვის ვიქნებით, როცა ჩვენი ოჯახი გვექნება.

– პატარა ოჯახი. და ჩვენ ვიქნებით ოჯახის უფროსები... რასაკვირველია. რატომ გგონია, რომ აღარ გვეყვარება?

– რა ვიცი.

– გვეყვარება. მე ყოველთვის ასე მეყვარები, ჩემ თავზე პასუხს ვაგებ. შენი რა ვიცი.

– ჩემ თავზე მე ვაგებ პასუხს.

გოგიმ გაიცინა.

– მაშ ყველაფერი რიგზე ყოფილა. მუდამ ასე გვეყვარება ერთმანეთი მერეც და მერის მერეც, როცა ჩვენი შვილები ივლიან ასე ჩუმჩუმად თავიანთ ნონასთან და თავიანთ გოგისთან. შენ მუდამ ჩემი პატარა, კარგი ნონა იქნები და ჩემთვის მუდამ უდიდესი ბედნიერება იქნება ამ ოქროს ზღვაში ხელის ჩამალვა. – მან ხელი გამოართვა გოგონას და შეყო „ოქროს ზღვაში“, რომელიც მხრებზე სცემდა ნონას. გაუბედავი ხელი კანკალებდა.

ახალგაზრდა კაცი მოჯადოებულივით მისჩერებოდა.

კვლავ დუმილი ჩამოვარდა.

ყმაწვილები ისევ ხელიხელჩაკიდებული მიდიოდნენ.

ახლა დუმილი სწორედ მისწრება იყო, მათი საუბრის საუკეთესო გაგრძელება, რადგან ასეთი დუმილი – შეხმატკბილებული, ერთობლივი, შერწყმული – ამბობს იმას, რაც ენას სხვადასხვა მიზეზების გამო არ ძალუძს. ისინი ფიქრობდნენ რაღაც მაღალსა და შორეულზე, ბუნდოვანსა და უცნობზე, კეთილშობილსა და სანატრელზე, რასაც უნდა მოეტანა ჭეშმარიტი დარდი და ჭეშმარიტი სიხარული. თავიანთ ასაკში მათ არ ძალუძდათ ჭვრეტით ჩაწვდომოდნენ და ენით, დანაწევრებული მეტყველებით გამოეხატათ იგი – საოცარი და მიმზიდველი, რომელსაც სიჭაბუკის ნისლი ფარავდა.

ფიქრობდნენ და მიდიოდნენ მდუმარედ, მიდიოდნენ ხელიხელჩაკიდებული.

ახალგაზრდა კაცი მოჯადოებულივით მიჰყვებოდა.

თუ ყმაწვილები ახლა დუმილით ლაპარაკობდნენ, ამ დუმილს ახალგაზრდა კაცის ენაზე თარგმნიდა მათი გადაჭდობილი ხელები.

ასე იარეს ერთხანს.

ახალგაზრდა კაცს ეჩვენებოდა, რომ შეყვარებულთა გულების ბაგაბუგი ესმოდა, მაგრამ კარგად რომ დააყურა, მისდა გასაოცრად შენიშნა, რომ შეყვარებულთა კი არა, საკუთარი გული ყოფილა.

„რა კარგები არიან – გაიფიქრა მან – ეს ნონა მართლაც „ჩემი პატარა, კარგი“ გოგონაა, რომელსაც „ოქროს ზღვა“ მხრებზე სცემს. გოგიც კარგი ბიჭია, ძალიან კარგი ბიჭია მიუხედავად ყველაფრისა“.

მიუხედავად ყველაფრისა? მიუხედავად რისა?!

ახალგაზრდა კაცმა საშინელ ვერაგობაზე წაასწრო თავის თავს და რაღაც ავი ნიშნისმოგებით, მკაფიოდ და მარცვალ-მარცვალ გაიფიქრა: „მაშ ასე – მიუხედავად შურისა, რომელიც დამეუფლა მე იმის გამო, რომ ლამაზი, საყვარელი ნონა ვიღაც ყვინჩილა გოგის მიჰყვება გვერდით და არა თქვენს მონა მორჩილს“.

ჰმ, სწორედ ახლა სცალია ახალგაზრდა კაცს პატივმოყვარული და თავის საფუძველში ავხორცული ფიქრებისათვის!

ღმერთო!

კი, მაგრამ აქ რა გვინდა?!

ახალგაზრდა კაცმა შიშით მიმოიხედა და უეცრად გულ-მუცელი საშინლად აეწვა: სახლისაკენ მიმავალი გზა უკან დარჩენილიყო!...

– რა გნებავთ?

რაო?!

... ყმაწვილები შემობრუნებულიყვნენ და მას შესცქეროდნენ.

აი, თურმე როგორები ყოფილან! მართლაც ძალიან ლამაზი გოგონაა, რა მიამიტი სახე აქვს, რა საყვარელი!

– რა გნებავთ? – გაკვირვებული და დაბნეული ღიმილით გაიმეორა ყმაწვილმა, რომელსაც გოგი ერქვა.

– მე? არა... არაფერი... – არანაკლებ დაბნეული იყო პასუხი.

როგორ, ხმამაღლა თქვა რამე ახალგაზრდა კაცმა?

ნუთუ მართლა ხმამაღლა თქვა რამე ახალგაზრდა კაცმა?

რაო, რა თქვა?

ნეტა რა უნდა ეთქვა?

იგი დაძაბულად ფიქრობდა, თითქოს ხსნა მართლა იმაში მდგომარეობდა, რომ მოეგონებინა თუ რა თქვა ხმამაღლა.

მერე უცებ გამოერკვა.

...შეყვარებულები ხელიხელჩაკიდებულები ნელა მიჰყვებოდნენ ქუჩას.

ახალგაზრდა კაცი ერთბაშად შემოტრიალდა და მოწყდა ადგილს, გაიქცა რაც ძალი და ღონე ჰქონდა.

გარბოდა... ღმერთმა იცის, რატომ ცდილობდა არ ეფიქრა. და გარბოდა... გონებაში მაინც, თავისთავად ჩნდებოდა რაღაც სიტყვები, რაღაც ფრაზები თუ ფრაზების ნაწყვეტები. „არც ერთი ფიქრი ჩემ თავში... ეს საკმარისია... მის ხსოვნასთან... არც ერთი ნაბიჯი... ჩემო ამბოხებულო სულო...“ დაახლოებით ასეთი იყო ის ფრაზები თუ ფრაზების ნაწყვეტები, რომლებიც მის გახურებულ გონებაში რეკლამის ნათურებივით ინთებოდნენ და ქრებოდნენ, ინთებოდნენ და ქრებოდნენ. საოცარი ის იყო, რომ ეს ნაწყვეტ-ნაწყვეტი ფრაზები თითქოს ვიღაცის გამოჯავრება, ვიღაცის მწარე დაცინვა იყო. მაგრამ გონება უხურდა. ანგარიშს ვერ აძლევდა თავს და გარბოდა... ერთი-ორჯერ წაიფორხილა. გასწორდა. და გარბოდა... ერთხელ დაეცა კიდეც. წამოდგა (დიდი ამბავი თუ დაეცა, კაი, თუ ძმა ხარ, რაში ეკითხებოდა თუ რას იტყოდა ხალხი). და გარბოდა... ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა. და გარბოდა... გარბოდა...

გახვითქული შევარდა ეზოში და წამით შედგა, როდესაც ქურთი მეეზოვის შეშინებულ თვალებს წააწყდა. მერე ისევ განაგრძო სირბილი – ამჯერად მაღლა, კიბეებზე.

ქურთის დედაკაცმა თავი გადაიქნია. მისმა მარტივმა სულმა ვერავითარი ახსნა ვერ მოუძებნა დინჯი, თავისი საქმის მცოდნე ჭირისუფლის ასე მოულოდნელ აცუნდრუკებას. და მის ღატაკ ფიზიონომიაზე ნათლად გამოისახა „სოდოა, სოდო!“.

ახალგაზრდა კაცი შევარდა ოთახში და შეჩერდა.

რისთვის მორბოდა, სად მირბოდა, რას გაურბოდა?..

რას გაურბოდა? მას მოულოდნელად მოაგონდა ბავშვობაში წაკითხული თუ გაგონილი ამბავი, ამბავი ერთი მელიისა, რომელმაც რაღაც დრამატული მიზეზების გამო, გადაწყვიტა საკუთარ კუდს გაქცეოდა.

ჰოი, უგუნურო პირუტყვო! სად გაექცევი საკუთარ კუდს, სად გაექცევი შენი არსებობის ნაწილს?!

– სად მივრბოდი, – ჩურჩულით თქვა ახალგაზრდა კაცმა, – რას გავურბოდი, ნუთუ საკუთარ კუდს?

მან შეხედა ფოტოსურათს კედელზე, საწოლებს ზემოთ. ეს იყო მისი მეუღლე. მაგრამ ამ მეუღლეს, რომელიც კედელზე ეკიდა, არაფერი ესმოდა და აუმღვრევლად გადმოჰყურებდა თავისი ნაღვლიანი, ოდნავ დამცინავი თვალებით.

ახალგაზრდა კაცი დაეცა ლოგინზე და ბალღივით აქვითინდა.

დასასრული
დასაწყისი №47-50

მამუკა წიკლაური

გაუფილტრავი ფიქრები

სატანა სიონის ტაძარში

იშვიათია ისეთი სისასტიკე და დაუნდობლობა, რასაც გარუსებული ქართველი, გენერალი ციციანოვი იჩენდა ქართველებისა და კავკასიელების მიმართ.

აი, როგორ მოძღვრავდა პავლე ციციანოვი თავის ჯარისკაცებს 1804 წლის მთიულეთის აჯანყების დროს: „მახვილით აჰკაფეთ, ლუკმა-ლუკმა აჩეხეთ და აჰკუწეთ მეამბოხენი! ნუ დაინდობთ, ნუ შეიბრალებთ მაგ ავაზაკებსა და ბარბაროსებს... გაანადგურეთ მაგათი სოფლები, არ გამოიჩინოთ არავითარი შეწყალება...“

თვით აჯანყებულებს კი ასე ემუქრებოდა ეს მართლაც ავაზაკი და ბარბაროსი გენერალი: „თუ ჩემი ბრძანება არ შეგისრულებიათ, დაგაწიოკებთ და ქვას ქვაზე არ დავტოვებ თქვენი სახლ-კარიდან.“

ხოლო იმპერატორს ასე უხასიათებდა ქართველ ხალხს: „მეამბოხენი ველური და გადაგვარებული ხალხია და ამისთანა ხალხს რაღა მოეთხოვება?!“

აჯანყება მართლაც ველური სისასტიკით ჩაახშეს – ვინც მოკლეს, მოკლეს – დანარჩენები კი ციმბირში და „ციმბირს იქით“ გაისტუმრეს.

არც სხვა ეროვნების კავკასიელებს ინდობდა ეს გადაგვარებული ციციშვილ-ციციანოვი. იგი ასეთ ცოფიან წერილებს წერდა ელისუს სულთანს: „შენ ძაღლის სული და ვირის ჭკუა გაქვს და შენი სისხლი ჩექმების გასარეცხად გამომადგებაო.“

ისტორიამ ზოგჯერ სამართლიანი შურისძიება იცის – ციციანოვი ბაქოს ხანმა მიიტყუა თავის ციხესთან და დამსახურებული ტყვია აძგერეს რუსული ცოფით ამღვრეულ თავში. გენერლის თავი საჩუქრად შაჰს გაუგზავნეს, ხოლო ტანი, იქვე, ციხის კედელთან დაფლეს.

შემდგომ კი კავკასიის ახალმა მთავარმართებელმა მარკიზ პაულიჩმა ციციანოვის უთავო სხეული თბილისში ჩამოიტანა და „დიდი პატივით“ დამარხა სიონის ეკლესიაში. დღესაც აქ „განისვენებს“ ეს უთავო ბოროტება და თქვენ გეკითხებით: – რა უნდა სატანას საკათედრო ტაძარში?!

საჩვენო იგავ-არაკი

იყო ყაყანი და იყო ღრენა, იყო ყეფა და იყო გნიასი.

ბრძენმა უსმინა, უსმინა და წამოიწყო: – მე თუკი მკითხავთ...

მაგრამ არც ჰკითხეს და არც ყური დაუგდეს. ისევ გაგრძელდა დიდი გნიასი, მიწევ-მოწევა, ლანძღვა-გინება...

ბრძენმა უსმინა, უსმინა და ისევ სცადა აზრის გამოთქმა: – მე თუკი მკითხავთ...

არ გაიგონეს მისი სიტყვა, არ შეისმინეს... ისევ გაგრძელდა ღრიალი და ბილწსიტყვაობა. დანამ იელვა და ტყვიამაც გაიზუზუნა.

ბრძენი შეძრწუნდა და კვლავ დაიწყო: მე თუკი მკითხავთ...

მაინც არ ჰკითხეს! — როდის იყო, სულელი სიბრძნეს ეძებდა?! სულელს თავისი სისულელე ეძვირფასება...

ბრძენმა ღრმად ამოიოხრა, ადგა და წავიდა. იგი დარჩენილებმა მხოლოდ მაშინ მოისაკლისეს, როცა სისხლის გუბეები დადგა, როცა ყორნებით გაივსო ზეცა და... ქვეყანაში დამპყრობლები ისევ დაბრუნდნენ, კვლავ მოიტანეს ხელბორკილები.

შედგნენ ყაყანზე, ყვირილზე და „საკუთარ აზრზე“ ამხედრებულნი. ბრძენი მოიკითხეს, უძახეს, მაგრამ ვერ გააგონეს – იგი შორს იყო უკვე წასული.

ჯანგირა თურმანაული

ჯანგირა თურმანაული ქაქუცა ჩოლოყაშვილის შეფიცულთა რაზმის წევრი იყო. თუ ვინმეზე ითქმის მამაცურად იბრძოდაო, იქ თურმანაულიც უნდა ვახსენოთ.

1924 წლის აჯანყების დამარცხების შემდეგ ქაქუცამ გადაწყვიტა, რომ თავის რაზმთან ერთად საზღვარგარეთისთვის შეეფარებინა თავი. სხვა გზა არ ჩანდა და წასვლაზე ყველამ თანხმობა განაცხადა, ჯანგირას გარდა. მან მეგობრებს უთხრა:

— თქვენ უფალმა ხელი მოგიმართოთ, მე კი სხვაგან ვერ წავალ, უცხოეთში ვერ გავძლებ... აქ დავრჩები და ვიბრძოლებ, მშვიდი ძილით არ დავაძინებ ამათაო...

— კი, მაგრამ ერთი კაცი რას გახდები, მარტო რას გააკეთებო?! — ჰკითხეს ჯანგირას.

— რაც ერთ კაცს შეუძლია — ყველაფერსაო, – მიუგო ჯანგირამ და დარჩა. ბრძოლა გაგრძელდა... მოგვიანებით კი მოტყუებით მოკლეს.

რეპლიკა

ექვთიმე თაყაიშვილმა დიდი ამაგი დასდო ქართულ კულტურას, როგორც საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ხელმძღვანელმა, როგორც ქართული უნივერსიტეტის ენთუზიასტმა... დიდი შრომა გასწია მან ტაძრებისა და საეკლესიო ბიბლიოთეკების აღწერის, წარწერების გადმოღების – ამოკითხვისა და აღწერის საქმისათვის. მას არ დაუტოვებია არც ერთი კუთხე საქართველოსი, რომ არ მისულიყო და შესაბამისი სასწრაფო სამუშაოები არ ჩაეტარებინა იქ. რამდენჯერმე იმოგზაურა მან სამხრეთ საქართველოს და ტაო-კლარჯეთის ძეგლების შესასწავლად — ბევრ რამეს სულზე მიუსწრო და ქაღალდზე მაინც აღნუსხა დასანგრევად განწირული არაერთი ძეგლი.

დიდი წვლილი მიუძღვის ექვთიმე თაყაიშვილს 1921 წელს საზღვარგარეთ გატანილი განძის პატრონობისა და გადარჩენის საქმეში, თუმცა... აქ არც უცხოეთში გადახვეწილი მთავრობა უნდა დაგვავიწყდეს, რომელსაც, დიდი გასაჭირის მიუხედავად, ხელი არ წაუვიდა ეროვნული განძისკენ... ისტორია ისტორიაა და მას ვერც ლექსები შეცვლის, ვერც კინოფილმები და ვერც ენამჭევრი პუბლიცისტური გამოსვლები...

არაერთხელ გაიგონებდი კომუნისტური ყაიდის „სიმართლეს“: მენშევიკურ მთავრობას კბილი უკაწკაწებდა განძის გაყიდვაზე, მაგრამ თაყაიშვილმა არ დაანებაო... ასე არ ყოფილა – ისინი ერთად იცავდნენ ამ განძს და გადაარჩინეს – თითქმის ყველაფერი უკლებლივ დაუბრუნდა ქვეყანას...

ზოგიერთს კი ისე გაიტყუებს ხოლმე „დაჩაგრულის“ გამოსარჩლების სურვილი, რომ ავიწყდებათ მთავარი – ექვთიმე თაყაიშვილი დიდი მეცნიერი იყო და არა მხოლოდ საგანძურის პატიოსანი მცველი.

შემწყნარებლობა და შეუწყნარებლობა

იცავდა რა, პეტრე პირველს იმათგან, ვინც მეფეს სიმკაცრეში ადანაშაულებდა, ერთი მისი თანამედროვე წერდა: „ეჰ, ბევრმა რომ იცოდეს ის, რაც ჩვენ ვიცით, გაჰკვირდებოდნენ მეფის შემწყნარებლობით!..“

მართლაც, ხშირადაა გაურკვეველი – სამართლიანი შეუწყნარებლობა სჯობს, თუ ზედმეტი შემწყნარებლობა. ისტორიაში გვაქვს მაგალითები, როცა სწორედ შემწყნარებლობამ მოშალა სახელმწიფოებრივი პოლიტიკის სტრუქტურა... არც ისაა იშვიათი, როცა გარეშე მტერი სწორედ ხელისუფლების ზედმეტი შემწყნარებლობით სარგებლობს და ადვილად ქმნის საბედისწერო მეხუთე კოლონას...

უკომენტაროდ

1989 წლის 11 აპრილს, პარიზის წმინდა ნინოს ეკლესიაში, სამღვდელოებამ გადაიხადა 9 აპრილს დაღუპულ პატრიოტთა მოსახსენებელი პარაკლისი... მლოცველთა შორის იყო ერთი მოხუცი ფრანგი გენერალი, რომელმაც განაცხადა: მოვედი, რათა გავიზიარო საფრანგეთის არმიის გმირი პოლკოვნიკის, თავად ამილახვრის მშობელი ხალხის ეროვნული გლოვაო.

ასე იქცევიან ფრანგები და, საერთოდ, ადამიანური ადამიანები.

სამწუხაროდ, ასე არ იქცევიან რუსები – სამჯერ ააფეთქეს ბოროდინოს მემორიალის ის ნაწილი, სადაც რუსეთის არმიის სახელგანთქმული გენერალი, ბოროდინოს გმირი პეტრე ბაგრატიონი განისვენებს. მიზეზი მარტივია — ბაგრატიონი ქართველი იყო...

ყინულის ქუდი

ლომისობის ღამისთევაა. შუაღამე კაი ხნის გადასულია. მლოცავთაგან ზოგმა დაიძინა, ზოგიც ცეკვა-თამაშითა და სიმღერით ებრძვის ღამის სიგრილეს... ვინ იცის, მერამდენედ ზეიმობს ხალხი თეთრი არაგვისა და ქსნის არაგვის სათავეებში დავანებული ხატის დღეობას; ვინ იცის, მერამდენედ იხსენებს ხალხი იმ ლეგენდას, რომლის მიხედვითაც სპარსეთში დატყვევებულ შვიდი ათას ქართველს გამოუძღვა წინ ლომა ხარი – გამოიყვანა ისინი ტყვეობიდან, თვითონ კი, აი, ამ ქედზე ამოვიდა, დაწვა დაღლილი და აღარც ამდგარა – აქ განუტევა სული. სწორედ იმ ადგილზე აშენდა იმ ლომა ხარის ეკლესია და ეწოდა ლომისა.

...ლომისობის ღამისთევაა... ალბათ, მოახლოვდა რიჟრაჟი. ეკლესიის ერთ კედელთან დასტურ-დეკანოზები მისხდომიან სუფრას და წვრილ-წვრილი ჭიქებით სვამენ პანტის არაყს. მეც მიმიპატიჟეს. სიტყვა წამებულ მღვდელ ბესა მალანიაზე ჩამოვარდა. 30-იან წლებში ის ერთადერთი მღვდელი იყო თეთრი არაგვის ხეობაში... სიტყვიერი დაშინებით ვერ გატეხეს. ბოლოს დაიჭირეს, თმაწვერი გადაპარსეს, ხელები შეუკრეს, შიშველ თავზე ქუდის ფორმის ყინული ჩამოაცვეს და უთხრეს – ვიდრე ღმერთს არ შეაგინებ, ამ ქუდს არ მოგაცილებთო. არ გატყდა ბესა, მაგრამ იმ ყინულისგან ჭკუაზე შეიშალა...

— მე მაშინ ათიოდე წლისა ვიქნებოდი და მახსოვს, ბესა ციხიდან რომ მოიყვანეს. შეშლილი იყო, სასაფლაოზე მკვდრებს ჩასძახოდა: – ადექით, მომეშველენითო!.. ხან კი ცოლს დასდევდა ცულით – შენ დამახურე ის ყინულის ქუდიო – თქვა ბოლოს ლომისის დეკანოზმა ბურდულმა და დაულოცავად გადაჰკრა მწარე არაყი.

ესეც ლეგენდასავითაა, მაგრამ ლეგენდა არაა – მაშინ ხომ ყინულის უზარმაზარი ქუდი ეხურა თვით უზარმაზარ ტოტალიტარულ ქვეყანასაც?!

ეჭვი

„ყოფილა მომენტები, როდესაც გულის სიღრმეში ფეხბურთის მომგონს ვაგინებდი“ – უთქვამს დიდ ფეხბურთელს დავით ყიფიანს. ფეხბურთი იქით იყოს და მეც მქონია მომენტები, როცა მეც მიწყევლია პოეზიისა და ლექსის მომგონი... არა და ლექსი ხომ ჩემთვის ყველაფერია – ლექსით ვსუნთქავ, ლექსით დავდივარ, ლექსით დავცურავ, ლექსით ვარსებობ... მაგრამ ამ ყოველივეს დაეჭვების უსასტიკესი მომენტებიც ახლავს და აი, მაშინაა, არც პოეზიას ვზოგავ და არც საკუთარ თავს...

თანაგრძნობის უნარი

შვილმკვდარი დედა, მწერალი ნათელა ონაშვილი თავის წიგნში წერს: ჩემი შვილის მკვლელის განაჩენი (სამუდამო პატიმრობა) რომ გამოაცხადეს, იმისმა დედამ ერთი ალიაქოთი ატეხა და მე გამიკვირდა, რომ ხმას იღებდა — ჩემიც არ შერცხვაო...

ამან დედაჩემის ნაამბობი გამახსენა: – ჩვენი პატარა სოფლიდან რვა ბიჭი წაიყვანეს გერმანიის ომში და რვიდან მხოლოდ ერთი ინვალიდიღა დაბრუნდა. შავები ჩაიცვეს დაღუპულთა დედებმა და... შავები ჩაიცვა დაბრუნებული შვილის დედამაც და სიკვდილამდე არ გაუხდია ძაძა... იგი შვილმკვდარ დედებს თანაუგრძნობდა.

საქართველო, უპირველესად, მეომრის გაუტეხელმა გულმა და გალესილმა მახვილმა გადაარჩინაო — ამბობენ და სწორედაც ამბობენ, მაგრამ აქ არც რელიგიად ქცეული ზნეობის როლი უნდა დაგვავიწყდეს.

ამ ზნეობის უმაღლესი ნიშნული კი, ალბათ, „ლექსი ვეფხვისა და მოყმისაა“:

„ხან იფიქრებდა – უდედოდ გაზრდა ვინა თქვა შვილისა,

იქნება ვეფხვის დედაი ჩემზე მწარედა სტირისა,

წავიდე, მეც იქ მივიდე, სამძიმარ ვუთხრა ჭირისა...“

ქრისტიანობის მთავარი არსიც ხომ სხვისი ჭირის გაზიარების და საკუთარ ჭირად ჩათვლის უნარია?!

ბრძოლები ეშმაკეულთან

პავლე მოციქული თავის ერთ-ერთ ეპისტოლეში ეფესელებს აფრთხილებს: „ნუ იფიქრებთ, თითქოს ჩვეულებრივი იყოს ბრძოლა, რომელიც წინ გვიდევს. არა ჩვენთა მსგავსთა კაცთა ვებრძვით და არცა ძალნი ჩვენნი თანაბარ არიან. რამეთუ ჩვენ გვამითა შეკრულნი ვართ, ხოლო უგვამოთა ვებრძვით“.

დღევანდელი საქართველოს ეროვნული ინტერესების მოწინააღმდეგე ეშმაკეულ ძალებსაც, თითქოს, ერთი შეხედვით, სახე აქვთ, მაგრამ ეს სახე მათი ნამდვილი სახე არაა, ხოლო მათი ნამდვილი სახე – მოღალატის და კრემლისგან დაქირავებული აგენტის სახე, არ ჩანს – დემაგოგია და „პატრიოტიზმი“ აქვთ აფარებული.

უკომენტაროდ

1921 წლის იმ „წითელ თებერვალს“, თბილისის მისადგომებთან გაჩაღებული ომის მომსწრენი თავის მემუარებში იგონებენ, რომ ქალაქის დამცველი მეომრების გვერდით იდგნენ ქართველი ცისფერყანწელი პოეტები და პატრიოტული მოწოდებებით ამხნევებდნენ ჯარისკაცებსო. სხვათა შორის, ამავე ცნობას იმეორებს მწერალი ალექსანდრე ქუთათელიც, თავის ცნობილ რომანში.

პარალელურად, არსებობს იპოლიტე ვართაგავას ნაამბობიც, რომელიც ოთარ ჩხეიძეს ჩაუწერია და, რომელშიც მაშინდელი თბილისის ბუნდოვანი და გაურკვეველი სიტუაციაა გადმოცემული. მოვუსმინოთ იპოლიტე ვართაგავას, რომელიც ამ დროს თავის ოჯახშია ჩაკეტილი და დახურული აქვს ფანჯრის დარაბები: „უცებ გარედან ხმა შემოიჭრა – იპოლიტე! იპოლიტე! - მესმის ჩემი სახელი, თანაც ვიღაც ჩემს აივანს აზანზარებს. შეშინდა ოჯახი, შეშინდნენ ბავშვები. უნდა გავიდე, სხვა გზა არაა! გავედი და რას ვხედავ – ეტლი დგას ჩემი აივნის წინ. ეტლში პაოლო იაშვილია – წითელი დროშა აღუმართავს... რომ დამინახა, შემომძახა: – მე ბოლშევიკებს უნდა შევეგებო, შენ კი წადი და სარაჯიშვილის სახლი დაიკავე მწერალთა კავშირისთვისო... ეტლმა ჩაუხვია და აბანოთუბნისკენ დაეშვა“.

უკომენტაროდ... რა თქმა უნდა, რომ უკომენტაროდ... აბა, ვინ მოგვცა განსჯის უფლება?! მაგრამ რომც მოგვცენ – როგორ განვსაჯოთ?!

წულეისკირთან

...ჩვენში თითქმის წესად იქცა ორი „შემოქმედი ინტელიგენტის“ კრიტიკული შეჯახება – ძვლების მსხვრევის ხმა და კბილთა ღრჭენა.

...ერთხელაც ასპარეზზე ასეთი ინტელიგენტი მწერლების შერკინება ვიხი-

ლეთ – რა არ უძახეს ერთმანეთს – შენ ასეთი ხარ და შენ – ისეთიო; შენ ეს ჩაიდინე და შენ – ისაო; შენ ამას „უძვრები“ და შენ – იმასო; შენ ეს მიითვისე და შენ – ისაო... მოკლედ, გადმოფინეს მთელი თავიანთი სიბინძურე.

იმ ხანებში ნოდარ წულეისკირი შემომხვდა და მითხრა:

— კაცო, მე სოფელში, წერაქვში ვარ გადაბარგებული, ქალაქში იშვიათად ჩამოვდივარ, კარგად ვერ ვერკვევი აქაურ ამბებში და, თუ ღმერთი გწამს, მითხარი, ამ ერთმანეთს წაკიდებული მწერლებიდან, რომელია მართალი?!

— ორივე მართალია-მეთქი, ვუთხარი მე, – რასაც ერთმანეთს ეუბნებიან, სრული ჭეშმარიტებაა-მეთქი.

ამაზე ნოდარმა თავისებური ალალი სიცილით გაიცინა და თქვა:

— ისე, მეც ეგრე ვფიქრობდი, მაგრამ შენი აზრიც მაინტერესებდაო...

ოთარ ჩხეიძე

როცა ოთარ ჩხეიძეზე ვფიქრობ, ძალიან მიჭირს და შეუძლებლად მეჩვენება, ვიყო „ანალიტიკოსი“ და „ანალიტიკურად“ განვიხილო და წარმოვაჩინო ამ მწერლის პიროვნული და შემოქმედებითი პორტრეტი; წარმოვაჩინო მისი გზა და გარემო – მისი გაუტეხელი ნებისყოფა და შეურიგებლობა კომუნისტური რეჟიმისადმი...

უნდა გამოვტყდე, მე არ შემიძლია ამხელა ტვირთის აწევა და ოთარ ჩხეიძის შემოქმედებითი ღვაწლის განსჯა. ამის გაკეთებას, სხვა არა იყოს რა, დიდი დრო სჭირდება და იქნებ არც ეყოს ერთი ადამიანის ერთი სიცოცხლე... დიდი მწერალი დიდ მკვლევარს ელის.

ასეა და, ამიტომ ისევ ჩემი პოეტური ხილვებით უნდა დავკმაყოფილდე. ამ ხილვების მიხედვით კი ოთარ ჩხეიძეს ვხედავ, როგორც ღრმა თოვლში მიმავალ კაცს. ის მარტოა, არ ჩერდება, ჯიუტად მიდის და გეზი უღელტეხილისკენ აქვს აღებული.

ის მარტოა, მაგრამ უკან, ჩხეიძის მიერ გაკვალულ გზაზე მაგარ-მაგარი ბიჭები ჩანან. მათ მეწინავე მგზავრიც ხედავს და გულს იმშვიდებს: მოდიან, ამაოდ არ ჩაივლის ეს განწირული სულისკვეთება!..

ყოველ წამს შეიძლება, რომ ზავი გასკდეს, ყოველ წამს შეიძლება, მეხი ჩამოტყდეს... ის კი მიდის და მიარღვევს თოვლს. ისე მიდის, რომ არ გაჩერდება, ისე მიდის, რომ გადაივლის ამ უღელტეხილს...

ახლებიც მოდიან, და ვიღაც ხელით მიანიშნებს ახალ თაობას: – აგერ, ჩხეიძე, იარეთ ამ გზით...

აჯანყებული ხიზნები

...ჯანყის ნიაღვარმა გადაუარა საფრანგეთს – აჯანყდნენ ალჟირიდან, სუდანიდან, ეგვიპტიდან, თურქეთიდან საფრანგეთში ემიგრირებული ადამიანები. განსაკუთრებული შავი დღე პარიზს დაატყდა – შავი ნიაღვარი წამოვიდა ამ „ევროპის დედაქალაქის“ ქუჩებში – ანგრევდნენ მაღაზიებსა და სხვა დაწესებულებებს, ამტვრევდნენ და სწვავდნენ ავტომანქანებს, აფეთქებდნენ და ანადგურებდნენ, რაც წინ ხვდებოდათ.

ჯანყი თავისი პოზიციიდან ასე შეაფასა საფრანგეთის ნაციონალური ფრონტის ლიდერმა ლე პენმა, რომელსაც „ქვეყნის მთავარ ნაციონალისტსაც“ უწოდებენ: „ბევრი ადამიანის ზნეობა ისეა მოწყობილი, რომ არ შეუძლია მადლიერი იყოს და ზოგჯერ კეთილშობილი საქციელი საწინააღმდეგოდ შემოგვიბრუნდება ხოლმე. დღეს საფრანგეთში განვითარებული მოვლენები ევროპისთვის საგანგაშო ზარი უნდა იყოს. პირველი დარტყმა ჩვენ მივიღეთ... თუ ევროპა არ გამოფხიზლდება, მას „მესამე სამყაროდან“ წამოსული ადამიანების ტალღა გადაუვლის და გათელავს“.

ე.წ. „ნაციონალური შეუთავსებლობისაგან“ ღმერთმა გვაშოროს, მაგრამ ლე პენის ნათქვამი, ჩვენთვის, ქართველებისთვისაც, ნიშანდობლივია. ამ კონტექსტში, ალბათ, ერთი წამითაც კი არ შეიძლება დავივიწყოთ „ბაგრამიანის ბატალიონის“ ბრძოლები აფხაზეთში, „ადამონ ნიხასის“ პოლიტიკური დეკლარაციები, „ჯავახკის“ ბოდვები და მისთ.

აი, ამაზეც აუცილებლად უნდა დავფიქრდეთ: დემოკრატია მანამდეა კარგი და მომხიბვლელი, ვიდრე იგი ადამიანის უფლებების დაცვას და ეროვნული სახელმწიფოს აღორძინებასა და სიმტკიცეს ემსახურება; ხოლო, როცა დემოკრატიას შენს ქვეყანაში შემოხიზნულნი შენს მოსაკლავ იარაღად იყენებენ, აი, მაშინ კი თვალის გახელა და გაღვიძება გმართებს...

ვაცლავ ჰაველის „ლექსი“

„თქვენი გერბის თორმეტ ვარსკვლავს არ აღვიქვამ, როგორც გამოცხადებას თქვენი ზვიადი რწმენისა იმის შესახებ, რომ ევროპის საბჭო მიწაზე სამოთხეს ააშენებს. მიწაზე სამოთხე არასოდეს არ იქნება. ამ თორმეტ ვარსკვლავს მე აღვიქვამ როგორც შეხსენებას – შესაძლებელია მიწაზეც იყოს რაიმე უკეთესი, თუკი ხანდახან გავბედავთ და ვარსკვლავებს ავხედავთ“ – ეს თქვა ჩეხოსლოვაკიის მაშინდელმა პრეზიდენტმა ვაცლავ ჰაველმა 1990 წლის 10 მაისს სტრასბურგში, ევროპის საბჭოს წინაშე გამოსვლისას.

მე ამ სიტყვებს პოლიტიკოსის გამოსვლად კი არა, პოეტის მიერ ნათქვამ ლექსად, შედევრად აღვიქვამ – თითქოს ჩემი საყვარელი პოეტების ვაჟა ფშაველას, გაბრიელა მისტრალის, იოსიფ ბროდსკის სულ ახლახან დაწერილ ლექსს ვკითხულობ.

სულის გამოძახება

გერმანულად „ციტირენ“ ნიშნავს ტექსტის ციტირებასაც და „სულების გამოძახებასაც“. ანუ, ვინმეს ნაწერის ციტირება მისი სულის გამოძახებაცაა. მოდით, დიდი მომღერლის ბენიამინო ჯილის სული გამოვიძახოთ. იგი თავის ავტობიოგრაფიულ წიგნში წერს: „დედა მეუბნებოდა, რომ კარგი სიმღერა მხოლოდ მგრძნობიარე და მოსიყვარულე გულის ადამიანს შეუძლიაო“.

ჯილის დედის ეს აზრი მთელ ხელოვნებაზე შეიძლება განვავრცოთ და ვთქვათ, რომ ხელოვნება უნივერსალური ენაა და მისი გავრცელების არეალი უსაზღვროა. ამ ენაზე ლაპარაკობენ ადამიანები და მთები, ადამიანები და ყვავილები; ამ ენით მუსაიფობენ აყვავებული ველები მზესთან, ამ ენით მუსაიფობენ შეყვარებულები მთვარესთან... „მწამს, რომ არს ენა რამ საიდუმლო...“

...ბენიამინო ჯილის მამა ფეხსაცმელების კერვის ოსტატი იყო, ოღონდ ფეხსაცმლის ქუსლებს სხვა ოსტატი უმზადებდა და ქუსლების მოსატანად ოსტატი ყოველდღიურად შვილს, პატარა ბენიამინოს გზავნიდა. ბავშვიც, ერთხანს, კარგად უძღვებოდა დავალებულ საქმეს, მაგრამ შემდგომ და შემდგომ გართულდა საქმე – ამის მიზეზი კი ის იყო, რომ პატარა ბიჭში სიმღერის საოცარმა ნიჭმა იფეთქა და ყველას სურდა ესმინა მისთვის. ამიტომ მომღერალს გზაზე აჩერებდნენ და ამღერებდნენ. თუ არ იმღერებდა, არ უშვებდნენ... მერე კი ერთ სიმღერას რომ ჩაათავებდა, მეორეს თხოვდნენ. ისიც მღეროდა, მაგრამ სიმღერის მსურველი იმდენი იყო, რომ ბიჭი სისტემატურად იგვიანებდა და საღამომდე ვერ მიდიოდა სახლში. ამიტომ მამა იძულებული გახდა, ქუსლების მოტანა სხვა შვილისთვის დაევალებინა.

მე ახლაც თვალწინ მიდგას, როგორ იბადება დიდი მომღერლის სულში სიმღერა და ულამაზეს ყვავილებად ამოდის ზევით...

ეს მაცდური ეპატაჟი

„კაცია-ადამიანში“ არის ერთი ასეთი ადგილი: ლუარსაბის სასიმამრო მოსე გძელაძე მოსამსახურე ბიჭს უბრძანებს – სუტკნეინა ხულაში დაამწყვდიეთო. ბიჭს არ სჯერა „პატრონის“ ნათქვამი, ხუმრობა ჰგონია და ადგილიდან არ იძვრის. ამაზე მოსე გაბრაზდება და ბიჭს დასჭყივლებს: „— არ გესმის შე ...შვილო?!“

როგორც ვხედავთ, მწერალმა მკითხველს არ აკადრა უხეში გამოთქმა და „ძაღლის“, თუ „ვირის“ ნაცვლად წერტილები ჩასვა...

ამ თვალსაზრისით თუ ჩავხედავთ ჩვენი დღევანდელი ზოგიერთი „ნიჭიერი ახალგაზრდა პროზაიკოსის“ ნაწერებს, დავინახავთ, რა შორს მოუტოვებიათ ახალ მწერლებს ეს ძველი მწერალი, ხოლო ახალ რედაქტორებს — ძველი რედაქტორები... არც უნდა გაგვიკვირდეს. ავადმყოფური ეპატაჟის „განვითარებას“ არა აქვს საზღვარი და ამ „...შვილებმაც“ რა ქნან – მოდა ხომ ზოგჯერ მსხვერპლსაც მოითხოვს?! ზოგჯერ მოდის მიმდევარი ქალებიც ხომ იჩეხებიან თერთმეტსანტიმეტრიანი ქუსლებიდან?!.

გონებისა და გულის ჭიდილი?!

ილია ჭავჭავაძის „სარჩობელაზედ“ სიკვდილის დასჯის წინააღმდეგ მიმართულ მოთხრობადაა აღიარებული – ესაა ლიტერატურული გამოხმაურება ქრისტიანული ათი მცნების ერთ-ერთ უმთავრეს მცნებაზე...

მოგეხსენებათ, ილია ჭავჭავაძე, როგორც რუსეთის სათათბიროს წევრი, აქტიურად იბრძოდა დამნაშავის სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ და ეს მოთხრობაც მხატვრული ილუსტრირებაა მისი იურიდიული შეხედულებებისა.

...თუმცა არსებობს ილია ჭავჭავაძის ისეთი ლიტერატურული ნაწარმოებებიც (მაგ. „გლახის ნაამბობი“, „კაკო ყაჩაღი“), სადაც მწერალი ავითარებს იმ შეხედულებას, რომ არსებობს ისეთი დანაშაულობები, რომელთა ჩამდენიც იმსახურებს სიკვდილს. „გლახის ნაამბობში“ მწერალი აშკარად თანაუგრძნობს კაცისმკვლელ გაბრიელს, რომელიც ნიშნის მოგებით ჩასძახის მომაკვდავ დათიკოს: „წაგაკალ თუ არა, შენსავე უნამუსობასო...“ ხოლო „კაკო ყაჩაღში“ ავტორი ასევე აშკარად თანაუგრძნობს ზაქროს, რომელიც არცთუ დაფარული სიამაყით ეუბნება კაკოს: „მაშინ ჩემ თოფმაც გამოიჭექა და შეუნგრია გულის ფიცარი იმ ჩემს ბატონსა, ჩემს დამღუპველსა“.

რა არის ეს?! — მწერლის გაორება, თუ ცივი გონებისა და ცხელი გულის ჭიდილი?!

ჩვენც ხომ ასე ვართ – ხელს ვწევთ სიკვდილით დასჯის კანონის გაუქმებაზე, მაგრამ ცხელ გულზე ესეც ხომ გვითქვამს: – მაგის ჩამდენი უნდა მოკვდესო...

გუდიზმის მიხედვით

ბუდიზმის მოძღვრების მიხედვით, ჩვენ გვძინავს და ძილში ვხედავთ ამ გრძელ სიზმარს – ჩვენსავე ცხოვრებას... ოცდაათი წლის უფლისწულმა სიდჰართამ კი გაიღვიძა და ბუდად იქცა.

თითქოს ლამაზი ლეგენდაა, მაგრამ მთლად ლამაზიც არაა! — ტკივილიანი შეკითხვაა – ...და წამახული ისრებივით გვესობა ფიქრში – იქნებ მართლა სიზმარში ვართ, იქნებ მართლა გვძინავს?!

შინ

„ბევრი რამე გამოიგონეს და მომავალში კიდევ ბევრ რამეს გამოიგონებენ, მაგრამ ოჯახზე და ოჯახურ თანხმობაზე უკეთესის გამოგონებას ვერავინ შეძლებს“ – უთქვამს პოლ გოგენს.

ვაჟა ფშაველასაც სამოთხედ ესახებოდა სახლი – კერა და ოჯახი: „თავისი ქოხი მიწური სამოთხედ მისაღებია“ – ამბობდა იგი. ამ „ქოხში“ იყო ვაჟას სიღარიბე, პოეტის მართლაც რომ „საკაცობრიო“ ტკივილები, მაგრამ აქვე იყო გენიალური ლექსების მთქმელი ჩონგური და აქვე, კედელზე ეკიდა ვაჟა ფშაველას გალესილი მახვილი და მტერზე გამარჯვების იმედი. ამიტომ ესახებოდა მას ეს „ქოხი“ სამოთხედ და გაუტეხელ ციხე-სიმაგრედ.

...ხოლო „ყაჩაღად“ წოდებული პოეტი მიხა ხელაშვილი ასე დაიკვნესებს თავის ეულობასა და უსახლკარობაზე:

„უდროვოდ გამოვეთხოვე ხინკლებსა, ქადის კვერებსა,

დიაცის დაგებულ ლოგინს, ბალიშს რომ შეაცერებსა“.

აბა, ვინ იცის, როგორ ჩნდებიან ვარსკვლავები და ყვავილები, როგორ ჩნდებიან წვიმები და ცისარტყელები... ლექსიც ეგრეა – „დიაცის დაგებულ ლოგინს, ბალიშს რომ შეაცერებსა“ – აქ ხელის მართლაც ერთი ჯადოსნური მოქნევითაა დახატული სახლი და კერა, ფესვი და ენა, შენი საწოლი და შენი ცეცხლი... ესაა შენი სათავე, აქედან იწყები, აქაა შენი წინაპრების ნაკვალევი და აქეთკენ მოდის მომავალი. ეს შენია, შენ ხარ და ამიტომაც „შინ“ ხარ...

ამისთვის იყო დიდი ომები – რომ წავეშალეთ ისტორიიდან, რომ გადაეჭრათ მომავლის გზები. დღესაც ამისთვის ბერავენ ძარღვებს, დღესაც ამისთვის გვიღერებენ გალესილ დანას. დღესაც ამისთვის მოიწევენ ჩვენსკენ სკვითები...

დათვის გასაჭირი

ამას კი მართლა ვერ წარმოვიდგენდი! — ჩემი თვალით რომ არ მენახა, ჩემი ყურით რომ არ გამეგონა, თუ როგორ უჭირს ზოგიერთ ჩვენს „კულტურის მოღვაწეს“ თავისუფლებასთან და დამოუკიდებლობასთან შეგუება, რა ცხელი ცრემლით მისტირიან იმპერიული „მეგობრობის“ რღვევას!..

ხალხური იუმორი მახსენდება: დათვი, გაზაფხულზე, სოროდან გამოძვრა და დაიჭყანა – ეს რა საშინელი სუნიაო.

— ნუ გეშინია, – ჩამოსძახა ჩხიკვმა, – ცოტაც გაუძელი და შენც შეეჩვევი სუფთა ჰაერსო.

იწვა ილია ჭავჭავაძე წიწამურის ველზე

ალბათ, ქვეყნის ცხოვრებაში, ხანგამოშვებით, დგება ისეთი ავბედითი ჟამი, როცა ხალხის ერთი დიდი ნაწილი ბრბოდ გადაიქცევა და აღარ უსმენს ერის რჩეულ შვილებს; როცა ასპარეზზე ეშმაკი გამოდის და მას ტაშისცემით ეგებება ბრბო.

ასეთი რამ მოხდა მეოცე საუკუნის დასაწყისის საქართველოშიც. რუსეთიდან პროლეტარული სიგიჟით აქაფებულმა ოკეანემ ტალღები აქაც შემოისროლა – დაიწყო ეროვნული იდეების ტოტალური უარყოფა და ყოველივე ეროვნულის გაქიაქება და დევნა. ეს დევნა პრესიდან, დარბაზებიდან და მოედნებიდან მთელ ქვეყანაში გადავიდა. შეიარაღებულ ავაზაკთა ჯგუფები ჩასაფრდნენ გზებსა და გზაჯვარედინებზე. მარტო დუშეთისა და მცხეთის რეგიონში თვრამეტ ასეთ ჯგუფს ასახელებდნენ.

პრესა აივსო ერის, ეროვნების, ეროვნულ მოღვაწეთა ლანძღვა-გინებით.

რაღაც უნდა მომხდარიყო. საშინელი გუმანით დაიმუხტა ჰაერი, შიში და უბედურების მაუწყებელი წინათგრძნობა გაუჯდა დროს – ზავის დაცემის, წყალდიდობის, მეწყერთა რღვევის ლოდინი ჩადგა ბნელი ნისლივით. ნისლით დაიფარა მთავარი გზა.

და მოხდა ის, რასაც თითქოს არავინ ელოდა – ილია მოკლეს. ეს არ იყო ერთი დიდი ერისკაცის მკვლელობა – უპირველეს ყოვლისა ეს იყო მკვეთრი სიგნალი: ერმა დაკარგა ძალა და ფასი. მან ვერ დაიფარა თავისი დიდი შვილი. ერი სწუხდა და მრისხანებდა, მაგრამ მის რისხვას აღარ ჰქონდა ძალა და ფასი.

ბრბომ გაიმარჯვა. გაიმარჯვეს ბრბოს ბელადებმა... მერე რაც მოხდა, აღარ იყო გასაკვირველი...

იწვა ილია წიწამურის ველზე და გვაფრთხილებდა: – ფხიზლად იყავით, ასეთი რამ კიდევ მოხდება...



მწერალი

რეზო გეთიაშვილი:

„ყველაზე ხშირად გალაკტიონს ვუსმენდი“

რეზო გეთიაშვილს განსაკუთრებული წარდგენა არ სჭირდება. მის შემოქმედებას ქართველი მკითხველი კარგად იცნობს. პოეტი ახლა პროზასაც წერს და თუკი საჭიროდ მიიჩნევს, წიგნადაც გამოსცემს.

ლიტერატურულ პერიოდიკაში დროდადრო აქვეყნებდა ლექსებს, ამჟამად ხანმოკლე „არდადეგები მოიწყო“ და ხანდახან თარგმნის კიდეც.

რეზო გეთიაშვილი რამდენიმე პოეტური კრებულის ავტორია; „არტ ყვავილები 2007“, „არტ ყვავილები“ და „ბილიკი შენამდე“.

მუშაობს ეკოლოგიის საკითხებზე და ბევრს მოგზაურობს. მოგზაურობა, ბუნება და პოეზია ერთიან, მრავალფეროვან შთაბეჭდილებად ყალიბდება და მისი შემოქმდების საზრდოა.

ამჟამად, სამოქალაქო კოალიციასთან ერთად, ეკომიგრაციის პრობლემას აგვარებს. ფიქრობს, რომ გაუმართლა, რადგან საჭირო და სასიკეთო საქმეს აკეთებს. უყვარს თავისი მეორე პროფესია და განსაკუთრებული გულისხმიერებით ეკიდება.

— „არტ ყვავილების“ გამოცემიდან არც თუ ისე ცოტა დრო გავიდა. რას იტყვი, როგორ განვითარდა შენი შემოქმედება, რა სიახლეები და ცვლილებები შეინიშნება?

— სიახლე ისაა, რომ რამდენიმე ლექსი კიდევ დავწერე. რაც შეეხება ცვლილებებს, ალბათ, არც არაფერია. „არტ-ყვავილებს“ დიდხანს ვწერდი და მიუხედავად იმისა, რომ სულ რაღაცის შეცვლა მინდოდა, ბოლოს ყველაფერი ერთ მთლიანობაში მოექცა. შეიძლება, ამ მთლიანობიდან გასვლის შანსი არც მქონდეს. ცნობიერება ინფორმაციის კოლექტორია, პატარა ლაბორატორიით, სადაც ამ უზარმაზარ მასალას აანალიზებ, ხარშავ და პატარ-პატარა, „საავტორო“ ინფორმაციებს აბრუნებ. ხან მაღალ ტემპერატურაზე ხარშავ, ხან – დაბალზე, მაგრამ ძირეულად რომ შეცვალო, მთლიანად პროცესი უნდა შეცვალო. დიდი შანსია, რომ მანამდე ლაბორატორია საერთოდ გაჩერდეს.

— თუმცა, ინფორმაციის ერთი ნაწილი ლაბორატორიაშივე რჩება. გავლენა მრავალგვარი არსებობს, ჩამოთვლას არ დავიწყებ, რომელმა მწერლებმა მოახდინეს შენზე გავლენა?

— ყველამ ერთად. მგონი, იმ მწერლებმაც, რომლებიც არ მომეწონა. ეს ყველაფერი გემოვნებას გიყალიბებს და ენასაც გასწავლის. აი, ბავშვი, ვიდრე რამეს იტყვის, ძალიან ბევრი უნდა მოისმინოს... ყველაზე დიდხანს გალაკტიონს ვუსმენდი. მაგრამ ეს მხოლოდ ენაა და იმისთვის გჭირდება, რომ თქვა რამე. რაც შეეხება სათქმელს, ამაში მამაჩემის გავლენა უფრო მეტი მაქვს, ვიდრე ყველა მწერლის ერთად.

— ერთ-ერთ ინტერვიუში ამბობ: ყველაფერი ახალი ძველზეა დაფუძნებული და „ბოლოს აღმოჩნდება, რომ ისიც არსებობდა, რასაც ინოვაცია დაარქვი“. მწერლისთვის მთავარი ინდივიდუალიზმი და სტილია, მრავალჯერ ნათქვამის ახლებური დანახვა და აღმოჩენაა.

— ავტორი კონკრეტულ ენობრივ, კულტურულ და ინფორმაციულ სივრცეში არსებობს. რამე ახლის შესაქმნელად ამ სივრცეზე უარს ვერ იტყვი და ვერ გამოიკეტები. აქედან არც ერთი დიდი პოეტი არ გასულა. პირიქით, მათ უფრო მეტის ათვისება შეძლეს. ვაჟამ თავის შემოქმედებაში მთელი კულტურა დაიტია, ლოკალური ენობრივი ელემენტებისგან ახალი სალიტერატურო ენა შექმნა და ამ კულტურულ სივრცეში და ამ ენაზე სათქმელიც ძალიან ბევრი აღმოჩნდა. დაახლოებით იგივეს აკეთებდა გოდერძი ჩოხელი. ამ თვალსაზრისით, მწერალი შეიძლება ერთგვარი მედიატორიც იყოს საზოგადოებასა და იმ კულტურას შორის, რაც საზოგადოებაში ისედაც არსებობს, მაგრამ პირველადი სახით. გალაკტიონმა აღმოაჩინა, რომ პოეტური ენა ძალიან ღარიბი იყო და ქართულს გაცილებით დიდი პოტენციალი ჰქონდა. ან ეს უკვე ჩვენ აღმოვაჩინეთ გალაკტიონის დამსახურებით. თუმცა, თავისი შესაძლებლობები არც ენას ამოუწურია და აუთვისებელი კულტურულ-ინფორმაციული სივრცეებიც დარჩა.

ამას ემატება უცხო კულტურების გავლენაც, რაც ბოლო პერიოდში განსაკუთრებით აქტუალური გახდა. როცა კულტურების სინთეზი ყოფით დონეზეც აშკარაა, ლიტერატურაშიც აუცილებლად აისახება. ესეც დამატებითი შესაძლებლობების გახსნაა, თან არა მარტო სხვისი, არამედ საკუთარი თავის უკეთესად შეცნობის თვალსაზრისით. თუ მოვახერხებთ და საკუთარ თავს გარედან შევხედავთ, შეიძლება აღმოვაჩინოთ, რომ აუთვისებელი კულტურული სივრცეები დღეს საქართველოში უფრო მეტია, ვიდრე ევროპაში, სადაც ყველა რესურსი – ყველა სფეროში – მაქსიმალურადაა ათვისებული.

ამასთან ერთად არსებობს სივრცეების ჩაკეტვისა და ყველაფერზე უარის თქმის ტენდენციაც, რასაც თავისი მიმზიდველობა ყოველთვის ჰქონდა.

— დღევანდელ ავტორებზე რას იტყვი?

— ახალ პოეტურ ენას დღესაც ქმნიან და ახალ კულტურულ სივრცეებსაც ითვისებენ. აი, თეა თოფურია, რომლისთვისაც პოეტური ენა უმნიშვნელოა, მაგრამ საკმაოდ დიდი კულტურული ინფორმაციის მატარებელია. ასეთები უკვე ახალ თაობაშიც გამოჩდნენ. არიან ახალგაზრდები, რომლებიც არსებულ ენას ახლაღა ირგებენ და საკუთარ ინტერპრეტაციებსაც აკეთებენ. არიან გარკვეული პოეტური კონცეფციის მქონე ავტორები, რომლებიც ლიტერატურულ პროცესებზე თავის გავლენას ახდენენ. და რა თქმა უნდა, უფროსი თაობის ავტორები, რომლებმაც უკვე თავისი სკოლა შექმნეს, მაგრამ განვითარება დღემდე არ შეუწყვეტიათ. არსებობს პოეზიის მიმართ ერთგვარი „სულიერი“ სიახლოვე. ლექსებს ბევრი წერს, მაგრამ წერს იმას, რაც აქამდე ბევრჯერ დაწერილა და ისე, როგორც დაწერილა. ისინი პოეზიით გატაცებული ადამიანები არიან და გარკვეული დროის შემდეგ მათ ავტორებად აღარავინ აღიქვამს. იგივე მეოცე საუკუნეს დღევანდელი გადასახედიდან თუ შევაფასებთ, ავტორებს თითზე დავითვლით, დანარჩენების წიგნები კი მხოლოდ ახლობლებს და მათ შთამომავლებს დარჩებათ. თვითონ ავტორებისთვის, ალბათ, უკვე სულ ერთია და აღარც „პოეტური უკვდავებაა“ პრიორიტეტული. ეს მხოლოდ ლიტერატურული და კულტურული მემკვიდრეობაა, რომელიც საზოგადოებას ყველა დროში სჭირდება.

— მგონი, პოეტური ენაც უკვე ნაკლებად პრიორიტეტულია.

— ეს უფრო ლიტერატურული კრიტიკის პრობლემა მგონია. კრიტიკა მართლა ლაბორატორიული ანალიზი გახდა, კრიტიკოსი კი — ლაბორანტი. ასეთმა დამოკიდებულებამ მთელი ინგლისურენოვანი პოეზია ჩიხში შეიყვანა და ფორმობრივი ერთფეროვნებისკენ უბიძგა. ამის საპირისპიროდ, რუსული პოეზია ფორმების და ენობრივი შესაძლებლობების ნამდვილი ფოიერვერკია. ამას რუსული ენის განსაკუთრებულობით ხსნიან, თუმცა, შეიძლება პრობლემა პოეზიისა და კრიტიკის მიმართ დამოკიდებულებაშიც იყოს. პოეზიაში ყველთვის არის რაღაც ისეთი, რაც „ლაბორატორიულ ანალიზებში“ არ ჩანს.

ბუნებრივია, ფორმების სრული უარყოფის იდეასაც აქვს არსებობის უფლება, მაგრამ ყველა ფორმის უარყოფა მაინც ერთი ფორმის აღიარებაა, რომელიც უკვე ჩიხია და განვითარება აღარ გააჩნია.

— თუმცა, ვინც ფორმებს მიჰყვება, იმას ფორმალიზმში ადანაშაულებენ.

— რასაც ჩვენ ფორმებს ვარქმევთ, ეს მხოლოდ ენის თვისებაა. მაგალითად, ამბობენ, რომ სიტყვები რითმების გამოა. და რატომ არ უნდა იყოს? სიტყვას აქვს უნარი თავისი გაგრძელება თვითონვე იპოვოს და, რა თქმა უნდა, არა მარტო სინტაქსური. სიტყვას ბევრი თვისება აქვს და აქედან გამომდინარე, შეუძლია ბევრი გაგრძელება იპოვოს და თითოეულმა გაგრძელებამ — თავისი გაგრძელება. ლექსის წერის პროცესიც ესაა და სხვა სფეროებისგან განსხვავებით, როგორც წესი, ავტორს არც წინასწარი გეგმა აქვს და არც კონცეფცია. რითმა, რიტმი, მუსიკა, მეტაფორა, იდეა — ეს ყველაფერი ურთიერთმაპროვოცირებელი ფაქტორებია. ავიღოთ კლასიკოსების საუკეთესო ლექსები და ვარკვიოთ, საიდან გაჩნდა მათში ან სიტყვები, ან მეტაფორები, ან მთლიანად, სათქმელი. ლექსში სიტყვები სიტყვებს მოაქვს. ეს მთელი პროცესია, სადაც წინასწარ არაფერი არ იცი.

—მას შემდეგ, რაც შენი ლექსი „საკუთარი სიბერე“ წავიკითხე, სულ მინდოდა მეკითხა, როგორ „დაინახე“ „საკუთარი სიბერე“?

— ბევრნაირად – ფილოსოფიურადაც, ირონიულადაც, რომანტიკულადაც, ტრაგიკულადაც და ბოლოს, მგონი, რეალურადაც, საკუთარ თავშიც და სხვა ადამიანებშიც. სიბერის ფენომენი განსაკუთრებით აქტუალური სტუდენტობის წლებში იყო, როცა „ბებერი პოეტების ორდენი“ ჩამოვაყალიბეთ. ბუნებრივია, ეს იყო მეტაფორული სიბერე, მაგრამ ზოგჯერ სიტყვის არსს მეტაფორა უფრო ასახავს. მაგალითად, თუ შეხედავ კედელს და იტყვი „კედელი“, მაშინ ეს სიტყვა ერთ კონკრეტულ მნიშვნელობას არ გასცდება. მაგრამ თუ ამ სიტყვაზე, ვთქვათ, მეგობარს შეხედავ, მაშინ „კედელი“ ძალიან ბევრ მნიშვნელობას მიიღებს და თვითონ სიტყვა დაიწყებს რეალობის შექმნას.

მეორე მხრივ, დროც და სიბერეც, როგორც სხვა ყველაფერი, ფარდობითია. სიბერის შემოტევებიც 10-15 წლის წინ უფრო მქონდა. ესეც ბუნებრივია. ამ ასაკში ადამიანი ძალიან სწრაფად იზრდება და წარსულთან დისტანცირებასაც უფრო მძაფრად აღიქვამს. განწყობის თეორიაცაა – როგორ ვიყოთ და როგორები ვიყოთ — ამ არჩევანს ჩვენ თვითონ ვაკეთებთ. 86 წლის ბებია მყავს და ჩემს გარშემო ერთ-ერთი ყველაზე საღად მოაზროვნე ადამიანია. როცა ვუყურებ, ვიცი, რომ დრო ძალიან ბევრი მაქვს. ცხადია, ეს დროც გადის, მაგრამ რაც უფრო ცოტა რჩება, მით უფრო ძვირფასია. ცუდი ისაა, რომ ამ განწყობით ლექსის წერა აღარ გამომდის და მაშინ თუ დავწერ, როცა ცუდად ვარ. ამიტომ „საკუთარ სიბერეშიც“ და „მძიმეებშიც“ სიბერის ყველაზე მძიმე ინტერპრეტირებაა. ისღა მრჩება, ამ უარყოფითი ემოციებისთვის მკითხველს ბოდიში მოვუხადო

— ზაზა შათირიშვილი როგორც პოეტს, აღმატებულ კონტექსტში მოგიხსენიებს და მიიჩნევს, რომ „რეზო გეთიაშვილმა გაქვავებული ენობრივი შრეები აამოძრავა, ამოაბრუნა და სრულიად ახალი პოეტიკა მიიღო“. შათირიშვილის ამ სტატიას ლიტერატურული წრეების კულუარებში, დიდი მითქმა-მოთქმა მოჰყვა. ალბათ, შენამდეც მოაღწია კულისებში აგორებულმა ექომ...

— რა თქმა უნდა, თანაც ძალიან მძაფრად. მიუხედავად იმისა, რომ ტექსტი ერთი კონკრეტული წიგნის ბოლოთქმის ჩარჩოებს გასცდა, მისი შინაარსი ჩემი შესაფასებელი მაინც არ არის. ზოგადად კი, ეს თანამედროვე პოეზიისა და იმ მართლაც გრძელი პერიოდის შეფასების პირველი ცდა იყო, რამაც, გარკვეულწილად, დღევანდელი ლიტერატურული პროცესები განაპირობა. ამიტომ, ცხადია, ბევრს შეეხო, მათ შორის, ჩემს მეგობრებსაც. საპასუხო რეაქციაშიც მოულოდნელი არაფერი ყოფილა. პირიქით, ჩემთვის თვითონ წერილი უფრო მოულოდნელი იყო, ვიდრე გამოხმაურებები. მით უმეტეს, რომ წერილს წინ უძღვოდა ძალიან გრძელი ვაკუუმი ლიტერატურული პროცესების შეფასებაში, სადაც ყველაფერი თითქოს თავის ადგილზეა, სინამდვილეში კი, შეფასებები საერთოდ არ კეთდება. ალბათ, წერილში გაანალიზებული პერიოდი კიდევ ბევრნაირად განიხილება და ძალიანაც კარგი იქნება.

— მოახდინა თუ არა რაიმე მოვლენამ შენზე, როგორც მწერალზე დაუვიწყარი შთაბეჭდილება, რომელიც არასოდეს ნელდება და მუდმივად თავს გახსენებს?

— ასეთი შთაბეჭდილებების გავლენა პოეზიაში ძალიან ხშირია. თუმცა, ლექსები სწორედაც რომ ანელებს. ეს ცალკე პრობლემაა, როცა პოეზია მძიმე შთაბეჭდილებებიდან გათავისუფლების საშუალება ხდება.

— რომელია შენი საყვარელი მუსიკოსი? საერთოდ უსმენ მუსიკას მუშაობისას?

— არა. მუსიკას უფრო მანქანაში ვუსმენდი, ვიდრე მართვის მოწმობას ჩამომართმევდნენ. მქონდა სტინგის, ბარი უაითის და ჩემი დის მიერ არჩეული 200-მდე დისკი. ეს სიმღერები კომპიუტერშიც მაქვს და უფრო შუალედებში ვრთავ, როცა არ ვმუშაობ, არ ვკითხულობ, არ ვწერ და, ბუნებრივია, არც ფილმს ვუყურებ.

— როგორც შევიტყვე, პოეზიისგან დროებით „ისვენებ“ და პროზას წერ.

— ლექსებს ყოველთვის მოკლე-მოკლე ეტაპებად ვწერდი, როცა სხვა დანარჩენისგან პაუზას ვიღებდი. ლექსები მოულოდნელად და დაუგეგმავად კი იწერება, მაგრამ რამე რომ გამოვიდეს, პოეზიასთან ინტენსიური შეხება უნდა გქონდეს. იმ ალიაქოთში, სადაც დღეს ვცხოვრობთ, ალბათ, ძალიან ძნელია ამ ინტენსიურობისთვის საჭირო სიმყუდროვე და კომფორტი შეიქმნა. ზოგჯერ შეიძლება თავს უფლება მისცე და საქმიანობის, ადამიანებთან ურთიერთობების, პრობლემებისთვის წაყრუების ხარჯზე პატარა არდადეგები მოიწყო და შენი დრო, ენერგია და ემოციები ამ სივრცეში გადაიტანო. თანაც ეს თავისთავად უნდა მოხდეს. ჩემთვის ასეთი პაუზები, როგორც წესი, ერთი ან რამდენიმე თვე გრძელდებოდა. კარგა ხანია, პაუზა აღარ მქონია.

რაც შეეხება პროზას, საქმე კიდევ უფრო რთულადაა. აქამდე ჩემთვის ვექსპერიმენტობდი და იშვიათად თუ ვაქვეყნებდი რამეს. დღესაც იგივე გრძელდება. ეს ნაწერები წიგნად ჯერჯერობით ვერ შეიკრა. შეიძლება მომავალში ამაზეც ვიფიქრო.

— ჰიპერბოლურად შეიძლება ითქვას, რომ პანთეიზმიდან ეკოლოგიამდე არც თუ ისე შორი მანძილია. შენს საქმიანობაზე მინდა გკითხო.

— ეს ცოტა საშიში თეორიაა, მით უმეტეს, რომ სკეპტიკოსები ეკოლოგიას ახალ რელიგიად მიიჩნევენ. თუმცა, გარემო ჩვენგან დამოუკიდებლად არ არსებობს. ეს ისაა, რასაც ვსუნთქავთ, რითიც ვცოცხლობთ და სადაც გვინდა, რომ ჩვენს მერეც ისუნთქონ.

საქმიანობის მხრივ, ალბათ, გამიმართლა, რადგან მაქვს შეგრძნება, რომ რაღაც საჭირო და სასიკეთოს ვაკეთებ. ყოველ შემთხვევაში, ვცდილობ მაინც. ახლა სამოქალაქო კოალიციასთან ერთად ვმუშაობ ეკომიგრაციის პრობლემაზე. ეს არის 11 000-ზე მეტი ოჯახი, რომელიც სტიქიისგან დანგრეულ სახლებში ცხოვრობს და სისტემატურად სიცოცხლის რისკის ქვეშაა. დიდი იმედი გვაქვს, რომ ხელისუფლებასთან დიალოგი შედგება და სახელმწიფო ამ ადამიანების წინაშე პასუხისმგებლობას აიღებს. ასეთი წარმატება კი ნიშნავს, რომ მარტო ამისთვისაც ღირდა სიცოცხლე. იგივე შეგრძნება გაქვს, როცა თუნდაც მცირე წვლილი შეგაქვს ტყეების, მდინარეების, ცოცხალი სამყაროს და, რა თქმა უნდა, ადამიანების დაცვაში იმ საფრთხეებისგან, რაც, სამწუხაროდ, ძალიან ბევრია და სულ უფრო მატულობს. პრობლემებიც გაცილებით მეტია, ვიდრე მათი გადაჭრის შემთხვევები და თუნდაც შესაძლებლობები. ყველაზე დიდი პრობლემა მაინც ჩვენშია და თუ ეს მოგვარდა, ყველაფერს ეშველება.

— რამდენიმე ახალი ლექსი დავწერეო, თქვი. ახლა, ამჟამად, როგორ მიდის ეს პროცესი, ისევ წერ?

— ხანდახან. ხანდახან რაღაცებს ვთარგმნი. საკუთარ თავში ერთი მავნე ჩვევა აღმოვაჩინე, პოეზიის იქით რამე რომ დავწერო, ფორმალური მოტივაცია მაინც მჭირდება. პოეზიას, ბუნებრივია, სხვა წინაპირობები აქვს და გეგმები და პროგნოზები არ მუშაობს.

ესაუბრა ხათუნა ალხაზიშვილი

მკითხველი

გიგი თევზაძე:

„ქართული კლასიკიდან ვკითხულობდი იმას, რასაც სკოლაში არ გვასწავლიდნენ“

ამჯერად რუბრიკისთვის „მკითხველი“ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს, გიგი თევზაძეს ვესაუბრებით. მართლაც საინტერესოა ლიტერატურისადმი იმ ადამიანის დამოკიდებულება, რომელიც თვითონვეა რამდენიმე წიგნის ავტორი. სამუშაო კაბინეტი წიგნებითაა სავსე. ლიტერატურაზე ბევრს საუბრობს. როგორც მკითხველი, ავტორების მიმართ მომთხოვნია. წიგნიერ გარემოში გაიზარდა და ბავშვობიდანვე კითხვა მისი ყოველდღიურობის ნაწილად იქცა. ინტერვიუც მისი პირველი საკითხავი წიგნებით დავიწყეთ.

— გახსოვთ, ბავშვობაში რას კითხულობდით?

— მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა კავშირში ლიტერატურა ძალიან შეზღუდული იყო, მახსოვს, ბევრს ვკითხულობდი. ოჯახებს — ერთი დასახელების ავეჯისა თუ ჭურჭლეულის მსგავსად — ერთნაირი წიგნები ჰქონდათ. მათ ბიბლიოთეკებში დიკენსის, ბალზაკის, გამსახურდიას ტომები იდო. ბუნებრივია, განსხვავებული მეც არაფერი წამიკითხავს. ძალიან მიყვარდა ბალზაკი და, როგორც ყველა ბავშვს — დიუმა. ქართული ლიტერატურით კი გვიან დავინტერესდი.

— წიგნისმოყვარე ადამიანებისგან ხშირად მსმენია — ქართველ კლასიკოსებს, რომელთა შემოქმედებაც სკოლაში „გაიარე“, მოგვიანებით თუ არ მიუბრუნდი, ისინი შენი ავტორები არასოდეს გახდებიანო. სასკოლო პროგრამით რუსთაველის აღქმა მართლაც ძნელია.

— ძნელია იმიტომ, რომ არასოდეს გასწავლიან „ვეფხიტყაოსნის“ სიუჟეტს, არ გიყვებიან მას ზღაპრად, არ მოგითხრობენ მის პერსონაჟებზე. სკოლის ასაკში „ვეფხისტყაოსნის” მიმართ ნაკლები ინტერესი იმის ბრალიცაა, რომ ნაწარმოების სიუჟეტური გადმოცემებიდან არცერთი ვარგა. თუკი „ოდისეას“ შინაარსის კარგად გადმოცემაა შესაძლებელი (ზურაბ კიკნაძის მომზადებულ ნარატივს ვგულისხხმობ), „ვეფხისტყაოსანი“ რატომ ვერ უნდა მოყვე? არადა, ეს ძალიან მნიშვნელოვანია რადგან, როცა ბავშვი ნარატივს გაეცნობა, ის ორიგინალური ტექსტის წაკითხვასაც მოისურვებს, ლექსის ჟღერადობით დაინტერესდება. სიუჟეტური გადმოცემის გარეშე კი ლექსს ვერაფერს გაუგებს.

გარდა ამისა, ვფიქრობ, მოქმედებს ისიც, რომ „ვეფხისტყაოსანი“ საუკუნეების განმავლობაში ეკლესიის მიერ აკრძალული, ნახევრადლეგალური ნაწარმოები იყო, ამან გარკვეული გავლენა უთუოდ მოახდინა. არა მგონია, დღეს ეკლესია „ვეფხისტყაოსანს“ რამენაირად ეწინააღმდეგებოდეს, თუმცა ფაქტია, ნაწარმოების სწავლებაზე სერიოზულად არავინ ფიქრობს. მართალია, ერთეული მცდელობები იყო — მაგალითად, დათო ტურაშვილმა პოემის კითხვის ტრადიციის შემოღება სცადა — მაგრამ ამით არაფერი შეცვლილა. გამოდის, რომ „ვეფხისტყაოსანს“ — ნაწარმოებს, რომელიც რვა საუკუნის განმავლობაში ჩვენი იდენტობის ძალიან მკვეთრი განმსაზღვრელია — ბავშვებს არ ვასწავლით. მას ისე ვაწვდით, როგორც იდეოლოგიურ ნაწარმოებს, რომელიც ყველას მალევე ავიწყდება. როგორც გითხარით, „ვეფხისტყაოსანი“ გვიან წავიკითხე, მან ძალიან დიდი გავლენა მოახდინა ჩემზე.

ქართული კლასიკიდან ვკითხულობდი იმას, რასაც სკოლაში არ გვასწავლიდნენ, მაგალითად — კონსტანტინე გამსახურდიას არასაპროგრამო ნაწარმოებებს. მომწონდა ნიკო ლორთქიფანიძე. მისი „ბილიკებიდან ლიანდაგზე“ მე-20 საუკუნის საინტერესო რომანია. მახსოვს, დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ლევან გოთუას „გმირთა ვარამმა”. კარგად დაწერილი წიგნია, მსგავსი ტიპის ისტორიული რომანები ცოტა გვაქვს...

— უცხოელი ავტორებიდან თქვენი ფავორიტები ვინ იყვნენ და ვინ არიან?

— ამერიკელი პოლ ოსტერი და ინგლისელი პიტერ აკროიდი ჩემი ფავორიტი მწერლები იყვნენ და ახლაც, თუკი მათი ახალი წიგნი შემხვდება, ყოველთვის ვკითხულობ. აკროიდს პირველად, მგონი, ჟურნალიდან — „ინოსტრანნაია ლიტერატურა” — გავეცანი. იმავე პერიოდულ გამოცემაში რამდენიმე სხვა კარგ მწერალს შევხვდი — მაგალითად, ანტონია ბაიეტს. ერთხანს, საბჭოთა კავშირის არსებობის განმავლობაში და დაახლოებით 90-იანი წლების შუამდე, ყველა ერთსა და იმავე ავტორებს კითხულობდა. მკითხველის გემოვნებას ერთი ლიტერატურული ჟურნალი განსაზღვრავდა. თან, საბჭოური წესის თანახმად, იმას, რაც რუსულად თარგმნილი არ იყო, ქართულად ვერ გამოსცემდი. თუმცა გამონაკლისები არსებობდა. ამ მხრივ მდგომარეობა 90-იანების ბოლოს გამოსწორდა. მახსოვს ნიკო ყიასაშვილის თარგმანის — ჯოისის „ულისეს“ — პირველი ტომის გამოცემა. ჟანრული თვალსაზრისით ეს ძალიან მნიშვნელოვანი გამოცემა იყო, რადგან საბჭოთა კავშირის დროს, ბევრი ლიტერატურული სახეობა იკრძალებოდა. შემდეგ გამოჩნდა ისეთი ჟანრი, როგორიცაა ფენტეზი და ძალიან დამაინტერესა. ამ ჟანრს ევროპულ და ამერიკულ ლიტერატურაში დიდი ტრადიცია აქვს – სათავეს სარაინდო რომანებიდან იღებს და გოთიკური რომანებით გრძელდება. ფენტეზი, როგორც ზღაპარი, ტოტალიტარიზმისთვის მიუღებელი იყო, იდეოლოგებს გაურკვევლობებისა და ფანტაზიის ეშინდოდათ, ამიტომაც საბჭოთა ეპოქის მკითხველი ამ ჟანრს მოგვიანებით გაეცნო. იმ წლებში მაგიური ლიტერატურა ფრაგმენტულად ვრცელდებოდა. გამოსცეს — თუმცა ეს არ იყო ნაბოკოვისეული თარგმანი — ლუის კეროლის „ალისა სარკის მიღმა“ და „ალისა საოცრებათა ქვეყანაში“. ცხადია, გამოცემის წინასიტყვაობაში ალტერნატიულ რეალობაზე არაფერი იყო ნათქვამი. მახსოვს, ეწერა: ეს მისტერ დოჯსონის თამაშია იმდროინდელი მათემატიკური თეორიებითო.

— ერთხელ, ამ ლიტერატურულ ჟანრზე საუბრისას, გამომცემელმა გია ქარჩხაძემ „ვეფხისტყაოსანიც“ ფენტეზის მიაკუთვნა.

— მაქვს გიორგი შარაშიძის წიგნი „შესავალი ქართული ფეოდალიზმის კვლევაში“, რომელიც 80-იან წლებში საფრანგეთში დაიბეჭდა, ილიას უნივერსიტეტის გამოცემლობამ კი წელს ქართულად გამოსცა. ამ წიგნის იდეა არის ის, რომ გარკვეულ პერიოდამდე საზოგადოება საქართველოში ისევე ვითარდებოდა, როგორც იმდროინდელ ევროპაში. ვფიქრობ, ამ განვითარებაში ლიტერატურაც შეიძლება ვიგულისხმოთ. თუმცა სარაინდო რომანების ხაზი „ვეფხისტყაოსანზე“ შეჩერდა და XII საუკუნის შემდეგ აღარ განვითარებულა. ერთ-ერთ მიზეზად ნაწარმოების მიმართ ეკლესიის დამოკიდებულება შეიძლება დასახელდეს. უცხოური სარაინდო რომანებისგან განსხვავებით „ვეფხისტყაოსანში“ ჯადოსნური ელემენტები (ვთქვათ — ჯადოსნური თასები, შუბები, ხმლები, ციხე-სიმაგრეები, მარტორქები [unicorn] და ასე შემდეგ) თითქმის არ არის. შეიძლება, „ვეფხისტყაოსნის“ რაინდულ სამყაროს თანამედროვე მკითხველი ზღაპრად აღიქვამდეს, მაგრამ შუასაუკუნეებში მცხოვრები ადამიანისთვის ეს ჩვეულებრივი, ძალიან რეალისტური სამყარო იყო. ალბათ, ამაშიცაა „ვეფხისტყაოსანის“ განსაკუთრებულობა — დაწერო სარაინდო რომანი ისე, რომ ის მაქსიმალურად დაუახლოვო რეალობას.

— რადგან ქართული ლიტერატურის განვითარებაზე ვსაუბრობთ, აქვე დავინტერესდები თქვენი დამოკიდებულებით თანამედროვე ქართული მწერლობის მიმართ. მისი განვითარების ტენდენციებზე რას იტყვით?

— ქართულ ლიტერატურაზე გავლენა 90-იან წლებამდე შემოსულმა რუსულენოვანმა თარგმანებმა მოახდინა. არა ორიგინალურმა რუსულმა მწერლობამ, არამედ — თარგმანებმა. ქართული ლიტერატურა დღემდე საბჭოთადროინდელი „ინოსტრანნაია ლიტერატურას“ ანარეკლად რჩება. ჟანრული თვალსაზრისითაც ასეა. ახალი თითქმის არაფერი დაწერილა. ძალიან ცოტამ მიმართა ექსპერიმენტს და სცადა ემუშავა ისეთ ჟანრებში, საბჭოთა ეპოქისთვის რომ მიუღებელი იყო. მხოლოდ ორი ავტორი მახსენდება, რომელიც ცდილობდა, მაგიური რეალიზმის ჟანრში ემუშავა – გურამ დოჩანაშვილი და ოთარ ჭილაძე. სხვა საბჭოთა კავშირის დროინდელ მწერლებს შორის ისინი ამიტომაც არიან გამორჩეულები.

— საბჭოური „ინოსტრანკის“ გავლენა ახალგაზრდა ავტორებზეც ვრცელდება?

— ახლახან 2010 წლის „თხუთმეტ საუკეთესო მოთხრობას“ გავეცანი. ვფიქრობ, რაღაც სიახლეები შეიმჩნევა. ახალგაზრდა მწერლები რუსულენოვანი თარგმანების გავლენიდან გამოსვლას ცდილობენ, თუმცა ამას ძალიან უშლის ხელს უცხო ენების არცოდნა. დასავლურ ლიტერატურას ისინი მხოლოდ რუსულ ენაზე ეცნობიან და გამოდის, რომ კითხულობენ არა, ვთქვათ — აკროიდს, ოსტერს, არამედ რუსულ „აკროიდს“, რუსულ „ოსტერს“. რუსული თარგმანები, გარდა იმისა, რომ თარგმანია, და არა ორიგინალი, ყოველთვის არ არის კარგი. ის გავლენა, რაზეც უკვე ვისაუბრეთ, მეცნიერებასა თუ პოლიტიკაში უკვე დაძლეულია, ლიტერატურა კი მისგან ვერ გათავისუფლდა. ამიტომაც არის, რომ ყველა ერთნაირად წერს. ლიტერატურული გემოვნებაც კი ერთნაირია. მართალია, უცხოური ლიტერატურა ქართულ ენაზე უკვე ინტენსიურად გამოიცემა, მათ შორის ბევრი კარგი თარგმანია, მაგრამ უმეტესად ეს კლასიკოსი ავტორების წიგნებია. ახალი ტექსტების თარგმნაში ისევ რუსები გვისწრებენ.

კიდევ ერთი ტოტალური ტენდენცია, რაც თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში გამოიკვეთა, საკუთარ თავზე წერაა. მხატვრული ბიოგრაფიების წერა ჟანრია ევროპულ და ამერიკულ ლიტერატურაშიც, მაგრამ ის არ არის ისეთი ტოტალური და ლამის ყოვლისმომცველი, როგორც ჩვენთან. ვფიქრობ, ზაზა ბურჭულაძის ბოლო რომანი „გასაბერი ანგელოზი“ ის იშვიათი ქართული ტექსტია, სადაც ავტორი პირდაპირ საკუთარ ბიოგრაფიას არ გვთავაზობს. რა თქმა უნდა, მწერლების ერთადერთი გზა თავის შინაგან თუ ცხოვრებისეულ გამოცდილებაზე დაყრდნობაა, მაგრამ ფანტაზიის და წარმოსახვის ძალა იმისათვის არსებობს, რომ საკუთარი რეალობა შეცვალონ და საკუთარი თავი ლიტერატურულ მოგზაურობაში „გაუშვან“, ხოლო შემდეგ ეს მოგზაურობა მკითხველს შესთავაზონ. ბევრ ქართველ ავტორს კი, ალბათ, ავტობიოგრაფია იმდენად საინტერესო ჰგონია, რომ ფიქრობს, საკუთარი თავის სტენოგრაფირება საკმარისია მკითხველის მისაზიდად. რამდენიმე ხნის წინ ერთ სასაცილო ფაქტს წავაწყდი: ორი სხვადასხვა მწერლის დაწერილი რომანები გამოქვეყნდა, ორივეს არა მარტო ფაბულა, სიუჟეტიც ერთი და იგივე აქვს. იმიტომ კი არა, რომ ერთმა მწერალმა მეორეს მოჰპარა, უბრალოდ, ჩვენს გლობალიზებად და უნიფიცირებულ სამყაროში გაშლილი მათი ბიოგრაფიები ძალიან ჰგავს ერთმანეთს.

სამწუხაროა ისიც, რომ ქართულ ლიტერატურაში ინტერტექსტუალობა ნულს უტოლდება — ტექსტის მიღმა არაფერი იგულისხმება, არაფერს ხედავ, ის არაფერს გახსენებს. საინტერესო მაგალითს გეტყვით: ახლახან პოლ ოსტერის ბოლო რომანი წავიკითხე. იქ ერთი ადგილია, სადაც სხვადასხვა სოციალური წრის წარმომადგენელი ორი პერსონაჟი ერთმანეთს ესაუბრება. ბეისბოლზე ლაპარაკობენ – არაფერი განსაკუთრებული. კითხვისას მოულოდნელად აღმოაჩენ, რომ მათი დიალოგი „ათას ერთი ღამის“ სტრუქტურაზეა აგებული. სასიამოვნო განცდა გეუფლება, როცა ხვდები, რომ პერსონაჟები შუაგულ კალიფორნიაში ერთმანეთს შუა საუკუნეების არაბული დიალოგის ფორმით ელაპარაკებიან და შაჰრიარისა და შეჰერაზადას საუბრებს გახსენებენ. ამავე დროს ავტორთან ემოციური კავშირიც იბმის — ფიქრობ, რომ მასაც ის წაუკითხავს, რაც — შენ. ჯოისიც „სავსეა“ ინტერტექსუალობით. ქართულ ლიტერატურაში მსგავსს თითქმის ვერაფერს ნახავთ. ამ შემთხვევაშიც გამონაკლისი ზაზა ბურჭულაძის „გასაბერი ანგელოზია“. მართალია, ეს რომანი საქართველოში დაწერილ რომანებს შორის საუკეთესო არ არის, მაგრამ მხატვრული თვალსაზრისით ის ძალიან ახალია.

— ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი ბრძანდებით და სტუდენტებთან ურთიერთობა გიწევთ. როგორი მკითხველები არიან ისინი?

— ჩვენს უნივერსიტეტში არსებობს წიგნის მოყვარულთა და პოეზიის მოყვარულთა კლუბები, სადაც სტუდენტები ხშირად იკრიბებიან, კითხულობენ, შემდეგ დისკუსიებს მართავენ. ვერ ვიტყვი, რომ სტუდენტები წიგნს არ კითხულობენ. პრობლემა უფრო ისაა, რომ ახალგაზრდები არ წერენ. ეს, ერთი მხრივ, ალბათ იმის ბრალიც არის, რომ სულ რამდენიმე ლიტერატურული პრემია არსებობს და მოტივაცია ნაკლებია. ცოტა ხნის წინ ჩვენმა უნივერსიტეტმა დააწესა პრემია „წლის საუკეთესო რომანი“, რომლის საპრიზო ფონდი 10 ათასი ლარია. სხვა პრემიებისგან განსხვავებით, „წლის საუკეთესო რომანისთვის“ ავტორს მხოლოდ ერთხელ ვაჯილდოვებთ, პრემია ერთსა და იმავე ადამიანზე ორჯერ არ გაიცემა. ვფიქრობ, ლიტერატურის განვითარებისთვის ეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობაა. შარშან საუკეთესო რომანად აკა მორჩილაძის „მამლუქი“ დასახელდა, ის ჩვენი პრემიის პირველი ლაურეატია.

გარდა ამისა, ილიას უნივერსიტეტი, როგორც ვიცი, ერთადერთია საქართველოში, სადაც შემოქმედებითი წერა ისწავლება. საგნის პედაგოგი ანა კორძაია-სამადაშვილია.

— თქვენ თვითონ რამდენიმე წიგნის ავტორი ხართ. რას და რაზე წერთ?

— ბევრ რამეზე ვწერ. შვიდი-რვა წიგნი მაქვს გამოცემული, ძირითადად — სოციალური მეცნიერებების პერსპექტივიდან. თუმცა ის, რაც ბოლო დროს დავწერე — დიალოგების კრებული „აქ და ყველგან“ და „უცნობი წიგნები“ — მხატვრული ლიტერატურაა. ეს ჩემი ექსპერიმენტებია როგორც საკუთარი წერის უნარის, ასევე, ქართული ლიტერატურის მიმართ. თუ რაიმე გამოვა, ხომ კარგია, თუ — არა, არც ეგ არის პრობლემა, მე ხომ მწერლობით არ ვცხოვრობ?! „აქ და ყველგან“ პოსტმოდერნული ტექსტია. ჩვენთან ამ სახის წიგნები ძალიან იშვიათია. ამიტომაც ავირჩიე ეს სტილი. ვინც პოსტმოდერნიზმის ლიტერატურული თეორია იცის, წიგნის შესახებ თქვა, კარგიაო. „უცნობი წიგნები“ კი ორ კრებულად გამოიცა — „უცნობი წიგნები წიგნები ქართველებისთვის“ და „უცნობი წიგნები საქართველოდან“. ორივე კრებულის შინაარსი იმდენად განსხვავდება ერთმანეთისგან, რამდენადაც ქართველი და, მაგალითად, ფრანგი ან ამერიკელი მკითხველი. „უცნობი წიგნები“ არის რეცენზიები არარსებულ ტექსტებზე. ვფიქრობ, ჟანრობრივად „უცნობი წიგნები“ ინტელექტუალური პროზაა, რაც ასევე უცხოა ქართული ლიტერატურისთვის. მკითხველების არ ვიცი, მე კი ამ წიგნების წერის პროცესში დიდი სიამოვნება მივიღე.

ესაუბრა თამარ ჟურული

„ექსპო ჯორჯიას“ პავილიონი ოთხი დღით წიგნისა და მკითხველის ქალაქად იქცა

26-29 მაისს თბილისის წიგნის XIII საერთაშორისო ფესტივალი უკვე მეცამეტედ ჩატარდა. ფესტივალს დიდუბის საგამოფენო ცენტრმა „ექსპო ჯორჯიამ” უმასპინძლა.

საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაცია ფესტივალის უცვლელი ორგანიზატორია. მხარდამჭერები არიან საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო და ქალაქ თბილისის მერია. ფესტივალს მედიაპარტნიორობას უწევს „მედია მენეჯმენტ სერვისი” და „რადიოქალაქი”. მას სამოცდაათამდე მონაწილე ჰყავს, ესენია საგამომცემლო სახლები, წიგნის მაღაზიათა ქსელები, უმაღლესი სასწავლებლები, საერთაშორისო ორგანიზაციები და ინსტიტუტები, საელჩოები, მუზეუმები, ასევე რამდენიმე ბანკი და პერიოდული გამოცემაც კი.

წიგნის ფესტივალის დაწყებას წიგნისმოყვარული საზოგადოება მთელი წლის განმავლობაში ელის. მკითხველს მოსწონს, როცა წიგნებით გადავსებულ სივრცეში ხვდება. ფესტივალზე მისული ადამიანები ლამის მთელ დღეს დახლებზე გამოფენილი გამოცემებისა და საგამომცემლო სტენდების თვალიერებაში ატარებენ. არჩევენ მათთვის სასურველ წიგნებს, ესაუბრებიან გამომცემლებსა და საყვარელ ავტორებს, ესწრებიან პრეზენტაციებს, ესალმებიან ნაცობ-მეგობრებს, უზიარებენ შთაბეჭდილებებს. მათ წინაშე ლიტერატურის უზარმაზარი არჩევანია. ირგვლივ წიგნის ნამდვილი ზეიმია. მიუხედავად იმისა, რომ საგამოფენო სივრცე დიდია, ხალხი ერთმანეთში ირევა, დახლებთან ახლოს მისვლა ჭირს და ხმაური ყურთასმენას ახშობს, მაინც საოცარი სიმყუდროვე იგრძნობა. უცნაურია, მაგრამ იქაური ქაოსი ადამიანებს თითქოს არ ღლის. პირიქით, პავალიონის დატოვება ეძნელებათ კიდეც და „წრეზე“ ხელმეორედ მიდიან.

წლევანდელი ფესტივალი ხალხმრავლობითა და გამომცემლობების მიერ მყიდველისთვის შეთავაზებული დიდი ფასდაკლებებით იყო გამორჩეული. თითოეულ გამომცემელს ინდივიდუალური საგამოფენო სივრცე შთამბეჭდავად ჰქონდა წარმოდგენილი, საფესტივალო პროგრამებიც ახალ-ახალი სარეკლამო თუ პიარის ელემენტებით გაემდიდრებინა.

„ბაკურ სულაკაურის გამომცემლობას“

გამორჩეული ადგილი ეკავა პავილიონში. წიგნის თაროები იმგვარად იყო განლაგებული, რომ მაღაზიის ინტერიერს მოგაგონებდათ. „მაღაზიის“ უკან კი, იმპროვიზირებულ სცენაზე, ყოველ ნახევარ საათში ერთხელ სხვადასხვა ავტორთან შეხვედრა-საუბრები ან პრეზენტაციები იმართებოდა. ამგვარი დიალოგების მოდერატორები ხშირად მწერლები იყვნენ, ისინი თავიანთი კოლეგების ნაწარმოებებს წარადგენდნენ. წარდგენა რადიოფიცირებული იყო და ვისაც ხალხმრავლობის გამო „სცენასთან“ მიახლოვება და ავტორთა დანახვა არ შეეძლო, მათ მოსმენას მაინც ახერხებდნენ.

შთამბეჭდავად გამოიყურებოდა სივრცე, რომელიც **„ქარჩხაძის გამომცემლობას“** ეკავა. წიგნები თეთრ კედელზე ნახატებივით იყო გამოფენილი, მკრთალი შუქით განათებულ კედელს ერთგვარი ზღაპრული ელფერი დაჰკრავდა და წიგნის სამყაროში სამოგზაუროდ იწვევდა გამვლელს. იქვე, საყვარელი ლიტერატურული პერსონაჟების კოსტიუმებში გამოწყობილი პატარები, წიგნებით ხელში სამახსოვრო ფოტოებს იღებდნენ. სახალისო პროექტი „იპოვე შენი თავი“ ამით არ მთავრდებოდა. ფოტოაპარატის ჩაჩხაკუნების შემდეგ საკუთარი ფოტოსურათის მოძიებას ბავშვები ინტერნეტ სივრცეში იწყებდნენ. „ქარჩხაძის გამომცემლობამ“ მნიშვნელოვანი სიახლე შესთავაზა საზოგადოებას: ჰონკონგში დაბეჭდილი ხუთასგვერდიანი წიგნი „ქართული ნაქარგობა“ ფესტივალის გახსნის დღეს „ჩამოვიდა“ საქართველოში. გამოცემის მომზადებას წელიწადნახევარი დასჭირდა. პროექტზე „ქარჩხაძის გამომცემლობამ“ და საქართველოს ეროვნულმა მუზეუმმა ერთობლივად იმუშავა.

გამომცემლობა „დიოგენე“ მაღალი პოლიგრაფიული გამოცემებითა და მსოფლიოს საუკეთესო ნაწარმოებთა სიუხვით იზიდავდა სტუმარს. დახლებზე გამოტანილ თარგმნილ ლიტერატურაში დიდი არჩევანის მიუხედავად, დამთვალიერებელთა განსაკუთრებულ ინტერესს უმბერტო ეკოს „ვარდის სახელი“ იწვევდა. საინტერესო და ერთგვარად სიმბოლური იყო „დიოგენეს“ მიერ საფესტივალოდ მომზადებული „ლიტერატურული ხე“ — ტექსტებით დაფარულს ფერად-ფერადი ნაყოფი მოესხა.

მრავალფეროვან არჩევანსა და მრავალ სიახლეს სთავაზობდა მკითხველს გამომცემლობა „ინტელექტი“. მის საგამოფენო სივრცეში ნობელიანტი მწერლების, ქართველი პოეტების, პროზაიკოსებისა და უცხოენოვანი ავტორების მთელი გალერეა იყო წარმოდგენილი. „ინტელექტის“ გვერდით გამომცემლობა „არტანუჯს“ გამოეფინა თავისი წიგნები. ერთმანეთს ენაცვლებოდა გამომცემლობების — „პეგასის“, „სიესტას“, „ლოგოს პრესის“, „ბაკმის“, „ნეკერის“, „საუნჯეს“, „დილასა“ და სხვათა დახლები. დამთვალიერებელს ორიენტირებაში ეხმარებოდა გამოსაჩენ სიმაღლეზე, მკვეთრი ასოებით დაწერილი სახელწოდებები: „საქართველოს მაცნე“, „სანტა ესპერანსა“, „ბიბლუსი“, „ლიგამუსი“, „ბუქსთორი“, „პროსპეროს წიგნები“, „შემეცნება“, „მერიდიანი“, „აგორა“, „კენტავრი“, „საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია“, „ინგლისური წიგნი საქართველოში“, „თსუ გამომცემლობა“, „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა“, „ევროპის კავშირის წარმომადგენლობა საქართველოში“, „გ. ლეონიძის სახ. ლიტერატურის მუზეუმი“ „ხელოვნების სასახლე“, „ქართული ბიოგრაფიული ცენტრი“, „ირანის ისლამური სახელმწიფოს საელჩო. კულტურის განყოფილება“ და კიდევ მრავალი სხვა. დამთვალიერებელთა ნაკადს გამომცემლებიც ხშირად უერთდებოდნენ. ისინი „მეზობლების“ დახლებთან დგებოდნენ და მათთვის საინტერესო წიგნებს არჩევდნენ, ყურადღებით ფურცლავდნენ, ყიდულობდნენ. „ექსპო ჯორჯიას“ პავილიონი ოთხი დღით წიგნისა და მკითხველის ქალაქად იქცა.

წიგნის ფესტივალის არაერთმა მონაწილემ თუ სტუმარმა „წიგნის ზეიმის“ მიმართ დამოკიდებულება ასე გამოხატა:

კახმეგ კუდავა, გამომცემლობა „ინტელექტი“: „ფესტივალში მონაწილე ყველა გამომცემელი ცდილობს, მთელი წლის ნამუშევარი საუკეთესოდ წარმოაჩინოს. ჩვენს მკითხველს ახალ გამოცემებს ვთავაზობთ. მათ შორისაა ოცი წიგნი, რომელიც მაღაზიებში ჯერ არ შეგვიტანია. ამ გამოცემებიდან ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია „სანობელო ლექციების“ ოთხტომეული. მასში სრულადაა წარმოდგენილი 1901-2010 წლებში დაჯილდოვებული ნობელიანტი ავტორების ლექციები. სერიაში „ნობელის პრემიის ლაურეატები“ ახალი ავტორებიც გვყავს. მაგალითად 2001 წლის ლაურეატი — ვიდიადჰარ ნაიპოლი, რომლის „ნახევარი სიცოცხლე“ (თამარ კოტრიკაძის არაჩვეულებრივი თარგმანით) საქართველოში პირველად გამოიცა. დავბეჭდეთ ასევე შარშანდელი გამარჯვებულის ბერტა მიულერის შემოქმედება. საინტერესო სერია გახლავთ ასევე, „ჩანაწერები“. ჯერჯერობით რამდენიმე ტომი გამოვიდა, მკითხველს ვთავაზობთ ოთარ ჭილაძის, ვახტანგ ჯავახაძის, ტარიელ ჭანტურიას, ლევან ბრეგაძისა და სხვათა ნააზრევს, ჩანაწერებს. გრძელდება სერია „ასი ლექსი“. ასე რომ, ბევრს ვმუშაობთ. ჩვენი ნაშრომის შესაფასება კი ფესტივალის სტუმრებისთვის მიგვინდია. ქართველ მკითხველს „ინტელექტი“ სპეციალურ ფასდაკლებას სთავაზობს.“

ქეთევან კიღურაძე, გამომცემლობა „სიესტა“: „ძალიან ბევრი ახალი თარგმანი გვაქვს. ფესტივალისთვის საგანგებოდ გადავბეჭდეთ რამდენიმე ის წიგნიც, რომელზეც წლის განმავლობაში განსაკუთრებული მოთხოვნა იყო. ესენია მარკესისა და ჰესეს რომანები, უნამუნოს ესეები, ასევე ზურაბ ქარუმიძის „ჯაზი“. თუმცა, გვინდა ჩვენი გამომცემლობის სახე წლევანდელ ფესტივალზე ერლომ ახვლედიანის რომანი იყოს. „კოღო ქალაქში“ ოცი წელი იწერებოდა, ჩვენ ის ცოტა ხნის წინ გამოვეცით.

წიგნებს საკმაო რაოდენობით ვყიდით. მკითხველთან ურთიერთობის თვალსაზრისით ეს ძალიან მნიშვნელოვანი ღონისძიებაა. წიგნის მაღაზიების ვერცერთი გამყიდველი ისე ვერ წარადგენს ჩვენს მიერ გამოცემულ ავტორებს, როგორც ამას ჩვენ ვაკეთებთ ფესტივალზე. ზუსტად ვიცით, თუ როგორაა ესა თუ ის წიგნი გამოცემული, ვის მიერაა რედაქტირებული, რა მხატვრული ღირებულებისაა და ასე შემდეგ. წიგნის გაცნობის საშუალება მყიდველს აქ უფრო აქვს, ვიდრე მაღაზიაში. ასეთი უშუალო კონტაქტები ჩვენთვისაც სასარგებლოა, რადგან ვიგებთ, თუ რა სურთ წიგნისმოყვარულებს, რა მოთხოვნები აქვთ, რა სიახლეებს ელიან ჩვენგან. ასე რომ, ფესტივალი ძალიან ცოცხალი ლიტერატურული პროცესია.

გაყიდვებს რაც შეეხება, მომხმარებელს ფასდაკლებას ვთავაზობთ. წიგნი იაფი პროდუქტი არ არის, ის ერთგვარი ფუფუნების საგანია და მათთვის, ვისაც ლიტერატურა უყვარს, ამგვარი ფასდაკლება, ვფიქრობ, ძალზე მნიშვნელოვანი შეღავათია“.

ლაშა ბერაია, „ლოგოს პრესი“: „ახლახან გამოვეცით ფენტეზის ჟანრის ნაწარმოები „ნისლებში და ნისლებს მიღმა“, რომლის პრეზენტაციაც ფესტივალის

დღეებშია დაგეგმილი. წიგნის ავტორია ნატალი დავითაშვილი. მისი თხრობა ქართულ მითოლოგიურ წარმოდგენებს ეფუძნება. ავტორს სურდა საკუთარი შვილებისთვის ძალდაუტანებლად გაეცნო მითების სამყარო (მოგეხსენებათ, ენციკლოპედიებში ინფორმაცია მშრალად და უინტერესოდაა მოწოდებული).

ფესტივალის პირველივე დღეს ამგვარი ხალხმრავლობა, მართალი გითხრათ, ჩემთვის მოულოდნელიცაა. დამთვალიერებელთა რაოდენობა იმაზე მეტყველებს, რომ მკითხველს ფესტივალის მოლოდინი, ინტერესი ჰქონდა. გარდა ამისა, ვხედავთ, რომ ერთგვარი ტრადიციაც დამკვიდრდა — ავტორებიცა და გამომცემლებიც თავის პროდუქციას ფასდაკლებით სთავაზობენ მყიდველს. ყოველწლიურად სულ უფრო საინტერესო ხდება ფესტივალი. მხოლოდ გაყიდვებს კი არ ვგულისხმობ, მოვლენების მრავალფეროვნება მაქვს მხედველობაში. გამომცემლები ემზადებიან ამ დღეებისთვის, აწყობენ პრეზენტაციებს, მართავენ ლიტერატურულ საუბრებს, დისკუსიებს, ავტორები კი საჯაროდ კითხულობენ ფრაგმენტებს საკუთარი ნაწარმოებებიდან. ამგვარი ფორმები ევროპის წიგნის ფესტივალებსა და ბაზრობებზე უკვე აპრობირებულია და თანდათან ჩვენთანაც მკვიდრდება. დასავლეთისკენ ძალიან სწრაფად მივიწევთ. ჩემი და, ვფიქრობ, ქვეყნის მოსახლეობის უმეტესობის სურვილიც ესაა“.

რუსუდან მოსიძე, გამომცემლობა „ბაკმი“: „წიგნის ფესტივალის დღეები დიდი სიხარულის მომტანია გამომცემლებისთვის. ჩვენ ხომ მთელი წელი საგულდაგულოდ ვემზადებით ამ დღეებისთვის. „ბაკმი“ არაერთი სიახლით წარსდგა მკითხველის წინაშე. ახლახან გამოვეცით „სიმბოლოთა ილუსტრირებული ენციკლოპედიის“ პირველი ტომი. დაიბეჭდა ასევე ლევან სანიკიძის „უქარქაშო ხმლები“, რომელიც სხვა ძველი გამოცემებისგან საკმაოდ განსხვავებულია. წიგნში ნახავთ ფერად ჩანართებს — ერთგვარ ვიზუალურ ასახვას იმ პერიოდისა, რომლის შესახებაც ავტორი მოგვითხრობს.

ერთი სასიამოვნო სიახლეც გვაქვს — რამდენიმე დღის წინ ბონდო მაცაბერიძის წიგნისთვის „ზღაპარი ბექნა ბიჭზე“ საქართველოს საპატრიარქოსგან ჯილდო მივიღეთ. წიგნი საუკეთესო ზღაპრების კრებულად დასახელდა. მასში განთავსებული ილუსტრაციები კი საუკეთესო დასურათებად მიიჩნიეს.

ძალიან მიხარია ფესტივალზე ამდენ სტუმარს რომ ვხედავ. მართალი გითხრათ ასეთ ხალხმრავლობას არც ველოდი“.

ბესო ხვედელიძე, მწერალი: „ძალიან მომწონს „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის“ მიერ შემოთავაზებული საპრეზენტაციო ფორმა — წიგნებს მოდერატორები ავტორებთან ერთად წარადგენენ. პროგრამის ერთ-ერთი მონაწილე მეც ვარ, მზია შარაშიძე — „დიჯეი ლუკა“ წარმადგენს და ჩემს ბოლო რომანზე ვისაუბრებთ. ამგვარი საუბრები ნაწარმოების მიმართ მკითხველის ინტერესს აღვივებს. ეს კარგი გზაა იმისთვის, რომ წიგნი მკითხველამდე მივიდეს.

დათო ტურაშვილი, მწერალი: „ჩემთვის და, ალბათ უამრავი ადამიანისთვის, წელიწადის სამას სამოცდახუთ დღეს შორის ყველაზე მნიშვნელოვანი სწორედ ეს ოთხი დღეა. მიხარია, რომ ეს დღეები არსებობს და ვწუხვარ, რომ მალე მთავრდება. ესპანეთში სხვაგვარად არის: იქ ერთ ფესტივალს მეორე მოსდევს და წიგნის ზეიმი მთელი წლის განმავლობაში გრძელდება. „წიგნის დღეებიც“ აქვთ. „დღეებს“ „ღამეები“ მოსდევს. გათენებამდე მადრიდის ქუჩებში დადიხარ და იქაურობა სავსეა წიგნებით. ასეთ გამოფენებს ყოველთვის ძალიან ბევრი ხალხი ესწრება. საერთოდაც, კარგი ქვეყანა ის არის, სადაც წიგნი უყვართ“.

გივი ალხაზიშვილი, მწერალი: „ცამეტი წელიწადია წიგნის ფესტივალებს ვესწრები. ადრე მონაწილეობას როგორც გამომცემელი ვიღებდი. ამიტომ ჩემთვის ცნობილია რა აინტერესებს, რა მოთხოვნები აქვს მკითხველს.

ბევრი რამ უკეთესობისკენაა შეცვლილი, პირველ რიგში, ეს ცვლილება წიგნების გამოცემის ხარისხზე აისახება. გარდა ამისა, ლიტერატურა, რომელიც ადრე საბჭოთა ცენზურის მიერ იყო აკრძალული და რომელსაც მალულად ვკითხულობდით, დღეს ხელმისაწვდომია. ახლა რაც მაწუხებს, ცუდი თარგმანებია. თუმცა მათ გვერდით მაღალ დონეზე შესრულებულ თარგმანებსაც ვხვდებით. სამწუხაროა ასევე, რომ რედაქტორის ინსტიტუტი მოიშალა და საავტორო, ორიგინალურ ტექსტებს ეს ძალზე დაეტყო.

წლევანდელ ფესტივალზე გამომცემლობებმა „ინტელექტმა“ და „სიესტამ“ ჩემი რამდენიმე წიგნი წარმოადგინა. თავადაც რამდენიმე საინტერესო წიგნი შევიძინე“.

გიორგი კალანდია, თეატრის, კინოს, მუსიკისა და ქორეოგრაფიის მუზეუმი: „ჩვენი მუზეუმი წიგნის ფესტივალში წელს პირველად მონაწილეობს. დამთვალიერებელს ხუთი-ექვსი მნიშვნელოვანი გამოცემა შევთავაზეთ. თითოეულ გამოცემებში სხვადასხვა სამუზეუმო თემატიკა აისახა. მაგალითად, დაცული ექსპონატების კატალოგი, „ქართული ქორეოგრაფია“ „სიყვარული ქართულ კინოში“ და ასე შემდეგ. ვფიქრობთ, მომავალ წელსაც წიგნისმოყვარულთა წინაშე საინტერესო სიახლეებით წარვდგებით. ფესტივალი სტიმულია, რომ მუზეუმმა საგამომცემლო საქმე სულ უფრო განავითაროს. მოგეხსენებათ, მსოფლიოში ცნობილი ამგვარი ინსტიტუციები ძალზე მდიდარ, მრავალფეროვან წიგნებსა და კატალოგებს გამოსცემენ. გვინდა მათ გზას გავყვეთ, მათი გამოცდილება გავიზიაროთ.

ვფიქრობ, ფესტივალზე ასეთი ხალხმრავლობა ცხადყოფს, რომ ადამიანებს წიგნი უყვართ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ საქართველოში ძალიან ბევრი წიგნიერი ადამიანია“.

დავით პაიჭაძე, ჟურნალისტი: „ვერ ვიტყვი, ფესტივალის მასშტაბი გაზრდილიამეთქი, ღონისძიება ყოველწლიურად ერთსა და იმავე სივრცეში იმართება (შარშანდელ ფესტივალს თუ არ ჩავთვლით). თუმცა მასშტაბი მხოლოდ იმ ტერიტორიით არ იზომება, რომელსაც ფესტივალი იკავებს. დღეს, სივრცე გაცილებით ეკონომიურადაა გამოყენებული, ახალი სუბიექტები გამოჩნდნენ.

სამწუხარო ის არის, რომ ეს მხოლოდ ფესტივალია და არა — უცხოეთის წიგნის ბაზრობების მსგავსად — ბიზნეს-გარიგებებისა და საგამომცემლო საქმისთვის ბიძგისმომცემი ადგილი. აქ ზეიმია. ფესტივალზე მოსვლა სიხარულს მანიჭებს. ალბათ, გამომცემლებსაც უხარიათ, რადგან წიგნები კარგად ეყიდებათ. თუმცა, ნებისმიერი

მათგანი დაგიდასტურებთ, რომ საგამომცემლო ბიზნესის განვითარებისა და გაზრდილი ვაჭრობის მიუხედავად, მყიდველი მაინც ცოტაა. ჯერჯერობით, გამომცემლობები ახერხებენ, თავისუფალი კონკურენციის პირობებში სასკოლო სახელმძღვანელოები ბეჭდონ და მოგებული თანხით არაკომერციული, თუმცა ძალზე საჭირო წიგნები გამოსცენ. საქართველო მცირე რესურსების ქვეყანაა. ამიტომ, შემთხვევითი არ არის, რომ ის გამომცემლობები, რომელნიც მთელ რესურსებს სასკოლო სახელმძღვანელოებს ახარჯავენ, დღევანდელ ფესტივალზე ცოტა მოკრძალებულად არიან წარმოდგენილნი. სამაგიეროდ, საგამომცემლო ბაზარზე ახალი სახელები გამოჩნდა. მათი საქმიანობის ძირითადი მიმართულება ასე შეიძლება დავახასიათოთ — არაფერი ახალი და ყველაფერი იაფი. მშვენიერი მარკეტინგული გათვლაა, რადგან ბევრია ადამიანი, რომელსაც ძველი ნაცნობი ტექსტების კითხვა ურჩევნია. ეს ერთგვარი გამოწვევაა იმ გამომცემლებისთვის, რომელთაც არ სურთ ამ გზით სიარული და მიზნად დაუსახავთ, იცოდნენ, რა ხდება თანამედროვე მსოფლიო ლიტერატურაში — შენიშნონ, თარგმნონ, გამოსცენ.

ფესტივალი, როგორც გითხარით, ბიზნესისთვის შესაფერი ადგილი არ არის, აქ რამდენიმე დღის განმავლობაში ერთმანეთს ხვდება ის ხალხი, ვინც წიგნის მაღაზიებს ხშირად სტუმრობს, და ისინიც, ვინც ამ მაღაზიებს ამარაგებს. წიგნის მაღაზია კი ის ადგილია, სადაც კონფლიქტები არ ხდება. შესაბამისად, აქაც უკონფლიქტო და სიხარულით გაჯერებული გარემოა.“

თბილისის წიგნის XIII საერთაშორისო ფესტივალი 29 მაისს დასრულდა.

II ადგილი — ეკატერინე ტოგონიძე

III ადგილი — ალექსანდრე ქურხული

IV ადგილი — ნინო სურამელაშვილი

V ადგილი — მარიამ ტაბაღუა

I ადგილი — ლევან სებისკვერაძე

5 ეპიზოდი ახალგაზრდა პროზაიკოსების ცხოვრებიდან

უკვე მეორე წელია, „ლიტერატურული გაზეთი“ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ხელშეწყობით „ერთი მოთხრობის კონკურსის“ გამარჯვებულებს ავლენს. შარშანდელისგან განსხვავებით წელს ამ კონკურსს 5 გამარჯვებული ჰყავს.

კონკურსის პირობების თანახმად, მონაწილეობა 18-დან 30 წლამდე პროზაიკოსებმა მიიღეს. 43 კონკურსანტის მოთხრობებს ხუთკაციანი ჟიური გაეცნო. ჟიურის წევრთა ვინაობა გამარჯვებულთა გამოვლენის დღემდე გასაიდუმლოებული იყო. 2011 წლის 20 მაისს კი საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში ლიტერატურის მოყვარულების, ლიტერატორების, კრიტიკოსების, მთარგმნელების, პროზაიკოსების, პოეტებისა და ჟურნალისტების წინაშე ჯერ ჟიურის წევრები, შემდეგ კი გამარჯვებულები წარსდგნენ.

ეპიზოდი I
„ლიტერატურული გაზეთის“ 11 მარტის ნომერი

„ლიტერატურული გაზეთის“ XVI გვერდზე გამოჩნდა განცხადება — „ერთი მოთხრობის კონკურსი“. კონკურსის პირობების თანახმად, 18-დან 30 წლამდე პროზაიკოსებმა ერთი გამოუქვეყნებელი მოთხრობა, რომლის მოცულობაც არ უნდა აღემატებოდეს 25 000 კომპიუტერულ ასო-ნიშანს, უნდა გააგზავნონ მითითებულ ელექტრონულ მისამართზე. მოთხრობას თან უნდა ერთვოდეს ავტორის პირადობის მოწმობის ასლი და ტელეფონის ნომერი. მოთხრობის გაგზავნის ბოლო ვადაა 2011 წლის 15 აპრილი.

ხუთი გამარჯვებული ავტორი დასახელდება მაისში. გამარჯვებულებს გამოავლენს ხუთი პროზაიკოსისგან შემდგარი ჟიური. გამარჯვებული ნაწარმოებები გამოქვეყნდება „ლიტერატურულ გაზეთში“. შთამბეჭდავია საპრიზო ფონდიც: I პრემია — 1500 ლარი, II პრემია — 1200 ლარი, III პრემია — 1000 ლარი, IV პრემია — 600 ლარი, V პრემია — 500 ლარი.

ახალგაზრდა პროზაიკოსების ფიქრის დრო დგება. ზოგისთვის მოთხრობის გმირი საკუთარი თავია, ვიღაცას ცხოვრებისეული კითხვების საზოგადოებისათვის მოთხრობის სახით გაზიარების სურვილი აქვს, მავანი ბავშვობაზე წერს. მოკლედ, მწერლებისთვის დამახასიათებელი პროცესი შეუქცევადი ხდება. დროის ათვლას წერის, ფიქრის, განსჯის, თვითკრიტიკის საათები იწყებენ...

ამ ინფორმაციამ 43 ახალგაზრდა პროზაიკოსის ცხოვრება ცოტა ხნით ააფორიაქა.

ეპიზოდი II
ელექტრონული მისამართი

„ლიტერატურული გაზეთის“ მიერ მითითებულ ელექტრონულ მისამართზე პირველი მოთხრობა კონკურსის გამოცხადებიდან 2 დღეში გამოჩნდა.

15 აპრილია. ნაწარმოებების მიღება შეწყდა. ვირტუალურ სამყაროში 43-მა ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავებულმა მოთხრობამ მოიყარა თავი.

იწყება მოლოდინით აღსავსე დაუსრულებელი დღეები, საათები, წუთები... კონკურსანტებმა არც კი იციან, ვინ ეცნობა მათ ნაწერებს და ამ 43-დან ვის გაუღიმებს ბედი, ვისი მოთხრობა აღმოჩნდება ხუთკაციანი ჟიურის რჩეული.

ეპიზოდი III
პირადობის დამადასტურებელი მოწმობა

18 მაისს 43-ივე კონკურსანტის ტელეფონი ახალი ამბის მაცნე ხდება. ყველას ერთსა და იმავე ტექსტს ეუბნებიან — „20 მაისს, პარასკევს, დღის 2 საათზე გაიმართება „ერთი მოთხრობის კონკურსის“ გამარჯვებულთა გამოვლენა. გთხოვთ, მობრძანდეთ და თან იქონიოთ პირადობის დამადასტურებელი მოწმობა.“

იმავე დღეს ინტერნეტსივრცეში, ლიტერატურულ ფორუმზე იწყება განხილვა — „დაგირეკეს?.. პარასკევს ყოფილა დაჯილდოვება, გაიგეთ?.. იმედია, გამიღიმებს ბედი...“ თუმცა, ყველაზე მეტად იმით დაინტერესდნენ, ყველას სთხოვეს თუ არა პირადობის დამადასტურებელი მოწმობით მისვლა. ეგონათ, პირადობის მოწმობას მხოლოდ გამარჯვებულებს სთხოვდნენ... მას შემდეგ, რაც ვირტუალურ ლიტერატურულ სამყაროში გაირკვა, რომ ეს სავალდებულო პროცედურა იყო და სხვა არაფერი, მოლოდინი გამძაფრდა.

ეპიზოდი IV
ჟიურის წევრები

2011 წლის 20 მაისი. 14.00 საათი. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო ახალგაზრდებით ივსება. აქვე არიან აღიარებული და ცნობილი მწერლები, მთარგმნელები, ლიტერატორები. განაჩენს ელოდებიან ჟურნალისტები... კონკურსანტებისთვის კი განსაკუთრებით საინტერესოა, ვინ გაეცნო მათ მოთხრობებს.

სანამ გამარჯვებულების სახელ-გვარები გამოცხადდება, საზოგადოება წლევანდელი ჟიურის შემადგენლობას იგებს.

„ერთი მოთხრობის კონკურსის“ ჟიურის წევრები აღმოჩდნენ — თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე, მწერალი ზაალ სამადაშვილი; ლიტერატურის კრიტიკოსი ივანე ამირხანაშვილი; მწერალი ზურაბ სამადაშვილი; მწერალი მიხო მოსულიშვილი და „ლიტერატურული გაზეთის“ რედაქტორი, მწერალი ირაკლი ჯავახაძე.

ჟიურის ვინაობა გარკვეულია. განაჩენი გამოტანილია. შეკრებილ საზოგადოებას ვერდიქტს ჟიურის წვრრები სადაცაა გააცნობენ. მღელვარების ბოლო წუთებიღა დარჩა.

ეპიზოდი V
ემოციები

დარბაზი მოლოდინშია. მიკროფონთან მიხო მოსულიშვილი დგება. მარიამ ტაბაღუა ჯერ ვერც კი წარმოიდგენს, რომ სულ რამდენიმე წამიც და ჟიურის წევრი მისი მოთხრობის სათაურს წაიკითხავს და, შესაბამისად, მეხუთე პრემიის მფლობელიც გახდება. „მარი, რომელიც იცინოდა“ — ესმის ახალგაზრდა პროზაიკოსს და ბედნიერი წამოდგება დიპლომისა და ფულადი პრიზის მისაღებად.

მეოთხე პრემიის მფლობელის სახელსა და გვარს ზურაბ სამადაშვილი აცხადებს. მოთხრობისათვის „დალაქისა და შეყვარებულის ამბავი, ნასესხები „ათას ერთი ღამიდან“ IV პრემია, 600 ლარი რატი რატიანს გადაეცემა. მამაკაცის ნაცვლად სცენისკენ გოგონა მიემართება. „ფსევდონიმი ყოფილა“ — ისმის დარბაზში მსხდომთა ემოცია და ნინო სურამელაშვილს გამარჯვებას აპლოდისმენტებით ულოცავენ.

შარშანდელის მსგავსად წელსაც რჩეულთა შორისაა ალექსანდრე ქურხული. ამჯერად ის მოწონებას „უკანასკნელი მამლუქით“ იმსახურებს. ალექსანდრეს ჯილდოს ივანე ამირხანაშვილი გადასცემს.

დგება მეორე პრემიის გადაცემის დროც. მიკროფონთან ზაალ სამადაშვილი მიდის. II პრემია და 1200 ლარი მოთხრობისათვის „მარჯვნიდან მარცხნივ“ გადაეცემა ეკატერინე ტოგონიძეს... ფეხზე არავინ დგება. ამ წუთებში ახალბედა პროზაიკოსი, რომელსაც ასე გაუღიმა ბედმა და რომელიც ახლა დგამს სამწერლო ასპარეზზე პირველ ნაბიჯებს, გზაშია.

პირველი პრემიის მფლობელიც აგვიანებს. ნიკოლოზ რურუა საზოგადოებას ისე ამცნობს მისი მოთხრობის სათაურს — „ისინი მოდიან“— რომ ლევან სებისკვერაძეს არაფერი ესმის. თუმცა სანამ გამარჯვებულთა დაჯილდოვების ცერემონიალი დასრულდებოდეს, ეკატერინეცა და ლევანიც დარბაზში ჩნდებიან. ეკატერინეს ჯილდოს ზაალ სამადაშვილი გადასცემს, ლევანს კი — ნიკოლოზ რურუა. ორივე უზომოდ ბედნიერი და გახარებულია...

ეკატერინე ტოგონიძემ აღნიშნა — რომ მცოდნოდა, გამარჯვებულთა შორის ვიყავი, არაფრით დამაგვიანდებოდაო. ეს რომ სცოდნოდა, ნამდვილად არ ექნებოდა ისეთი გულწრფელი ემოცია, რომლითაც შეხვდა ჟიურის გადაწყვეტილებას.

წლევანდელი „ერთი მოთხრობის კონკურსი“ დასრულდა. ხუთივე გამარჯვებულის ცხოვრებაში სამუდამოდ დარჩება ეს 5 ეპიზოდი. ლევან სებისკვერაძეს, ეკატერინე ტოგონიძეს, ალექსანდრე ქურხულს, რატი რატიანსა და მარიამ ტაბაღუას კიდევ ერთი ბედნიერი დღე ელით — დღე, როცა მათი მოთხრობები „ლიტერატურული გაზეთის“ ფურცლებზე დაიბეჭდება და ნაწარმოებებს უკვე ლიტერატურით „მოწამლული“ მკითხველები გაეცნობიან.

ლიტერატურული გაზეთი
გამოდის საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით

რედაქტორი **ირაკლი ჯავახაძე**
რედაქტორის მოადგილე **უჩა შერაზადიშვილი**
ჟურნალისტები **ხათუნა ალხაზიშვილი, ნანა კობაიძე, თამარ ჟურული**

ტელ.: 292196; მობ. ტელ.: (877)742277; (899)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com